ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alhali Taoba

ხუთშაბათი, 17 დეკემბერი, 2009 №323 (5064) ფასი: 30 თეთრი

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი

დოკვაძის პროცესი: რას ედავებიან დები გულიაშვილები ადვოკატ გოჩელაშვილებს

ნანა გოჩელაშვილი: „ელზა გულიაშვილის დამცველად გოჩა კვირქაიშვილის ოჯახმა დამიქირავა“ გვ.4

ავერსისა და პსპ-ს უკან ნაციონალები დგანან

გვ.2

ზოგიერთი წამლის ფასი 7990-ით არის გაზრდილი

ნიკა გვარამიამ ანტიკონსტიტუციური ბრძანება გამოსცა

გვ.5

რატომ უწერენ ნიშნებს მოსწავლეებს სხვადასხვა მეთოდით?

კახა ასლანიშვილმა 52.000 ლარი უკანონოდ მიითვისა

გვ.4

ირაკლი ალასანია პრაიმერში მონაწილეობას გვ.3 არ მიიღებს?

სოსო ცისკარიშვილი: ხელისუფლება არჩევნებს ძალიან აღრე დანიშნავს

გვ.2

ხელისუფლებას საგარეო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები გაცნობიერებული არა აქვს გვ.3

საქართველოში მკვეთრად იმატა ნარკომანი ქალების რიცხვმა

გვ.6

ნარკომანების რიცხოვნებით საქართველო მსოფლიოს პირველ ათეულში შევიდა

საქართველოსთან ურთიერთობის აღდგენა მინდა

გვ.6

ქართველმა არასამთავრობოებმა კოკოითთან შეხვედრა გამართეს

მატარებლის გამტაცებელი ლტოლვილები მხოლოდ კადიროვმა დაიცვა

გვ.7

ჩეჩნეთის პრეზიდენტი პოლონეთის ხელისუფლებას ადანაშაულებს

10 ლეიბორისტები ნამლებზე დაბალი ზღვრული ფასების დაწესებას მოითხოვენ

2 ბანკოკში დაკავებული ილ-76-ის ოპერატორი „ვესტ ჯორჯიაა“

10 ზურაბ ნოღაიდელს ევგენი პრიმაკოვი საქართველოში არ მოუწვევია

2 „თეთრებმა“ ქუთაისში „დიდების მემორიალის“ დანგრევა გააპროტესტეს

სოსო ცისკარიშვილი: ხელისუფლება არჩევნებს ძალიან აღრე დანიშნავს

ექსპერტ სოსო ცისკარიშვილის აზრით, თვითმმართველობის და მერის არჩევნები გაცილებით ადრე დაინიშნება, ვიდრე ამას ყველა ელის.

როგორც „მედიანიუსთან“ საუბრისას ცისკარიშვილმა აღნიშნა, ხელისუფლებას ისიც კი არ შერცხვება არჩევნები 30 დეკემბერს დანიშნოს. მათ კანონით ამის შესაძლებლობა აქვთ, მით უმეტეს, რომ ეს ხელს აძლევთ.

— ხელისუფლებას ყოველთვის მეტი უპირატესობა აქვს მაშინ, როცა არჩევნები დანიშნული ჯერ არ არის, როდესაც თარიღი დიდი ხნით ადრეა ცნობილი, ხელისუფლების ეს უპირატესობა იკარგება. აქედან გამომდინარე, სახელისუფლო ბანდი არჩევნებს უფრო ადრე დანიშნავს. შესაბამისად, ოპოზიცია არჩევნებს სრლიად მოუმზადებელი შეხვდება. ამით კი ვინ მოიგებს? რა თქმა უნდა, ნაციონალები. ასე, რომ არჩევნებს უახლოეს ორი თვის ვადაში უნდა ველოდოთ, შეიძლება უფრო ადრეც. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ტელევიზიებში ამომრჩევლის გასააქტიურებლად გასული ცესკო-ს საარჩევნო კლიპები, იგივე ნაციონალების საარჩევნო კამპანია, რომელიც რამდენიმე თვის წინ დაიწყო და ა.შ., — განუცხადა „მედიანიუს“ სოსო ცისკარიშვილმა.

გიორგი ლაღიძე ხელისუფლებას პოლიტპატიმრების განთავისუფლებისაკენ მოუწოდებს

მედიანიუსი

გუშინ პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერმა, გიორგი ლაღიძემ საგანგებო განცხადება გაავრცელა და ხელისუფლებას ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისის დაძლევის კონკრეტული გზები შესთავაზა.

გიორგი ლაღიძის თქმით, ხელისუფლებამ უნდა დაასრულოს რიტორიკული პოლიტიკა და პრობლემების მიმართ ადეკვატური გახდეს. „დროა ხელისუფლებამ გააცნობიეროს, რომ ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების ახალ-ახალი ტალღის გამოცხადებით, პოლიტიკურ კრიზისს ვერ განეუხტავს. მოვუწოდებ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, გამოიჩინოს კეთილი ნება და უახლოეს პერიოდში, თუნდაც ეს თარიღი იყოს შობის ბრწყინვალე დღესასწაული, დაუყონებლივ გაათავისუფლოს დაკავებული ყველა პოლიტპატიმარი.“ - განაცხადა ლაღიძემ.

მისივე თქმით, თუკი ხელისუფლებას მართლაც სურს პოლიტიკური ჩიხიდან გამოსავალი, პოლიტპატიმრებისგან თავისუფალი ქვეყანა ამის კარგი მაგალითი იქნება. „სხვა შემთხვევაში, ნათელი იქნება, რომ ხელისუფლება ხელოვნურად ძაბავს ქვეყანაში ვითარებას.“ - დასძენს გიორგი ლაღიძე.

მედიანიუსი

ავერსისა და პსპ-ს უკან ნაციონალები დგანან

ზოგიერთი წამლის ფასი 7990-ით არის გაზრდილი

ნათია ხერცილავა

„ალიანსი საქართველოსთვის“ წარმომადგენლები დავით გამყრელიძე და დავით საგანელიძე პრეზიდენტის განცხადებას გამოემპაურნენ. სააკაშვილმა ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული მონოპოლია გააპროტესტა. მისი თქმით, სწორედ ეს იწვევს წამლებზე ფასების მატებას.

გამყრელიძე და საგანელიძე აცხადებენ, რომ პრეზიდენტის ეს განცხადება პიარკამპანია იყო და არა რეალურად პრობლემის მოსაგვარებლად გაკეთებული განცხადება. დავით საგანელიძე ფიქრობს, რომ სააკაშვილმა მათ დაასწრო, რადგან ინფორმაცია იყო, რომ სწორედ ისინი აპირებდნენ აღნიშნულ სკანდალთან დაკავშირებით პრესკონფერენციის გამართვას.

შეიძლება ითქვას, რომ მართლაც სკანდალია ის, რაც ფარმაცევტულ ბაზარზე ხდება. გაირკვა, რომ თურქეთსა და ევროპის ქვეყნებში უფრო იაფია წამლები, ვიდრე საქართველოში.

„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი ამბობს, რომ პე-ეს-პე და ავერსი „ნაციონალური მოძრაობის“ სტრუქტურული დანამატია.

დავით გამყრელიძე აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილმა სწორედ ახლა აღმოაჩინა, რომ ფარმაცევტულ ბაზარზე მონოპოლიაა და ეს ყველაფერი იმ პარლამენტმა დააკანონა, რომელთანაც მას საერთო არ ჰქონია. თუცა, გამყრელიძე კანონს იშველიებს, რომელშიც 2009 წლის 10 აგვისტოს იქნა ცვლილებები განხორციელებული საპარლამენტო უმრავლესობის მიერ.

— მიხეილ სააკაშვილმა ახლა აღმოაჩინა, რომ ფარმაცევტულ ბაზარზე გარკვეული მონოპოლიაა. აღმოაჩინა, რომ წამლები 30-40 პროცენტით უფრო ძვირად იყიდება, ვიდრე ევროპასა და თურქეთში. აქტიურად უმტკიცებდა საზოგადოებას, რომ ეს ყველაფერი მაშინ მოხდა, როდესაც ბნელი და უკუნი იყო, რომ ეს უკავშირდება იმ მოწვევის პარლამენტს, რომელთანაც მას საერთო არ ჰქონდა. 2009 წლის 10 აგვისტოს კანონში „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ ყველა მუხლში, გარდა ნარკოტიკული საშუალებებისა, ცვლილება შევიდა. პრაქტიკულად ახალი კანონი არის მიღებული „ნაციონალური“ უმრავლესობის მიერ. ამიტომ ნურავის ნუ გადააბრალებს და ნურავისკენ ხელს ნუ გაიშვერს, რადგან ეს მდგომარეობა მისი ხელისუფლების მიერ არის შექმნილი, — აცხადებს გამყრელიძე.

ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული მდგომარეობა „მემარჯვენეებმა“ პრესკონფერენციაზე სლაიდის მეშვეობით წარმოადგინეს.

ნაჩვენები იქნა რამდენიმე დასახელების მედიკამენტი, რომელზეც ფასი 40 პროცენტით არის გაზრდილი. მედიკამენტ „დუოვიტის“ შემოტანის ფასი არის ერთნახევარი ევრო. გასაყიდი ფასი კი არის 11 ლარი და 22 თეთრი. ფასის ნამატი შეადგენს 247 პროცენტს.

ანტიბიოტიკი „ციპრინოლი“ შემოტანილია 1 ლარად და 17 თეთრად. გასაყიდი ფასი კი 9 ლარი და 87 თეთრია.

საბავშო პოლივიტამინი „პიკოვიტი“-ს ფასნამატი არის 200 პროცენტი.

„ნაკლოფენინ“ ფასნამატი არის 265 პროცენტი.

„ვალოკორდინს“ ფასნამატი არის 208 პროცენტი.

„ნოშ-პას“ ფასნამატი არის 104 პროცენტი.

— კიდევ უფრო დიდი და წარმოუდგენელი ფასნამატები აღმოვაჩინეთ პე-ეს-პეს მიერ შემოტანილ ანტიბიოტიკ „პეო“-ს შემთხვევაში, რომელიც ერთიანი შეფუთვებით შემოდის. მისი დაფასოების შემდეგ ფასნამატი შეადგენს 735 პროცენტს. ასევე საცხის „სალბესანის“ ფასნამატი არის 894 პროცენტი. კარგა ხანს ბიზნესში გასხდით და არ გამიგია ასეთი ნამატი ფასში, ეს ნამდვილად წარმოუდგენელია. კარგია თუ ბატონებს კურტანიძეს და ოქრიაშვილს სინდისი შეაწუხებთ, — განაცხადა დავით გამყრელიძემ.

გამყრელიძე აცხადებს, რომ პე-ეს-პეს და ავერსის უკან „ნაციონალური მოძრაობა“ დგას.

— ბაზრის უდიდეს წილს სრულად აკონტროლებს ორი კომპანია: ავერსი და პე-ეს-პე. ფორმალურად 75 პროცენტს აკონტროლებენ, მაგრამ თუ ჩავთვლით, რომ მთლიანად სააფთიაქო ქსელი სწორედ მათგან მარაგდება და წამლის ფასებს აკონტროლებენ, შეიძლება ითქვას, რომ მთლიანად სააფთიაქო ბაზარს ეს ორი კომპანია აკონტროლებს. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ: ორივე კომპანიის უკან „ნაციონალური მოძრაობა“ დგას. ეს კომპანიები „ნაციონალური მოძრაობის“ სტრუქტურული ნაწილია. მათი მთელი ხარჯები სწორედ კურტანიძის და ოქრიაშვილის მიერ ფინანსდება. პე-ეს-პე-ს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ღიად ყოფილიყო მმართველ პარტიასთან ასოცირებული. — ამბობს დავით გამყრელიძე.

გამყრელიძე პე-ეს-პე-ს ერთ-ერთ წარმომადგენელს, კახა ოქრიაშვილს პარლამენტში ყოფნას ახსენებს. ოქრიაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრია.

დავით გამყრელიძე:

— დღეს, ბატონი ოქრიაშვილი გვევლინება წამლის პოლიტიკის ავტორად და ინიციატორად. ის არ ფარავს, რომ ამ ბიზნესშია. ყველას ახსოვს სააკაშვილის ვიზიტი მის საწარმოებში. სააკაშვილის პირობებში მივიღეთ ასეთი მახინჯი და უპრეცედენტო სურათი ჯანდაცვის სფეროში. ჯანდაცვის სფეროს სრული მონოპოლიზაცია. წამლის იმპორტი, წამლის ადგილზე წარმოება, საბითუმო, საცალო ვაჭრობა ანუ აფთიაქების ქსელი. ამბულატორიული მომსახურების ან სამედიცინო დაზღვევის ხელში აღებით მათ აიღეს ამბულატორიული მომსახურება. ჰოსპიტალური ქსელი, ასევე წამლის ხარისხის კონტროლი ამ კომპანიების მიერ ხორციელდება, რაც სრულიად წარმოუდგენელია. პე-ეს-პემ ხელში ჩაიგდო საავადმყოფოების უდიდესი ნაწილი, პროექტ 100 საავადმყოფოს ფარგლებში. იგივეს აკეთებს ავერსი თავისი კლინიკებით როგორც თბილისში, ისე გორში, ქუთაისში, რუსთავში, მარნეულში, ლანჩხუთში. მონოპოლიის ეს სქემა უპრეცედენტოა. არ ვიცი სახელმწიფო, სადაც დაშვებული იქნება მსგავსი მონოპოლიზაცია სამედიცინო მომსახურებაში. მმართველმა პარტიამ ხელში ჩაიგდო მსოფლიოში ყველაზე მომგებიანი ბიზნესი. ჩვენი საზოგადოების ყველაზე უფრო გაჭირვებული ნაწილი საკუთარი ჯიბიდან აფინანსებს სააკაშვილის პარტიას. სააკაშვილის განცხადებები წინასაარჩევნოდ ემსახურება მისი გუნდისთვის საკმაოდ მტკივნეული თემის გადაგორებას და არა პრობლემის რეალურად მოგვარებას.

დავით საგანელიძე:

— ამ პირობებში საქართველოს ჯანდაცვის განვითარებას არანაირი პრესპენტეგია არა აქვს. ეს გამოიწვია ბენდუქიძე, ჭიპაშვილი და სააკაშვილის ე.წ. რეფორმებმა. საავადმყოფოების შემდეგ პოლიკლინიკების და ამბულატორიების პრივატიზაცია იწყება. მთლიანი მონოპოლიაა ამ სფეროში. ბლოკ-ჯორჯია და სხვები თურმე მითითური კომპანიები ყოფილან, რომლის უკანაც თითქოს 350 მილიონი ლარი ჩანდა. თურმე ეს თანხები საერთოდ არ არის შესული ჯანდაცვაში. უახლოეს ხანში მოსახლეობას ჰოსპიტალურ სექტორში არსებულ მდგომარეობაზე მივაწოდებთ ინფორმაციას. საკაშვილი თავის პოლიტიკას მხოლოდ პიარზე აგებს, მან ნახა კვლევებში, რომ უმუშევრობის შემდეგ მედიკამენტების მაღალი ფასები რიგით მეორე პრობლემაა. ამ პრობლემის დამაღვას ის ვერ შეძლებს და ამიტომ დაგვასწრო და გაიკეთა განცხადება.

„ალიანსი საქართველოსთვის“ ხელისუფლებას სთავაზობს მექანიზმებს, რომლის გატარების შემთხვევაში, როგორც გამყრელიძე აცხადებს, ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული ვითარება განიტვირთება საზოგადოების სასარგებლოდ.

უმთავრეს გამოსავლად მათ ფარმაცევტული ბაზრის დემონოპოლიზაცია მიაჩნიათ. ასევე აიკრძალოს ერთი და იგივე ჯგუფის მიერ წამლის მიწოდება, ჰოსპიტალური მომსახურების და სადაზღვევო საქმიანობის წარმოება.

გარდამავალ ეტაპზე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს წამლის ფასების კონტროლი და რეგულაცია ისე, რომ ფასნამატი კომერციულ ქსელში 30-35 პროცენტს არ აღემატებოდეს.

სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ბაზრის და, შესაბამისად, მომხმარებლის სრული დაცვა უხარისხო, არასტანდარტული და ფალსიფიცირებული წამლებისგან.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს 0-დან 14 წლამდე და 65 წლის ზემოთ მოქალაქეების სამედიცინო ჩვენებით მოხმარებული წამლების 100 პროცენტით ანაზღაურება.

უნდა შეიქმნას არამომგებიანი მუნიციპალური აფთიაქების ქსელი, რომელიც საერთაშორისო ტენდერების მეშვეობით შეისყიდის წამლებს, მათ შორის, ნაწილს, ექიმის დანიშნულების შემთხვევაში, უფასოდ მიაწვდის საზოგადოების ზემოხსენებულ კონტინგენტს, დანარჩენებს კი ფასნამატის გარეშე შესთავაზებს.

გამყრელიძის განცხადებით, პე-ეს-პე და ავერსი ერთმანეთის კონკურენტები არ არიან. მეტიც, ისინი შეთანხმებულად მოქმედებენ წამლის ბაზარზე. ის ითხოვს ხელისუფლების მხრიდან აღნიშნულ სივრცეში ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობას.

ბანკოკში დაკავებული ილ-76-ის ოპერატორი „ვესტ ჯორჯია“

ბანკოკში დაკავებული ილ-76 ტიპის თვითმფრინავის ეკიპაჟის მტკიცებით, ფრენის უკრაინელი და ქართველი ორგანიზატორები მათ არწმუნებდნენ, რომ ტვირთი სამოქალაქო ხასიათის იყო.

ეს თვითმფრინავი ბანკოკში 12 დეკემბერს დააკავეს და მასზე 35 ტონა შეიარაღება იპოვეს. მაშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ თვითმფრინავი საქართველოში ფორმალურად რეგისტრირებულ კომპანიას „ვესტ ჯორჯიას“ ეკუთვნოდა.

გუშინ რუსულმა სააგენტოებმა გაავრცელეს ილ-76-ის ეკიპაჟის განცხადება, რომლის მიხედვითაც, თვითმფრინავი კიევი-ბაკო-ბანკოკი-ფხენიანი-ბანკოკი-ფუჯეირა-კიევის რეისს ასრულებდა. ეკიპაჟის მტკიცებით, ფხენიანში თვითმფრინავის დატვირთვისას, ისინი სასტუმროში იმყოფებოდნენ და არაფერი იცოდნენ თუ რა სახის ტვირთის გადატანა მოუწევდათ.

— უკრანული კომპანია-დამფრახტველი “ავიატეკი“ და თვითმფრინავის ქართული კომპანია-ოპერატორი „აირ ვეტს ჯორჯია“ გვარწმუნებდნენ, რომ ტვირთი სამოქალაქო ხასიათის იყო. რომ გცოდნოდა, რომ თვითმფრინავი იარაღით იყო დატვირთული, ფრენაზე უარს განვაცხადებდით, — აცხადებს ეკიპაჟი.

ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით, ეკიპაჟის წევრებს სიკვდილით დასჯა ემუქრებათ.

მედიანიუსი

კიევში საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს

კიევში ადგილობრივმა სამართალდამცავებმა საქართველოს 44 წლის და 37 წლის მოქალაქეები დააკავეს, რომლებიც ნარკოტიკების მოხმარებაში და შენახვაშია ეჭვმიტანილი.

ადგილობრივი წყაროების ცნობით, დაკავებულებს 1 გრამი ჰეროინი და 30 გრამი მარიხუანა აღმოუჩინეს. საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც უკრაინაში არალეგალურად იმყოფებოდნენ, კიევის წინასწარი დაკავების იზოლატორში არიან გადაყვანილნი.

მედიანიუსი

„თეთრებმა“ ქუთაისში „დიდების მემორიალის“ დანგრევა გააპროტესტეს

გუშინ ქუთაისში პოლიტიკურმა მოძრაობა „თეთრებმა „დიდების მემორიალის“ დანგრევასთან დაკავშირებით საპროტესტო აქცია გამართა. აქცია მემორიალის ნგრევის პროცესის პარალელურად მიმდინარეობდა.

როგორც „თეთრების“ ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა განაცხადა, პარლამენტის შენობის ასაშენებლად მემორიალის დემონტაჟი სულაც არ იყო საჭირო.

— ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს არ არის მხოლოდ მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილისადმი დამოკიდებულება, არამედ წმინდა ადგილის შეურაცხყოფა, ომის ვეტერანთა აბუჩად აგდება, მთელი საზოგადოების და საზოგადოებრივი აზრის უგულებელყოფა. ხელისუფლებამ უკადრებელი აკადრა ქუთაისს და ქუთაისელებს. ამიტომ ყველამ ხმა უნდა ავიმაღლოთ და ხელისუფლების ამ ბინძურ გადაწყვეტილებას შევეწინააღმდეგოთ, — განაცხადა პრესკონფერენციაზე შაშიაშვილმა.

ქუთაისში გამგზავრებამდე „თეთრებმა“ თბილისში დავით აღმაშენებლის ძეგლის ადგილას ამ თემაზე საგანგებო პრესკონფერენცია გამართეს. „თეთრების“ პროტესტს ნინო ბურჯანაძის პარტიისა და რამდენიმე არსამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელიც შეუერთდა.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერძიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავთი ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალდავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ღვედრაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერძიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავთ აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილ-ალ-პროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე განთავსებული მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

ხელისუფლებას საგარეო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები გაცნობიერებული არა აქვს



2009 წელს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე, ხელისუფლება-ოპოზიციის დაპირისპირება-თანამშრომლობის შედეგებზე, 2009 წელს ხელისუფლებისა და ოპოზიციის მიერ დაშვებულ უმოავრეს შეცდომებზე და 2010 წლის საგარაუდო პერსპექტივებზე „ინტერპრესნიუსი“ ფილოსოფოსს, პოლიტოლოგსა და სამხედრო ექსპერტს, კახა კაციტაძეს ესაუბრა.

— თქვენი აზრით, 2009 წელს საქართველოს საშინაო პოლიტიკაში რომელი მოვლენა იყო უმნიშვნელოვანესი და რატომ?

— ცალსახად იმის თქმა, რომელი მოვლენა იყო უმნიშვნელოვანესი ძნელია, მაგრამ საშინაო პოლიტიკაში ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ის აქციები იყო, რომელიც გაზაფხულზე გაიმართა. იმის მიუხედავად, რომ ამ აქციებს არ მოჰყოლია ის შედეგი, რასაც საზოგადოების დიდი ნაწილი ელოდა, წელს ხელისუფლებისადმი საზოგადოების განწყობა შეუუქცევადად შეიცვალა. ხელისუფლება სირაქლემის პოზიციაში ყოფნას კი ცდილობს, მაგრამ უდავოა, რომ ის ამას რეალურად ვერ მოახერხებს.

— რა შეიძლება ჩაითვალოს 2009 წელს საქართველოსათვის უმნიშვნელოვანეს მოვლენად საგარეო პოლიტიკაში და რა გავლენა იქონია მან საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობაზე?

— ერთი ფაქტის გამოყოფა ამ შემთხვევაშიც ძალიან ძნელია. საერთაშორისო მოვლენებს შორის, რომელმაც საქართველოზე ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა, იყო ამერიკის მხრიდან რუსეთის მიმართ გადატვირთვის პოლიტიკის დაფიქსირება. მნიშვნელოვანი მომენტი იყო ნატო-რუსეთს შორის თანამშრომლობის ისევ ძველებურ ფორმატში აღდგენა, სამწუხაროდ, ეს პროცესები საქართველოს სასარგებლოდ არ წაადგენენ, პირიქით. ისეთი საგარეო-პოლიტიკური ფონი შეიქმნა, რომლიდან გამომდინარე, ჩვენ თვისობრივად ახლებურად მოგვიწევს მოქმედება. თუმცა, სამწუხაროდ, ხელისუფლებას საგარეო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები გაცნობიერებული არა აქვს.

— რას შეიძლება ნიშნავდეს ევროკავშირის გვერდის ავლით დასავლეთის წამყვანი ქვეყნების რუსეთთან დაახლოება? რამდენად რეალური ნატო-რუსეთ შორის დაახლოების პერსპექტივა და როგორ აისახება იგი ერთი მხრივ დასავლეთის საქართველოსადმი და მეორე მხრივ, რუსეთის საქართველოსადმი დამოკიდებულებაზე?

— უკვე 20 წელიწადია საქართველოს ისტებლიშმენტი და საზოგადოება ერთ არსებით შეცდომას უშვებს, ქართული საზოგადოება ძალიან ვულგარულად და პრიმიტიულად უდგება საქართველოს ადგილს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში. ადგილი ჰქონდა ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობის გიპერტროფირებულ შეფასებას, ანუ იმას, რომ ჩვენ გვაქვს ისეთი გეოპოლიტიკური მდებარეობა, რომ მხოლოდ ამის გამო და აფერი სხვის გამო, საქართველო მუდმივად იქნება ყურადღების ცენტრში, მუდმივად მოეფერებიან, მუდმივად დახუჭავენ თვალებს იმაზე, რომ დასავლური დემოკრატიული სტანდარტებიდან შორს ვდგავართ და კიდევ უფრო ვშორდებით. ხელისუფლებას და საზოგადოების საკმაო ნაწილსაც გქონდა იმედი, რომ დასავლეთი ჩვენს არადემოკრატიულობაზე თვალს დახუჭავდა და მხოლოდ გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო მიგვიღებდნენ ნატოში და ასე შემდეგ. ეს უნდა გაიაზროს საზოგადობამ, თორემ ხელისუფლება რომ რამეს გაიაზრებს, მე ამის იმედი უკვე არა მაქვს. საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში მთავარია მიმართებები, ანუ ფუნქციური დამოკიდებულებები და არა მაინცადამაინც გეოპოლიტიკური მდებარეობა. თუკი საქართველოს უნდოდა ყოფილიყო დასავლეთის ყურადღების ცენტში, პრიორიტეტი უნდა მინიჭებოდა არა გეოპოლიტიკური მდებარეობაზე გაუთავებელ აქცენტირებას, არამედ დასავლური, დემოკრატიული საზოგადოების აღმშენებლობას. ამიტომ, რაც ხდება, აღარ უნდა გვწყინდეს.

— ზოგიერთი დასავლური გამოცემის შეფასებით, პუტინმა დასავლეთს პოსტსაბჭოთა სივცეზე გავლენისათვის ბრძოლა მოუგო. რამდენად შეეხსაბამება ამგვარი შეფასება რეალობას და თქვენი აზრით, სავარაუდოდ როგორ შეიძლება დასრულდეს პოსტსაბჭოთა სივრცეზე გავლენისათვის ბრძოლა დასავლეთსა და რუსეთს შორის?

— იმის განცხადება, რომ პუტინმა ვინმეს ბრძოლა მოუგო, ცოტა სასაცილოა. სახელმწიფო, რომელიც ტერაქტები და ხანძრებიდან ერთ კვირაში 150 მოქალაქე ეღუპება, იმ სახელმწიფომ სერიოზულად რომ ამტკიცოს, რომ გავლენის სფეროების აღდგენას ახდენს, არასერიოზულია. არსებობს ელემენტარული სტატისტიკა, რომელიც ადასტურებს, რომ რუსეთი არ არის მომავლის სახელმწიფო. ახლახან გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ მიმდინარე წელს რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა 29 ათასი დანაშაული ჩაიდინეს. ქვეყანაში, რომლის სამართალდამცავები ამდენ დანაშაულს ჩადიან, რა გავლენის გავრცელებაზე შეიძლება საუბარი. რუსეთი დეგრადირებადი, რეგრესირებადი, ქრობადი სახელმწიფოა და პოსტსაბჭოთა სივრცეზე მის გავლენაზე საუბარი გადაჭარბებულია. რაც მეტი დრო გავა, რუსეთი ამ სივრცე-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ირაკლი ალასანია პრაიმერში მონაწილეობას არ მიიღებს?!

ნანა მიშელაშვილი

ოპოზიციური ერთიანობა და ერთი ლიდერის ირგვლივ გაერთიანება ვერ ხერხდება. ოპოზიცია პრაიმერის ჩატარებაზე კარგა ხანია საუბრობს, მაგრამ პრაიმერის ჩატარებას კარგი პირი არ უჩანს.

პრაიმერის მომხრეთა რიცხვი თანდათან მცირდება. პრაიმერში შესაძლოა მონაწილეობა არ მიიღოს ირაკლი ალასანიამ. მართალია, ალასანიას ამის თაობაზე ჯერ პოზიცია ღიად არ დაუფიქსირებია, მაგრამ ხმები ვრცელდება, რომ ალიანსის ლიდერს პრაიმერის იდეა აღარ ხიბლავს.

როგორც ამბობენ, ალიანსში ბოლო პერიოდში აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ ხელისუფლება ახალ სქემაზე მუშაობს და იმ შემთხვევაში თუ პრაიმერი ჩატარდება, სუსტი ოპოზიციური კანდიდატის გამარჯვება იგეგმება.

ალიანსის შიგნით იმაზეც საუბრობენ, რომ პრაიმერში მონაწილეობის მისაღებად მარტო ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩეველი არ მივა, პრაიმერში ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებიც მიიღებენ მონაწილეობას და ყველაზე სუსტ ოპოზიციურ კანდიდატს დაუჭერენ მხარს. მას შემდეგ, რაც პრაიმერი სუსტ ოპოზიციურ კანდიდატს გამარჯვებულად გამოაცხადებს, დანარჩენი კანდიდატები ვალდებულნი იქნებიან ამ სუსტ ლიდერს დაუჭირონ მხარი.

ოპოზიცია თავის მიერ ჩატარებულ პრაიმერს, ბუნებრივია, ვერ გააპროტესტებს. ვერც იმას იტყვის, რომ ხელისუფლებამ ხმები არასწორად დაითვალა. ამიტომ პრაიმერში მონაწილე კანდიდატები შედეგებს უპაპლაციოდ დაეთანხმებიან.

ასეთი სქემა რეალურად არსებობს თუ არა, ამის თქმა ძნელია. არც ის არის გამორიცხული, რომ ალიანსის შიგნით ზოგ-ზოგიერთს პრაიმერი არ მოსწონს და ასეთ სქემაზე იმიტომ აპელირებს.

პრაიმერის იდეა კონსერვატორებს ეკუთვნით. მათ დედაქალაქის მერობის საკუთარი კანდიდატი ჰყავთ. მერობის კანდიდატი ჰყავს „ხალხის“ პარტიას. ზვიად ძიძიგურიც და კობა დავითაშვილიც მერის სავარძლისთვის იბრძვიან. ორივე მათგანი პრაიმერის იდეას აქტიურად უჭერს მხარს.

ბუნებრივია, პრაიმერში მონაწილეობას არ მიიღებს მმართველი პარტია. პრაიმერი ოპოზიციას ერთიანი ლიდერის გამოსავლენად სჭირდება. ნაციონალურ მოძრაობას კი ერთიანი კანდიდატი გიგი უგულავას სახით უკვე გამოვლენილი ჰყავს.

ირაკლი ალასანიამ პრაიმერში მონაწილეობაზე თუ უარი თქვა, მაშინ გამოდის, რომ პრაიმერს ორი პარტია ჩაატარებს. უფრო სწორად, პრაიმერით უნდა გამოვლინდეს, ძიძიგური უფრო ძლიერია თუ დავითაშვილი.

ასეთ შემთხვევაში რამდენად გამართლებულია პრაიმერის იდეა, ამას ალბათ პრაიმერის იდეის ავტორები ახსნიან.

პრაიმერში მონაწილეობას, სავარაუდოდ, არ მიიღებენ ის ოპოზიციური კანდიდატებიც, ვისაც მერის პოსტის დაკავების სურვილი აქვთ. საუბარია ქრისტიან-დემოკრატების მერობის კანდიდატსა და ზურაბ ნოღაიდელის პარტიის მერობის კანდიდატზე.

არც ქრისტიან-დემოკრატებს და არც ნოღაიდელის პარტიას ჯერ მერობის კანდიდატი არ დაუსახელებია. ეტყობა, ორივე პარტია აკვირდება, როგორ განვითარდება ოპოზიციურ ფლანგზე მოვლენები.

ოპოზიციის შიგნით ურთიერთობა მაინცდამაინც ჰარმონიული არ არის. თუ გავრელებულ ხმების დავუჯერებთ, საკმაოდ დაძაბული ვითარებაა რესპუბლიკელებსა და კონსერვატორებს შორის.

რესპუბლიკელებსა და კონსერვატორებს შორის მაინცდამაინც თბილი დამოკიდებულება რომ არ არის, ამაზე ის განცხადებებიც მიუთითებს, რასაც შიგადაშიგ ორივე პარტიის წარმომადგენელები აკეთებენ.

იმასაც ამბობენ, რომ ირაკლი ალასანიასთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ როგორც კონსერვატორები, ისე კობა დავითაშვილი. მას შემდეგ, რაც ეს მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა, ზვიად ძიძიგურმა და კობა დავითაშვილმა დედაქალაქის მერის პოსტზე საკუთარი კანდიდატურები დაასახელეს.

ირაკლი ალასანია ამჟამად საქართველოში არ არის. ის თურქეთში იმყოფება. მას შემდეგ, რაც ალასანია საქართველოში ჩამოვა, ალბათ გასცემს იმ კითხვას პასუხს, მიიღებს თუ არა ოპოზიციურ პრაიმერში მონაწილეობას.

აქამდე პრაიმერის იდეას მაინცდამაინც არ ეწინააღმდეგებოდნენ „ახალი მემარჯვენეების“ წევრები. მართალია ისინი ნგადაჭრით არ ამბობდნენ ირაკლი ალასანია მიიღებს თუ არა პრაიმერში მონაწილეობას, თუმცა, არც იმას ამბობდნენ, რომ პრაიმერი მიუღებელია.

პრაიმერის იდეის ჩავარდნის შემთხვევაში, ოპოზიციური პარტიების ლიდერებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბება. თუ მანამდე მერობის ოპოზიციური კანდიდატები „წითელ ხაზებს“ იცავდნენ და ერომანეთის კრიტიკას ერიდებოდნენ, პრაიმერის ჩავარდის შემთხვევაში ვითარება შეიცვლება.

პრაიმერის მომხრეები და მოწინააღმდეგეები შესაძლოა ისე დაერივნენ ერომანეთს, რომ ამასობაში არჩევნებიც დაავიწყდეთ. სანამ ოპოზიციის ნაწილი პრაიმერზე ფიქრობს, ხოლო ნაწილი ამის გარეშე აპირებს ბრძოლას, მერობის მსურველთა რიცხვი იზრდება.

ირაკლი ალასანიას, კობა დავითაშვილს, ზვიად ძიძიგურის, დავით იაკობიძის, ვალერი კვარაცხელიას შემდეგ ოპოზიციიდან კიდევ ვის გაახსენდება, რომ თბილისის მერის სავარძელი მომხიბვლელია, ეს თანდათან გამოიკვეთება. თუ წლის ბოლომდე ოპოზიციური კანდიდატურების რიცხვი ათეულის ფარგლებში იქნება, მომავალ წელს დედაქალაქის მერობის სურვილთა რიცხვმა შესაძლოა ათეულს გადააჭარბოს.

გამორიცხული არ არის, რომ თბილისის მერობა ისეთი პარტიის ლიდერებსაც მოუნდეს, რომლის შესახებაც საზოგადოება ნაკლებად ინფორმირებულია. ანუ როგორც იტყვიან, ერთკაციან პარტიებს მერობის სურვილი გაუჩნდეთ.

ჯერჯერობით მერობის არც ერთ კანდიდატს არ წარმოუდგენია პროგრამა თუ რის გაკეთებას აპირებს თბილისელებისთვის. შესაძლოა ვინმემ თქვას, რომ საქართველოში არჩევნებს პროგრამები არ იგება, მაგრამ საარჩევნო პროგრამის არსებობა აუცილებელი რომ არის, ეს ყველამ იცის.

საარჩევნო პროგრამების არარსებობა შესაძლოა იმითაც არის გამოწვეული, რომ ჯერ არჩევნების თარიღი არ არის დანიშნული. მას შემდეგ კი, რაც არჩევნების თარიღი ოფიციალურად დაინიშნება, აქტიური პროცესები დაიწყება.

მართალია თვითმმართველობის არჩევნები მთელი საქართველოს მასშტაბით ტარდება, მაგრამ ყველაზე დიდი ინტერესი მაინც თბილისშია, რადგან სხვა ქალაქებისგან განსხვავებით, მხოლოდ თბილისს ეყოლება 4 წლის ვადით პირდაპირი წესით არჩეული მერი.

თელავში „ქართული აკადემიის“ კახეთის წარმომადგენლობა გაიხსნა

თელავში „ქართული აკადემიის“ კახეთის წარმომადგენლობა გაიხსნა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ „ქართული აკადემიიდან“ აცნობეს, კახეთის წარმომადგენლობას ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ჯავახიშვილი უხელმძღვანელებს.

„ქართული აკადემიის“ კახეთის წარმომადგენლობა ყურადღებას მეცნიერების, სასკოლო და უმაღლესი განათლების, ხელოვნების, სამუზეუმო, საბიბლიოთეკო სფეროებში შექმნილ პრობლემებზე გაამახვილებს. იგი შეეცდება საზოგადოებრივი აზრის შექმნასა და მობილიზაციას რეგიონში სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროების გადარჩენის მნიშვნელოვანი საქმის გარშემო.

ინტერპრესნიუსი

ქართველმა და ნორვეგიელმა ახალგაზრდებმა ერთობლივი სემინარი ჩაატარეს

ქუთაისში, სასტუმრო „გელათში“ ახალგაზრდა სოციალისტებმა და ნორვეგიის ახალგაზრდა ლიბორისტებმა, რომელიც წარმოადგენენ მმართველი ლიბორისტული პარტიის ახალგაზრდულ ორგანიზაციას, ერთობლივი სემინარი გამართეს. ამის შესახებ „მედიანიუსს“ ახალგაზრდა სოციალისტების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, ხალიმე ელუტაშვილმა აცნობა. მისი თქმით, სემინარი ახალგაზრდა სოციალისტებისა და ახალგაზრდა ლიბორისტების თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში გაიმართა, რაც უკვე მესამე წელია არსებობს.

„აღნიშნული სემინარის მიზანი იყო ახალგაზრდა სოციალისტების წარმომადგენლებმა შეისწავლონ თავისი ნორვეგიელი კოლეგებისგან პოლიტიკური კამპანიების მომზადება და გამართვა. ასევე, სემინარზე ისაუბრეს სტუდენტთა უფლებებსა და სოციალ-დემოკრატიაზე, ხოლო სემინარის ბოლოს ზემოთ აღნიშნულ თემებზე სტუდენტებსა და ნორვეგიელ ახალგაზრდებს შორის დისკუსია გაიმართა.“ - განაცხადა გელუტაშვილმა.

პროექტი განხორციელდა ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა სოციალისტების ქუთაისის წარმომადგენლებმაც.

მედიანიუსი

20 დეკემბერს სპორტის სასახლეში ადვოკატთა ასოციაციის კრება ჩატარდება

20 დეკემბერს სპორტის სასახლეში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის კრება ჩატარდება. ადვოკატები ადვოკატთა ასოციაციის ახალ თავმჯდომარეს, აღმასრულებელ საბჭოს და მმართველობის სხვა რგოლების წარმომადგენლებს აირჩევენ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში 4 ათასამდე ადვოკატია განევრიანებული. ასოციაციის წევრთა საერთო კრება გასულ წელს უნდა გამართულიყო, მაგრამ კვორუმის არარსებობის გამო ჩაიშალა.

ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი დავით ლანჩავა იმედოვნეს, რომ ამჯერად მათ ეს პრობლემა არ ექნებათ და კვირას, 20 დეკემბერს ადვოკატები შეძლებენ აირჩიონ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, აღმასრულებელი საბჭო, ეთიკისა და სარევიზიო კომისიები.

ადვოკატები სპორტის სასახლეში შეკრებასა და რეგისტრაციას დილის ცხრა საათიდან დაიწყებენ.

ვაგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“ ნომერზე 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მძრენველობამოკლებულ ბავშვებს.

ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!

ფონდი „იავნანა“, გზა „ახალი თაობა“

კახა ასლანიშვილმა 52.000 ლარი უკანონოდ მიითვისა

შორენა კოწოწაშვილი

„ადვოკატთა პროფკავშირები“ ადვოკატ ნათია სირაძის დაუყოვნებლივ გათავისუფლების მოთხოვნით საგაფიცვო კომიტეტს ქმნის. ადვოკატ სირაძის დაპატიმრებას ადვოკატები ხელისუფლების მიზანმიმართულ პოლიტიკას უკავშირებენ.

გუშინ ადვოკატთა პროფკავშირების სხდომაზე ადვოკატებმა სამართლიანი სასაამართლოს და სამართლიანი მართლმსაჯულების აუცილებლობაზე ისაუბრეს. ადვოკატები მიიჩნევენ, რომ თუ სირაძის დაპატიმრების ფაქტს ყურს წაუყრუებენ, ადვოკატების დაპატიმრებები ტენდენციად იქცევა.

ზაზა ხატაიშვილის თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ ნათია სირაძე კვირაზე მეტია უკანონო პატიმრობაშია მოწმის ჩვენების იძულების ბრალდებით, ადვოკატთა საგაფიცვო კომიტეტი აპირებს პროტესტის ყველა ფორმას მიმართოს, რათა სასამართლომ ადვოკატი ნათია სირაძე უკანონო პატიმრობიდან გაათავისუფლოს.

ადვოკატებმა იმსჯელეს „ადვოკატთა ასოციაციაში“ შექმნილ მდგომარეობაზე და განაცხადეს, რომ ასოციაცია უფრო ქმედითი ორგანიზაცია უნდა გახდეს და მან უნდა შეძლოს ადვოკატების უფლებების რეალური დაცვა.

ადვოკატ გელა ნიკოლეიშვილის თქმით, პროფკავშირები აყალიბებს საკოორდინაციო ცენტრს, რომელიც ორი ძირითადი მიმართულებით იმუშავებს. ესენია: სასამართლო სისტემაში არსებული დარღვევების წარმოჩენა და დაკავებული ადვოკატების საქმეების მოძიება და განხილვა.

ამასთან, ადვოკატთა პროფკავშირების წევრებმა გუშინვე დაასახელეს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეობის საკუთარი კანდიდატი. ადვოკატ გელა ნიკოლეიშვილის თქმით, ადვოკატთა ასოციაციას უნდა ჰყავდეს:

— ჩვენ, ადვოკატთა პროფკავშირებმა შევთავაზერეთ „ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარეობის კანდიდატურები და წარვადგინეთ ზაზა ხატაიშვილის კანდიდატურა. ზაზა ხატაიშვილი თავისი გამოცდილებით, პროფესიონალიზმით, სამართლიანობით, მუდმივად სიმართლისთვის ბრძოლით გამორჩეული ადვოკატია და ვფიქრობ, ადვოკატების უმეტესობა მხარს ხატაიშვილის კანდიდატურას დაუჭერს. ჩვენ ყველა სტრუქტურაში გვეყოლება ჩვენი კანდიდატი და ადვიკატთა ასოციაცია უფრო ქმედითი ორგანიზაცია გახდება, — განაცხადა „ადვოკატთა პროფკავშირების“ წევრმა გელა ნიკოლეიშვილმა. მისი თქმით, ზაზა ხატაიშვილი არის ადვოკატების უფლებების რეალური დამცველი იმ დროს, როცა ხელისუფლება მთლიანად ადვოკატის ინსტიტუტს ებრძვის.

ზაზა ხატაიშვილის კანდიდატურას მხარი დაუჭირა აგრეთვე ადვოკატმა მალხაზ ჯანგირაშვილმა. მისი თქმით, ადვოკატთა ასოციაციის ხატიაშვილის მსგავსი, ადვოკატების აქტიური დამცველი ასოციაციის თავმჯდომარე უნდა ჰყავდეს. მალხაზ ჯანგირაშვილის თქმით, ადვოკატ სირაძის უკანონო პატიმრობას ყველა ადვოკატი უნდა დაუპირისპირდეს და ეს საქმე რეალურად ადვოკატების ღირსების საქმედ უნდა იქცეს.

პროფკავშირების სხდომას ესწრებოდა ადვოკატი თამუნა ქუთათელაძე, რომელიც, ასე ვთქვათ, „დაჭერის“ კანდიდატია იქიდან გამომდინარე, რომ მის წინააღმდეგ აღძრულია სს საქმე პროკურორის დაწყვლისთვის, პროკურორის ღირსების შელახვის გამო.

ადვოკატ ქუთათელაძის განცხადებით, მისი პრომლება ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელმა კახა ასლანიშვილმა უყურადღებოდ დატოვა, ერთადერთი ხატაიშვილი იყო, რომელიც გვერდში დაუდგა და დროული რეაგირება მოახდინა.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, შეიქმნება ადვოკატების ორი სია. ერთი — ვინც აღიარებს, რომ ამ ქვეყანაში სამართლიანი სასამართლო არ არსებობს, და მეორე სიაში კი ის ე.წ. ადვოკატები შევლენ, ვინც ხელისუფლებასთან თანამშრომლობს ანუ პროკურატურასთან ტანდემშია. ეს იქნება ადვოკატთა „შავი სია“.

როგორც ჟურნალისტებთან საუბარში ხატაიშვილმა განმარტა, ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 6 კაციანმა შემადგენლობამ ხელი მოაწერა და გააპროტესტა სირაძის დაკავების ფაქტი. ეს შუამდგომლობა, რომლითაც აღმასრულებელი საბჭო ნათია სირაძეს თავდებში უდგება, სასამართლომ არ განიხილა.

— იმ ბრალდებით, რომლითაც ადვოკატი სირაძეა დაჭერილი, არის წმინდა წყლის პროვოცირება. მით უმეტეს, ერთიდან სამ წლამდე დანაშაულის ჩადენაში ედება ადამიანს ბრალი და პროკურატურა შედის შუამდგომლობით, სირაძე გამოძიებას დაემალებაო. არადა, სირაძე ოთანაძის ადვოკატი იყო და ყოველ მეორე დღეს მუხროვანის პროცესზე იჯდა. გამოძიებას როგორ დაემალებოდა, როცა ლამის ყოველდღე პროცესები ჰქონდა? — განაცხადა ხატაიშვილმა და ყველა ადვოკატს მოუწოდა, 20 დეკემბერს ადვოკატთა ასოციაციის კრებაზე სირაძის კანდიდატურას მხარი დაუჭიროს აღმასრულებელი საბჭოს წევრად.

— ხელისუფლებამ არ შეიგნო, რომ ნათია სირაძე არის უკანონოდ დაპატიმრებული, ადვოკატთა პროფკავშირები გადადის ფართომასშტაბიან საგაფიცვო მოქმედებებზე და აუცილებლად ჩაბარებს საპროტესტო აქციებს ევროკავშირისა და ევროპარლამენტის წინ. ამაზე ადვოკატები ვთანხმდებით. ვსვამ კითხვას: როცა ლუკაშენკო პერსონა ნონგრატად გამოაცხადეს, ის აკეთებდა თუ არა იმას, რაც ამ ხელისუფლებამ სირაძესთან მიმართებაში გააკეთა? რა თქმა უნდა, ლუკაშენკოს ეს არ გაუკეთებია, — განაცხადა ზაზა ხატაიშვილმა. მისი თქმით, ადვოკატებმა ფარდა უნდა ახადონ, სააკაშვილს ნიღაბი იქ უნდა ჩამოხსნან, სადაც მას მხარს უჭერენ. სირაძის საქმე კი უნდა იყოს ყველა ადვოკატის გამოფხიზლება.

ზაზა ხატიაშვილი:

— ის, რომ ასოციაციის ერთიანობა შევინარჩუნეთ ამ ფაშიზტური რეჟიმის პერიოდში და რომ ასოციაცია მარტივ მამრავლებად არ დაიშალა, ეს უკვე არის იმის საფუძველი, რომ ადვოკატთა ასოციაცია გადარჩება.

— ადვოკატთა ასოციაციის დაშლა უნდოდათ?

— რა თქმა უნდა. კანონში სპეციალურად იყო ჩადებული, რომ სიითი შემადგენლობის უმრავლესობას უნდა აერჩია აღმასრულებელი საბჭო. როცა უნდოდა ხელისუფლებას მაშინ დაშლიდა ამ ორგანიზაციას და ამის საშუალებას მას კანონი მისცემდა. ადვოკატთა ასოციაციის დამოუკიდებლობის გარანტი არის ეთიკის კომისია. ზოგიერთი ჩვენი კოლეგა თვლის, რომ რადენიმე ასოციაცია უნდა იყოს. როგორ შეიძლება ეთიკის კომისია იყოს რამდენიმე. ეთიკის კომისია უნდა იყოს ერთი, რომელიც ადვოკატთა დისციპლინური გადაცდომის დროს ადვოკატის საქმეს განიხილავს. თუ ერთიანი ასოციაცია არ ექნება, ეთიკის კომისიას ან იუსტიციის უმაღლესი საბჭო წაიღებს, ან იუსტიციის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო. ერთიც სახელმწიფოს დაქვემდებარებაშია და მეორეც. ანუ ყველა ადვოკატის საქმიანობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ, რადგანაც მათ შეეძლებათ ნებისმიერი ადვოკატი ამ დამსჯელი უწყებით გააკონტროლონ.

— ანუ ადვოკატთა დამოუკიდებლობას საფრთხე შეექმნება?

— რა თქმა უნდა. რაც გოჩა სვანიძე ასოციაციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად მოვიდა, ადვოკატთა კორპუსმა შეძლო კანონში ცვლილებების შეტანა. ეს ძალიან კარგია. სვანიძის მოღვაწეობა იყო ცალსახად დადებითი, რასაც ვერ ვიტყვი კახა ასლანიშვილის მოღვაწეობაზე.

— რატომ, ასლანიშვილის პირობებში ასოციაციაში ყველაფერი კანონის ფარგლებში ვერ მომდინარეობდა?

— ასლანიშვილმა ადვოკატურა კრახამდე მიიყვანა.

— ითქვა. თითქოს ასლანიშვილის პერიოდში ადვოკატთა ასოციაციაში ფინანსების კუთხით სერიოზული პრობლემები იყო. ფინანსების არამიზნობრივი ხარჯვა მოხდა ასოციაციის ანგარიშებიდან?

— კი. მე ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს მივმართე დაახლოებით 7-8 თვის წინ და მივუთითე, რომ კახა ასლანიშვილმა უკანონოდ მიითვისა 52.000 ლარი ხელფასის სახით, როცა ის ასოციაციის თავმჯდომარის ფუნქციას არ ასრულებდა ანუ შეჩერებული ჰქონდა. მაშინ ასლანიშვილმა ერთჯერადად 52.000 ლარი გამოიტანა. ამაზე მქონდა ძალიან მკაცარი რეაგირება. ჩემი მოთხოვნით შეიკრიბა ადვოკათა აღმასრულებელი საბჭო და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ასლანიშვილმა ეს თანხა უკანონოდ მიითვისა.

— ანუ რეალურად ასლანიშვილმა დანაშაული ჩაიდინა?

— რა თქმა უნდა, მაგრამ კახა ასლანიშვილი იყო ხელისუფლების მიერ დანიშნული თავმჯდომარე. ხელისუფლებამ მოახვია თავს ასოციაციას მისი კანდიდატურა და მაშინ ამას არავინ დაუფიქრდა, ფაქტობრივად ვიცით, რომ ეს ხელისუფლება ასლანიშვილს არ დასჯის.

— ადვოკატების წინააღმდეგ მიზანმიმართული კამპანიაა?

— რა თქმა უნდა. ეს არის სახელმწიფო გეგმა. ამ გეგმას ყველაზე უკეთ ახორციელებს აბულაე, რომელიც დიდი ხანია უკვე ციხეში უნდა იჯდეს იმ ბრალდებისთვის, რომელიც მას წაუყენეს — ჟურნალისტის გაუპატიურების მცდელობა. ამაზე დიდი ხმაური ატყდა, მაგრამ როგორ ჩაიფარცხა, არავინ იცის. სხვა ხელისუფლების პირობებში აბულაძე საბრალდებო სკამზე დაჯდება. ერთი რამ მინდა გითხრათ: თუ ადვოკატები სახელისუფლო კანდიდატს გაიყვანენ, ეს კატასტროფა იქნება. იმიტომ, რომ ადვოკატებს პანტა-პუნტით იჭერენ და ამაზე რეაქცია არავის აქვს.

ლოკვაძის პროცესი: რას ედავებიან დები გულიაშვილები დებ გოჩელაშვილებს

ნანა გოჩელაშვილი: „ელზა გულიაშვილის დამცველად გოჩა კვირჭიშვილის ოჯახმა დამიქირავა“

გულიკო ბალა ე

თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლე ეკა არეშიძის თავმჯდომარეობით გრძელდება ირაკლი დოკვაძის სასამართლო პროცესი.

ირაკლი დოკვაძეს გამოძიება ბრალად სდებს 25 აპრილს ფალიაშვილის ქ №90-ში მცხოვრები გოჩა კირჭიშვილისა და მისი მეუღლის განზრახ მკვლელობის მცდელობას, რასაც ბრალდებული კატეგორიულად უარყოფს.

სასამართლოს ორ სხდომაზე დაზარალებულ ელზა გულიაშვილი დები დაიკითხნენ, რომლებიც გოჩა კვირჭიშვილის დედასთან, იზოლდა გაბუნიასთან ერთად პირველებმა ნახეს ბინაში ელზა გულიაშვილი.

სასამართლო პროცესზე ელზა გულიაშვილი ჯერ არ დაკითხულა. როგორც ადვოკატი ნანა გოჩელაშვილი აცხადებს, ის ქმედუუნაროდ არის ცნობილი. მისი დებისგან კი მოვისმინეთ, რომ ელზა გულიაშვილს თავისი აზრის გამოთქმა შეუძლია.

ელზა გულიაშვილის დებმა სასამართლოს საანდაღური ჩვენება მისცეს, რამაც შეიძლება რადიკალურად შეცვალოს საქმის ვითარება და ირაკლი დოკვაძე სრულიად უდანაშაულოდ აღმოჩნდეს დაპატიმრებული. ისინი მუდმივად უკმაყოფილებას გამოხატავენ და პირდაპირ საყვედურებით მიმართავენ ადვოკატ დებს გოჩელაშვილებს, რომ ისინი მათ ინტერესებს არ იცავენ.

თუმცა, სიმართლე ბოლომდე რომ გაირკვეს, საჭიროა დაიკითხოს ელზა გულიაშვილი, რომელსაც, როგორც სასამართლო პროცესზე მოვისმინეთ, ირაკლი დოკვაძის სურათის ნახვაზე რეაქცია არ აქვს და უარყოფს ირაკლი დოკვაძის მიერ იმ დანაშაულის ჩადენას, რომელსაც აბრალებენ. როგორც ირკვევა, ელზა გულიაშვილი გამოჯანმრთელების გზაზეა, ადეკვატურია და თავისი აზრის გამოხატვა შეუძლია.

სასამართლო პროცესზე ელზა გულიაშვილის დებმა განაცხადეს, რომ მათ ადვოკატი არ ჰყავთ, დაზარალებული მხარის ინტერესების დამცველებად წარმოდგენილი ადვოკატები დები გოჩელაშვილები კი მათი დამცველები არ არიან.

ჩვენ ვესაუბრეთ დაზარალებულის ადვოკატ **ნანა გოჩელაშვილს,** რომელმაც განაცხადა, რომ ის და მისი და გოჩა კვირჭიშვილის ოჯახმა დაიქირავა (თან სიმბოლურ ფასად).

— ქალბატონო ნანა, თქვენი მისამართით სასამართლო პროცესზე არაერთხელ გამოითქვა პრეტენზია.

— ჩემ მიმართ არ შეიძლება იყოს პრეტენზია, რადგან ამ შემთხვევაში ელზა გულიაშვილის ინტერესს იცავს მისი ქმრის ოჯახი. ქალბატონმა იზოლდა გაბუნიამ აიყვანა ადვოკატები იმისთვის, რომ დაცული ყოფილიყო მისი ოჯახის წევრების, ელზა გულიაშვილისა და გოჩა კვირჭიშვილის ინტერესები. თუ ელზა გულიაშვილის დებს უნდათ, მათი ოჯახის ინტერესი სხვამ დაიცვას, ან თვითონ განახორციელონ მისი დაცვა, ასეთ შემთხვევაში ისინი უნდა დაინიშნონ ელზა გულიაშვილის მეურვეებად. იმ წუთიდან, როცა რომელიმე გახდება ქმედუუნარო ელზა გულიაშვილის მეურვე და დანიშნავენ ახალ ადვოკატს, ნანა გოჩელაშვილი აღარ იქნება ელზა გულიაშვილის ადვოკატი. მე ჰონორარის გარეშე ვიცავ დღეს მათ იმიტომ, რომ მე ძალიან მტკივა. ეს არ არის ჩემთვის რიგითი საქმე, როგორც ადვოკატისთვის. ეს არის ჩემი უახლოესი ადამიანის ინტერესების დაცვა.

— მაგრამ სასამართლოზე არაერთხელ განაცხადეს ელზა გულიაშვილის დებმა, რომ თქვენ მათ არ აუყვანიხართ ადვოკატად.

— მათ არ ავუყვანივართ ადვოკატად, ოჯახმა აგვიიყვანა. ელზა გულიაშვილს ჰყავს მეუღლე და შვილი. მისი ოჯახი არის გოჩა კვირჭიშვილის ოჯახი. აქედან გამომდინარე, გოჩა კვირჭიშვილი და მისი ოჯახი წევრი ვისაც აირჩევდა მისი ცოლის დამცველად, ის იქნებოდა ელზა გულიაშვილის დამცველი. გოჩა კვირჭიშვილმა დამცველად ჩვენ აგვირჩია.

ქალბატონ დებთან მე მაქვს ცუდი ურთიერთობა მას შემდეგ, რაც მათთვის ცნობილი იყო, რომ მე კვირჭიშვილებთანაც ნორმალური ურთიერთობა მქონდა და მათთანაც, ამიტომ ერთადერთი დამაკავშირებელი რგოლი, როცა კვირჭიშვილს, მის ოჯახსა და გულიაშვილს ურთიერთობა გაუფუჭდათ, ჩვენ ვიყავით. აქედან გამომდინარე, დამირეკეს და მთხოვეს, მივსულიყავი კვირჭიშვილების ოჯახში და 60 ათასი დოლარი თუ ევრო გამომერთმია ელზას რეაბილიტაციისთვის, რაც ჩემს უფლებამოსილებაში არ შედიოდა. ამიტომ უარი განვაცხადე და ვუთხარი, რომ ეს არის თქვენი ოჯახების მოსაწესრიგებელი საქმე და ძალიან გთხოვთ, მე ნუ გამრევთ-მეთქი.

— სასამართლოზე პირიქით მოვისმინე, რომ კვირჭიშვილების ოჯახი დებს ევაჭრებოდა, ფულს და ბინას სთავაზობდა და ა.შ. რაზეც თქვენ საპასუხოდ იქ არაფერი გითქვამთ.

— არა, არა. მე მაქვს მაღალი კულტურა და ვიცი ჩემი ადგილი სასამართლო პროცესზე, რას უნდა ვაკეთებდე და არ შეიძლება დარბაზიდან ნასროლ რეპლიკას ადვოკატმა, რომელმაც თავისი ადგილი იცის პროცესზე, პასუხი გასცეს.

— დარბაზიდან ნასროლ რეპლიკაზე არ ვსაუბრობ, ეს გულიაშვილებმა მოწმის სახით დაკითხვისას განაცხადეს.

— მოწმის ჩვენებებზე ჩვენ რეპლიკას არ ვაკეთებთ. სასამართლოს ბოლო სხდომაზე შეგიძლიათ დაესწროთ, სადაც ჩვენ დაცვით სიტყვას წარმოვთქვამთ. ჩვენი დაცვითი სიტყვა იქნება დაწერილი, ჩამოყალიბებული და ერთ ეგზემპლარს პირადად გადმოგცემთ. იქიდან გამომდინარე, რომ ადვოკატი ვერ იქნება რომელიმე ოჯახის ხაზინადარი, შეიძლება ის სალანძღავი გახადოს ვიღაცამ?! ამაზე მე პასუხსაც არ გავცემ. მათ, ამ დიდი ტრავმის გამო, თავისი მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობა ეყოფათ და (მე მორწმუნე ადამიანი ვარ), დადგება დრო, როცა ისინი სულ სხვანაირად შეხედავენ ამ ყველაფერს. ამ წუთში ელზა გულიაშვილის დები ძლიერი სტრესის ქვეშ იმყოფებიან. აქ დიდი როლი ითამაშა განსასჯელის მხარემ, რომელიც ყველა საშუალებით ცდილობდა ურთიერთობა დაეძაბა ორ ოჯახს შორის.

— განსასჯელის მხარე რა შუაშია, როცა გულიაშვილები თვითონ ლაპარაკობ-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

საქართველოს რკინიგზამ ულტრათანამედროვე სამგზავრო შემადგენლობა მიიღო

საქართველოს რკინიგზამ 4 მილიონი ლარის ღირებულების უახლესი ულტრათანამედროვე სამგზავრო შემადგენლობა მიიღო. ვაგონებით დატვირთული გემი „უნიონ გრეტა“ ფოთის პორტში დღეს შევიდა. იგი შანხაიში დაიტვირთა. საქართველოს რკინიგზის დაკვეთით ევროსტანდარტების შესაბამისი სამგზავრო მატარებლები ჩინეთში აიწყო. „სიესარა“, სადაც აღნიშნული ვაგონები დამზადდა, ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიაა. პროექტის ძირითადი სამუშაოები უკვე შესრულებულია. სამივე სამგზავრო შემადგენლობა საბოლოო სახეს თბილისში ვაგონშემკეთებელ ქარხანაში მიიღებს, თითოეული 300 მგზავრზეა გათვლილი.

პროექტის საერთო ღირებულება 12 მლნ ლარია. სამგზავრო მატარებლები, სავარაუდოდ, საკურორტო ქალაქების ფოთისა და ბათუმის მიმართულებით დაინიშნება. ახალი ვაგონები საქართველოს დროშის ფერებშია შეღებილი. **ინტერფაქსი**

ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობა შემცირდა

2009 წლის ნოემბერში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 72.4 მლნაშუ დოლარი შეადგინა, რაც 8.3 მლნ აშშ დოლარით, ანუ 10.3 პროცენტით ნაკლებია ოქტომბრის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ფულადი გზავნილების მოცულობის შემცირება ძირითადად რუსეთიდან მათი ნაკადების კლებამ გამოინვია 6.0 მლნ აშშ დოლარით, ანუ 13.5 პროცენტით. უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 89.5 პროცენტი იმ 8 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ ნოემბერში 1 მლნ აშშ დოლარს გადაჭარბა. იმავე 8 ქვეყანაზე (რუსეთი, საბერძნეთი, უკრაინა, აშშ, Iტალია, თურქეთი, ესპანეთი და კვიპროსი) მიმდინარე წლის ოქტომბერში მთელი ფულადი გზავნილების 88.6 პროცენტი მოდიოდა, — აცნობეს „მედიანიუსს“ საქართველოს ეროვნული ბანკიდან.

2009 წლის ნოემბერში საქართველოდან საზღვარგარეთ 6.1 მლნ აშშ დოლარი გადაიგზავნა, ნაცვლად 6.5 მლნ აშშ დოლარისა ამავე წლის ოქტომბერში. **მედიანიუსი**

ხელისუფლებას საგარეო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები გაცნობიერებული არა აქვს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ზე უფრო მეტად დაკარგავს გავლენას, ამიტომ გაელენის აღდგენაზე საუბარი ცოტა სასაცილოდ მეჩვენება. თუ ჩვენს რუსეთშეებს ჰგონიათ, რომ პოლიტიკურ კარიერას რუსეთზე დაყრდნობით გაიკეთებს, ეს დაახლოებით იმასა ჰგავს, მე-18 საუკუნის ბოლოს, საქართველოში ვინმეს რომ ნდომოდა პოლიტიკური კარიერის გაკეთება და ფსონი აღა-მაჰმადხანის ირანზე დაედო.

— დასავლეთი მოსკოვს 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების შეუსრულებლობას კი საყვედურობს, მაგრამ ევროკავშირისა და ევროკავშირის ცალკეული ქვეყნების რუსეთთან თანამშრომლობა აქტიურ ფაზაში შედის. ამ ფონზე, რამდენად შეიძლება გვქონდეს 12 აგვისტოს შეთანხმების შესრულების იმედი?

— პრობლემა იმაშია, რომ შეთანხმების პუნქტი, რომელიც რუსეთს თავისი სამხედრო ძალის გაყვანას ავალდებულებს, არაერთმნიშვნელოვანია და რამოდენიმე ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. კერძოდ, იმას ვგულისხმობ, რომ მკაფიოდ არ არის დაზუსტებული რუსული სამხედრო ძალის საიდან გაყვანაზეა საუბარი - სამეგრელოდან, გორისა და კასპის რაიონიდან თუ, აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან, ეს კი, 12 აგვისტოს შეთანხმებაში მკაფიოდ არ ჩანს. ეტყობა, მაშინ, როცა ამ დოკუმენტს ხელი ეწერებოდა, ამ გარემოებას სინქრონში ყურადღება არავინ მიაქცია, არადა ეს მუხლი ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და ამას რუსები ჩვენთვის საზიანოდ, სათავეოსოდ კი კარგად იყენებენ. 12 აგვისტოს შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებით მე, სამწუხაროდ, ოპტიმისტური დამოკიდებულება არა მაქვს. იმიტომ, რომ ეს არის ისეთი რიტორიკული დავა, რომელიც შეიძლება წლები მანამდე გაგრძელდეს, სანამ პოლიტიკური კონიუქტიურა არსებითად არ შეიცვლება.

— რა შედეგმა დაუშვა საქართველოს ხელისუფლებამ 2009 წელს საგარეო და საშინაო პოლიტიკაში?

— ამ ხელისუფლებას, ისევე როგორ შევარდნაძის ხელისუფლებას, არავითარი უნარი, გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმვისა, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკის შემუშავებისა არა აქვს. მას შეუძლია მხოლოდ მოვლენებზე რეაგირება და აბსოლუტურად არავითარი უნარი არა აქვს მოვლენებს წინ გაუსწროს და პრევენციული პოლიტიკა გაატაროს. ვიმეორებ, ეს წინა ხელისუფლებასაც ეხება. ყველა შეცდომა სწორედ ერთიანი სტრატეგიის არარსებობას უკავშირდება, ამას კიდევ ბუნებრივად ემატება ხელისუფლების ყველა რგოლში გაბატონებული არაკომეტენტურობა და ელემენტალური უმეცრება.

— 2009 წლის გაზაფხული ოპოზიციის აქტიურობით გამოირჩეოდა. რა შეცდომა დაუშვა ოპოზიციამ ხელისუფლებასთან დაპირისპირებაში და რა შეცდომა დაუშვა ხელისუფლებამ ოპოზიციასთან ურთიერთობაში?

— აქ, არსებითი იმდენად ხელისუფლება-ოპოზიციის დაპირისპირება არ არის, პრობლემა იმაშია, რომ ხელისუფლება საზოგადოების აზრს საერთოდ არ ითვალისწინებს, ოპოზიციას კი საზოგადოების დაკვეთის შესრულების უნარი არა აქვს. ხოლო რაც შეეხება შეცდომას, ოპოზიციას იგივე მოსდის რაც ხელისუფლებას — სტრატეგიის დაგეგმვა და შემუშავება არ შეუძლია. ოპოზიცია და ხელისუფლება ერთნაირად თვლიან, რომ ყველაფერი თავისთავად მოხდება, ანუ ოპოზიცია თვლის, რომ ხელისუფლება თავისთავად გადადგება, ხოლო ხელისუფლება თვლის, რომ ოპოზიცია თავისთავად ჩამოიშლება.

— თქვენი აზრით, სავარაუდოდ, როგორი იქნება 2010 წელი საქართველოსთვის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში?

— არა მგონია, რომ საგარეო პოლიტიკაში არსებითი ცვლილებები მოხდეს, ყოველ შემთხვევაში წლის ბოლომდე მაინც. ვნახოთ, აშშ-ს შვალელური არჩევნები რა შედეგით დასრულდება, მაგრამ, არა მგონია, რომ ამანაც რაღაც ძალიან დიდი გავლენა მოახდინოს საგარეო პოლიტიკაზე. რაც შეეხება საშინაო პოლიტიკას, აქ შეიძლება მოულოდნელი პროცესები მოხდეს. პროცესების არალოგიკურად და მოულოდნელად განვითარებას იმის გამო ვვარაუდობ, რომ ძალიან ალოგიკური სიტუაციაა შექმნილი და როგორც წესი, ალოგიკური სიტუაცია ალოგიკურად მანამდე განვითარდება, სანამ ალოგიკურობა პიკს არ მიაღწევს. ამიტომ, ველოდები პროცესების უცნაურად განვითარებას, მაგრამ ვითარების ალოგიკურობის გამო პროცესის პროგნოზირება ჭირს.

ინტერვიუსნიუსი

ნიკა გვარამიამ ანტიკონსტიტუციური ბრძანება გამოსცა

ნანა მიშელაშვილი

რატომ უწერენ ნიშნებს მოსწავლეებს სხვადასხვა მეთოდით?

ოპოზიციონერი დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი და „განათლების ლიგის“ პრეზიდენტი მანანა ნიკოლაიშვილი განათლების მინისტრს დიმიტრი შაშკინს მიმართავენ და ყოფილი მინისტრის ნიკა გვარამიას მიერ გამოცემული ბრძანებულებების გაუქმებას ითხოვენ.

განათლების ყოფილი მინისტრი გვარამია დეპუტატმა და „განათლების ლიგის“ ხელმძღვანელმა მოსწავლეების წინააღმდეგ დისკრიმინაციული ბრძანებების გამოცემის გამო გააკრიტიკეს. საუბარია იმ ბრძანებებზე, რომლის საფუძველზეც სკოლებში შეფასების სისტემა იცვლება და ტრიმესტრის ნიშნების გამოყვანა ახლებური წესით ხდება.

მანანა ნიკოლაიშვილის განცხადებით, განათლების ყოფილი მინისტრის მიერ გამოცემულია დანაშაულებრივი, ანტიკონსტიტუციური, ანტიადეგოგიური ბრძანებები, რომელითაც შეტანილია ცვლილებები ეროვნულ სასწავლო გეგმაში, კერძოდ, შეფასების სისტემის ძერეულად შესაცვლელად.

ნიკოლაიშვილის თქმით, შეფასების ახალი წესით, მოსწავლეს წაართვეს ყველაზე მნიშვნელოვანი უფლება, ნიშნის გამოსწორების უფლება, რაც გამოიწვევს შემდეგს: ძალიან ბევრი მოსწავლე ვერ აიღებს ატესტატს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ვერ დააგროვებს მინიმალურ 5,1 ქულას, ხოლო ერთი ცხრიანის მიღების შემთხვევაში ათოსნობის შესაძლებლობა ერთმევათ.

— მოსწავლეებისათვის განათლების მაღალი ხარისხი და ნიშანი ყოველთვის მიუღწეველი დარჩება. საბოლოოდ, ჩაკლავენ ბავშვებში სწავლის მოტივაციას, ინტერესს განვითარებისადმი და სწრაფვას განვითარებისადმი, — აღნიშნა ნიკოლაიშვილმა.

ქვეყნის სასკოლო განათლების სფეროში პირველი ტრისემესტრი დამთავრდა 13, 20, 27 ნოემბერს და ზოგგან 8 დეკემბერს. „განათლების ლიგის“ პრეზიდენტის განცხადებით, ისე დასრულდა პირველი ტრისემესტრი და ისე გამოიყვანეს მასწავლებლებმა ნიშნები, რომ მინისტრის ბრძანებით არ იყო განსაზღვრული ტრიმესტრის ნიშნების გამოყვანის ახალი წესი, ამიტომ მასწავლებლებმა ნიშნები გამოიყვანეს აქამდე არსებული წესით.

— სამინისტროს სიტყვიერი მითითებით სასკოლო განათლების სისტემაში მიმდინარეობს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების — ჟურნალების გაყალბება, მასში ახალი ფურცლების ჩადებითა და ნიშნების ახლიდან გამოყვანით დაღმავალი ხაზით, ეი ნიშნების დაკლებით. მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის გაყალბების უფლება არავის არა აქვს, ეს არის დანაშაული, — აღნიშნა მანანა ნიკოლაიშვილიმა.

„განათლების ლიგის“ პრეზიდენტი ფიქრობს, რომ სამინისტროს არა აქვს უფლება, კანონსაწინააღმდეგოდ გასცეს მითითებები, რათა შეცვალოს მოსწავლეთა უკვე დაწერილი ნიშნები. ეს იწვევს ბავშვთა უფებების დარღვევას.

ერთობლივ ბრიფინგზე გიორგი ცაგარეიშვილმა ხაზი გასვა იმ გარემოებას, რომ სხვადასხვა პირობებში არიან ჩაყენებული ის მოსწავლეები, ვინც უცხო ქვეყანაში მიდის სასწავლებლად და ვინც აქ რჩება, რადგან მათი ცოდნის შეფასება განსხვავებული მეთოდით ხდება.

ცაგარეიშვილის თქმით, ნიკა გვარამიას მიერ გამოცემულ ბრძანებაში, რომელიც ამა წლის 4 დეკემბერით არის დათარიღებული, ნათქვამია: „საგნის ტრიმესტრული ნიშნის მეათოდების სიზუსტით დამრგვალების წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს, როცა მოსწავლეს ტრიმესტრული ნიშნების შესახებ ინფორმაცია სჭირდება უცხო ქვეყანაში წარსადგენად. ამ შემთხვევაში ტრიმესტრული ნიშანი მრგვალდება ეროეულის სიზუსტით“.

— ეს იმას ნიშნავს, რომ ევროპაში ისეთი მეთოდია, როგორც საქართველოში იყო მანამ, სანამ გვარამია დაამკვიდრებდა ახალ წესს. ახლა მოქმედებს ისეთი პრინციპი, რომ თუ გაკეთილზე 9-იანს მიიღებ და შემდეგ ოთხ ათიანს, გვარამიასეული მეთოდით, ვერასდროს ვერ გახდები წარჩინებული, იქნები 9,9-ოსანი. ეს არის არასწორი, — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა.

დეპუტატი განმარტავს, რომ მოსწავლეს, რომელიც ევროპაში სწავლის გასაგრძელებლად მიდის, სჭირდება ისეთი მეთოდით დაწერილი ნიშანი, რომელიც ევროპაშია, ხოლო თუ ვერ მიდის საზღვარგარეთ, მისთვის მოქმედებს ნიკა გვარამიას მიერ დანერგული წესი.

გიორგი ცაგარეიშვილის თქმით, ეს არის დისკრიმინაცია, რადგან მდიდარი ოჯახიდან ბავშვი თუ უცხო ქვეყანაში სწავლას აგრძელებს, მისთვის ცოდნის შეფასების სხვა წესი მოქმედებს, ვინც საქართველოში რჩება, მისთვის მოქმედებს სხვანაირი წესი.

— არ შეიძლება მოსწავლეები ასე განვასხვაოთ ერთმანეთისგან, ეს დაძაბავს მოსწავლეებს შორის ურთიერთობას. როცა ასეთი დრაკონული წესები შემოაქვს, ამაზე არ უნდა ეფიქრა განათლების ყოფილ მინისტრს? ჩვენ რა გვინდა? მაგალითად, თუ კლასში 30 ბავშვია, 5-ს განსხვავებული შეფასების მეთოდით დავუწეროთ ნიშნები და 25-ს — სხვა მეთოდით. ეს ბავშვებს არ გადაკიდებს ერთმანეთს და არ დაძაბავს ურთიერთობას კლასში? — კითხულობს ცაგარეიშვილი.

გიორგი ცაგარეიშვილი აპირებს, რომ განათლების ახალ მინისტრს დიმიტრი შაშკინს სადეპუტატო შეკითხვით მიმართოს. ცაგარეიშვილს აინტერესებს, თუ რამდენი სრული ათოსანია საქართველოში და რამდენ მოსწავლეს აქვს ხუთზე ნაკლები ქულა.

გააუქმებს თუ არა დიმიტრი შაშკინი ყოფილი მინისტრის, გვარამიას მიერ გამოცემულ ბრძანებულებებს? ამ კითხვაზე ცაგარეიშვილი პასუხობს, რომ გვარამიას მიერ გამოცემული ბრძანებულებები სასწრაფო წესით არის გასაუქმებელი.

ცაგარეიშვილი ასევე საუბრობს სასკოლო ჟურნალების გადასწორების თემაზე. დეპუტატის ინფორმაციით, გვარამიას ბრძანებით, ჟურნალი გახდა მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი, ამიტომ, მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის შესწორება არის დასჯადი ქმედება.

— პედაგოგები, დირექტორები, რომლებიც ჟურნალს გადასასწორებენ, თანამონაწილეები გახდებიან დანაშაულის. მე ვაფრთხილებ ყველა პედაგოგს, ისინი გახდებიან სისხლის სამართლის დამნაშავეები თუ ჟურნალს გადასასწორებენ, — ასეთია ცაგარეიშვილის პოზიცია.

დოკვაძის პროცესი: რას ედავებიან დები გულიაშვილები დებ გოჩელაშვილებს

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ბენ სასამართლოზე, რაც, ალბათ, სიმართლედ მიაჩნიათ და მათთვის რაიმეს თქმა არავის დაუძალებია.

— არავის დაუძალებია, მაგრამ დაძალებაზე არ არის. ეს დაიწყო რამდენიმე თვის წინ, როცა ეს შემთხვევა ახალი მომხდარი იყო. ბოროტმა ადამიანმა მეორე დღიდან დაიწყეს ენების მიტან-მოტანა და შეკრული ოჯახი ერთმანეთს ასე დააცილეს. ეს ის საკითხია, რომელიც ჩემი საკითხი არ არის. დები გულიაშვილის სტრესული მდგომარეობა ცუდმა ადამიანებმა ცუდად გამოიყენეს. ეს ყველაფერი იმისთვის ხდებოდა, რომ გამოძიება თავის დროზე არასწორ გზაზე დაეყენებინათ.

— პირიქით, სასამართლო პროცესზე მოვიხმინე, რომ თქვენ ეუბნებოდით ელზა გულიაშვილს, ის არ თქვათ თუ არ დაწეროთ ჩვენებაში, ხომ იცით, ოჯახს ნამუსი უნდა შეეუნახოთო. თქვენ გინდოდათ, რომ მათ სიმართლე არ ეთქვათ?

— მე მათთან ურთიერთობა არ მაქვს და საიდან ვეტყოდი?

— წინასწარი გამოძიების დროს ჩვენების მიცემისთვის თქვენ ამზადებდით და ეუბნებოდით, რომ ვკრჭიშვილებზე რაღაც არ ეთქვათ. მათ ასე თქვეს სასამართლოზე.

— მე ისინი არ მომიმზადებია. ძალიან ცოტა დრო მქონდა ამისთვის, რომ ვინმე მომეზადებინა. უბრალოდ, რჩევა მივეცი, როცა იბარებდნენ გამოძიებაში — მე მათ ვუთხარი, ძალიან გთხოვთ, მიდით და მიეცით ჩვენება თქვენი დის ინტერესიდან გამომდინარე, ნუ გააკეთებთ იმას, რომ თქვენ სადე იძულებით მიგიყვანონ. ანალოგიური მოხდა, როცა სასამართლოშიც მოწმეებად არ მოდიოდნენ — ზარი განვახორციელეთ და ვუთხარით, ძალიან გთხოვთ, პოლიციის ძალით, იძულების წესით ნუ მოაყვანინებენ თავს, რადგან თქვენ ბრალდების მოწმეები ხართ-მეთქი. მაროლა მჭკივნა ის ადამიანები, თორემ არავის დავურეკავდი.

— თქვენ ბრძანებთ, გოჩა კვირჭაშვილი თავისი მეუღლის ინტერესებს იცავსო...

— რა თქმა უნდა, იცავს..

— ამ დროს გამაოგნებელია ის ინფორმაცია, რომ გოჩა კვირჭაშვილი დედას, ელზა გულიაშვილს, შვილს არ აჩვენებს.

— გოჩა რაღაც პერიოდი გაუნძრევლად იწვა და მასთან კონტაქტიც კი... რაც შეეხება ქალაქატონ იზოლდას, მასთან ელზა გულიაშვილის დები დაპირისპირებულ მდგომარეობაში არიან.

— ერთ-ერთ დას სცემაო მანქანასთან დაკავშირებით, მერე დები ბავშვის სანახავად რომ მივიდნენ, პატრულს გამოუძახაო. რამდენად ნორმალურად მიგაჩნიათ ეს თქვენ?

— არ ვიცი. ყველა მხარეს თავისი სიმართლე აქვს, ყველა ამბობს იმას, რაც მას სიმართლედ მიაჩნია. მე ასეთ განცხადებებს შეფასებას ვერ მივცემ. არ ვარ თვითმხილველი, არც პირველწყაროდან გამიგია, არც ის ვიცი, მართალს ამბობენ თუ ტყუილს მაშინ, როცა მხარეები საოცრად დაპირისპირებული არიან და ერთმანეთს, შესაძლებელია, ბევრ რამესაც აბრალებდნენ.

— გოჩა კვირჭაშვილმა თავის ჩვენებაში განაცხადა, რომ ის ეკიმია და თითქოს იცის, რომ ელზა ნორმალურ მდგომარეობაში ვერასოდეს იქნება. ამ დროს ირკვევა, რომ ელზა ადეკვატურია, თავისი აზრის გამოთქმა ნორმალურად შეუძლია.

— გოჩა ეკიმია და იცის. გოჩა კვირჭაშვილის ოჯახი ყოველთვის კითხულობდა მისი ცოლის მდგომარეობას და იცნობენ დიაგნოზს და ყველა საქმიანცინო დოკუმენტს, რაც არსებობს. გოჩა კვირჭაშვილმა, როგორც ექიმმა, ეს დასკვნა, შესაძლებელია, გააკეთა იმ ჩანაწერებიდან გამომდინარე, რაც არსებობს, მაგრამ ტვინი ისეთი ფენომენია, რომ წინასწარ პროგნოზს ვერც მედიკოსები აკეთებენ და ვერც ვერავინ გააკეთებს. ამიტომ, შესაძლებელია, ავადმყოფობის ისტორიიით და ჩანაწერებით სურათი ისეთი იყოს, რაც ითქვა. ამას ექსპერტებიც ადასტურებენ. მაგრამ, შესაძლებელია, სულ სხვა რამ მოხდეს. ღმერთმა ქნას, რომ სხვა რამ მოხდეს.

— სასამართლოზე მოვიხმინე, რომ გოჩას არ სურდა, რომ ელზას ჩვენება მიეცა.

— ჟურნალისტებს გთხოვთ, იყოთ ძალიან კორექტულები ორივე ოჯახის მიმართ იმიტომ, რომ ამ ოჯახებს თავისი უბედურება ეყოფათ. ეს ორი ოჯახი ვიღაცამ გადაკიდა, ერთმანეთს ძალიან ცუდად დაატაკა.

— თურმე ელზა ტელევიზორში ბავშვს რომ დაინახავს, ტირის. ეს რამდენად ნორმალურად მიგაჩნიათ?

— ბავშვს ძიძები ჰყავს. ქალბატონ იზოლდას წინადადება იყო, რომ ძიძებთან ერთად ბავშვი ელზას გავუგზავნოთო, მაგრამ შემდეგ, რამდენადაც ვიცი, დებიდან მიიღეს პასუხი და ექიმსაც უთქვამს, რომ ან საერთოდ დედასთან უნდა იყოს ბავშვი... მიუყვანო და წაართვა, თუ ის ცნობიერია, ძალიან რთული ფაქტორია. ჩვენ, პირიქით, იმასაც ვფიქრობთ, რომ, საერთოდ, დებისა და დედამთილს ... რასაც ვფიქრობ, ხმამაღლა განვაცხადებ — ღმერთმა ქნას, რომ ელზა სულ მალე ფეხზე დადგეს. გოჩაც, იმედია, ფეხზე გაიკლის. მისთვის დაგვიანებულია ის მკურნალობა, რომელსაც ახლა გადის, მაგრამ რაღაც ფორმით ხომ შეძლებს გადაადგილებას მაინც (აბსოლუტურად პარალიზებული წაიყვანეს აქედან ისრაელში), რომ ამ ოჯახმა ცალკე იცხოვროს ყოველგვარი ოჯახის წევრის გარეშე, რადგან ბავშვს სჭირდება დედაც და მამაც. ბავშვი არ არის რაღაც ნივთი, ან ერთს მიაკუთვნო, ან — მეორეს. ეს არის გოჩას სურვილიც. გოჩამ თქვა, მე იმიტომ უნდა დავდგე ფეხზე, რომ მე ჩემს ჭერქვეშ, ჩემს ცოლსა და შვილთან ერთად ვიცხოვროო. ჩემს შვილს სჭირდება დედა, როგორიც არ უნდა იყოს ის და სჭირდება მამა, რომელიც შეძლებს შვილის ნორმალურად აღზრდასო.

ელზა გულიაშვილი ძალიან დაფასებული და გამონაწორებული ადამიანი იყო, სრულად შეეძლო გაეცნობიერებინა, ვისთან ქმნიდა ოჯახს, ვის მიჰყვებოდა და როგორი ოჯახი უნდოდა შეექმნა. მისი არჩევანი იყო გოჩა კვირჭაშვილი და იქნება კიდეც იქიდან გამომდინარე, რომ შვილი, რომელიც გაჩინა, არის გოჩა კვირჭაშვილის შვილი.

საქართველოში მკვეთრად იმატა ნარკომანი ქალების რიცხვმა

ნარკომანების რიცხოვნებით საქართველო მსოფლიოს პირველ ათეულში შევიდა

თეა მარნეული

საქართველოში ნარკოტიკების მოხმარების თვალსაზრისით კატასტროფული ვითარებაა. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევებით ცნობილი ხდება, რომ ნარკოტიკების მოხმარების თვალსაზრისით საქართველო მსოფლიოს მასშტაბით ათეულში შედის.

იმავე კვლევებით ცნობილი ხდება, რომ ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებელთა რიცხვი დაახლოებით 40 000. საგანგაშოა ისიც, რომ ბოლო პერიოდში ნარკოტიკების მოხმარება აქტიურად დაიწყეს ქალებმა და ახალგაზრდა გოგონებმა.

შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველომ" საგანგეო დოკუმენტი შეიმუშავა. დოკუმენტის პრეზენტაცია გუშინ შედგა.

ამ დოკუმენტის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი ყოფილი დეპუტატი გიორგი გეგელაშვილია. არსებული სტატისტიკით ისიც შეშფოთებულია. მას მიაჩნია, რომ ამ პრობლემის მოგვარებაში ყველა უნდა ჩაერთოს.

გიორგი გეგელაშვილი:

— საქართველოში ნარკომანებთან დაკავშირებით ინფორმაცია ყოველთვის მოარულად იყო წარმოდგენილი. ეს მონაცემები ხან გაზვიადებული იყო და ხან ამა თუ ექსპერტის მონაცემებს ეყრდნობდა. ევროკავშირის დაფინანსების საშრომო კავკასიის ანტინარკოტიკულმა პროგრამამ შეისწავლა შექმნილი ვითარება. ამ კვლევის შედეგად საქართველოში ნარკოტიკების 40 ათასი ინექციური მომხმარებელია. საგანგაშო მონაცემები გამოაქვეყნა შიდსის ცენტრმაც.

— რა მონაცემები?

— შიდსის ცენტრის მონაცემებით, შიდსით დაავადებულთა 99 პროცენტი ინექციური ნარკომანიით დაავადდა. შეიძლება ნარკომანი არ იყოს ადამიანი, ერთხელ გაიკეთოს და მაშინაც დაავადდეს. ამავე დროს გამოქვეყნდა კვლევა, რომელიც მიუთითებს, რომ 17 წლის ყოველ მეხუთე ახალგაზრდას გასინჯული აქვს სხვადასხვა სახის ნარკოტიკი. ეს ძალიან საგანგაშო მონაცემებია.

— ამ საკითხით ადრე თუ დაინტერესებულხართ?

— რა თქმა უნდა. ეს არ არის ის თემა, რომელიც შეიძლება ვინმემ პიარისთვის გამოიყენოს. 2007 წელს პარლამენტმა შეიმუშავა ანტინარკოტიკული პროგრამა. ეს პროგრამა ჯანდაცვის კომიტეტმა შეიმუშავა, რომლის წევრი მე ვიყავი. ანტინარკოტიკული პროგრამა პარლამენტმა დაამტკიცა. ამის ცხოვრებაში გატარება არ მომხდარა. არადა, აუცილებლად უნდა გატარდეს მთელი რიგი ღონისძიებები. გავლენიანმა ორგანიზაციამ ჩვენ მსოფლიოს პირველ ათეულში შეგვიყვანა. ნარკოტიკების მომხმარებელთა თვალსაზრისით ჩვენ ათეულში ვართ. ნარკოტიკების მოხმარების არსებულ უმძიმეს ვითარებასა და პრობლემათა მოგვარებას კიდევ უფრო ართულებს შემდეგი ფაქტორები: ქვეყანაში არ ხორციელდება ფართომასშტაბიანი პრევენციული ღონისძიებები; არ არსებობს ნარკოტიკების მომხმარებელთა აღრიცხვიანობისა და ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის სისტემა; ნარკოლოგიური მომსახურება ძირითადად ხელმიუწვდომელია; საკადრო უზრუნველყოფის თვალსაზრისით მწვავე დეფიციტია; 2002-2006 წლებში ნარკოტიკის მოხმარების დაწყების საშუალო ასაკი საქართველოში 3,5 წლით გაახალგაზრდავდა; უკანასკნელ წლებში ქალებსა და გოგონებში ნარკოტიკების მოხმარების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. საქართველოში დღეისათვის პრაქტიკულად საქმე გვაქვს ეპიდემიასთან. ნარკოეპიდემიის შემდგომ ესკალაციას კი, შეიძლება მოჰყვეს კრიმინოგენული სიტუაციის გართულება; საზოგადოების ინტელექტუალური რესურსების გაღარიბება; შრომისუნარიანობისა და პროდუქტიულობის დაქვეითება; ნარკოტიკების მოხმარებით საზოგადოებისათვის მიყენებული სამედიცინო და სოციალური ზიანის ზრდა; ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემის გადაწყვეტაზე მიმართული ფინანსური დანახარჯების ზრდა.

— გამოსავალს რაში ხედავთ?

— სახელმწიფოში, რომელშიც ესოდენ ძლიერია პოლიციური სისტემა, რომელსაც ხელისუფლება ტერორის მანქანად იყენებს, ნარკოტიკების გავრცელება მეტად უნდა კონტროლდებოდეს. ხელისუფლებას აქვს რესურსი, იყოს ქმედითი და ადეკვატური პრობლემის მოსაგვარებლად, რასაც არ ახორციელებს. საქართველოში ნარკომანიის პრობლემის მოგვარებაზე მიმართული სისტემა, ერთი მხრივ, უნდა იყოს არსებული სიტუაციის ადეკვატური და მეორე მხრივ, მოქნილი, ანუ ოპერატიულად რეაგირებდეს სიტუაციის ცვლილებებზე. საჭიროა პრაგმატული, ინტეგრირებული, გრძელვადიანი მიდგომა, რომელიც შეაჩერებს პრობლემის შემდგომ ესკალაციას და ხელს შეუწყობს ქვეყანაში ვითარების გაუმჯობესებას. ამ პრობლემის მოგვარება რომელიმე კონკრეტულ სამინისტროს არ უნდა დავევალოს. ამ პრობლემის გადაჭრით ყველა უნდა იყოს დაინტერესებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ძალიან მძიმე სურათს მივიღებთ. უკანასკნელმა კვლევებმა აჩვენა, რომ ნარკომანია ყველა სოციალურ ფენაშია მოდებული. როგორც უკვე აღვნიშნე, ნარკოტიკების მოხმარების თვალსაზრისით საქართველო პირველ ათეულშია. ამ ათეულში 5 პოსტსაბჭოთა რესპუბლიკა მოხვდა, მაგრამ სხვა რესპუბლიკებში დაბალი მაჩვენებელია. როგორც ჩანს, იქ თავი გაართვეს ამ პრობლემას. ჩვენ მათი გამოცდილებაც უნდა გავიზიაროთ.

— ვისი გამოცდილების გაზიარება შეიძლება?

— თუნდაც სომხეთის. აქ ნარკოტიკების მომხმარებელთა ძალიან დაბალი მაჩვენებელია.

აჭარაში ე.წ. „ღორის გრიპი" 111 მოქალაქეს დაუდგინდა

აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, რეგიონში ე.წ. ღორის გრიპის შემთხვევების მატებასთან დაკავშირებით, პოლიკლინიკებში პაციენტთა სამედიცინო შემოწმება და ბინაზე ოჯახის ექიმის გამოძახება უფასო გახდა. ამასთან, სამედიცინო დაწესებულებები მუშაობას დასვენების დღეებშიც გააგრძელებენ. უფასო მომახურებით ბათუმის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მოსახლეობა ისარგებლებს.

აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, რეგიონში ვირუსის შემთხვევათა რაოდენობა დღეითიდე მატულობს. ე.წ ღორის გრიპი ლაბორატორიულად უკვე 111 ადამიანს დაუდგინდა. ბოლო ორი კვირის განმავლობაში, გრიპისა და მწვავე რესპირატორული დაავადების სიმპტომებით სამედიცინო დაწესებულებებს 1 357 მოქალაქემ მიმართა, აქედან 152-ს გრიპი დაუდგინდა, 86 პაციენტი მკურნალობის კურსს სამედიცინო დაწესებულებაში გადის, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა საშუალო სიმძიმისაა. 14 დეკემბრის მონაცემებით, სამედიცინო ჯგუფს გასვლა 209 გამოძახებაზე მოუხდა, თუმცა სამინისტროს განცხადებით, ამ დროისთვის, განგაშის საფუძველი არ არსებობს.

„ქრისტიან-დემოკრატიული" მოძრაობის აჭარის ორგანიზაციის წარმომადგენელთა განცხადებით, აუცილებელია აჭარის მთავრობამ ყურადღება მიაქციოს პაციენტთა უფასო სტაციონარული მომსახურების ფონზე ექიმთა დამატებით ანაზრაურების უზრუნველყოფას.

აღსანიშნავია, რომ აჭარაში ვირუსული შემთხვევათა მატების გამო, უკვე რამდენიმე დღეა, სკოლებსა და უნივერსიტეტებში მოსწავლეთა და სტუდენტების სიმცირე შეინიშნება, თუმცა ამ ეტაპზე, აჭარის განათლების სამინისტრო სწავლის შეჩერებას არ აპირებს. მოსწავლე, რომლიც გაკვეთილებს არ დაესწრებია, სკოლაში დაბრუნებისასა სამედიცინო ცნობა უნდა წარადგინოს, წინაალმდეგ შემთხვევაში გაცდენა არასაპატიოდ ჩაითვლება.

აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო, რეგიონში გრიპის შემთხვევათა მატებას მომდევნო ორი კვირის განმავლობაში ელოდება.

მედიანიუსი

სოხუმის სანაპიროსთან ზღვამ თურქული ტანკერი გამორიყა

სოხუმის სანაპიროსთან ზღვამ ძლიერი შტორმის შედეგად დაზიანებული თურქული ტანკერი გამორიყა. ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო „აპსნი პრესი" იუწყება.

სოხუმის პორტის უფროსის ლარი სმირის განცხადებით, თურქული ტანკერი ექვსბალიანი შტორმის შედეგად 14 დეკემბერს, დაახლოებით 6:00 საათზე გამოირიყა.

— ეკიპაჟის 7 წევრი არ დაზარალებულა. ნაპირზე ყველა მშვიდობიანად გადმოვიდა, — განაცხადა სმირმა.

ნავთობის გაჟონვა არ დაფიქსირებულა. პორტის ადმინისტრაციის მონაცემებით, ტანკერი ცარიელი იყო.

ინტერპრესნიუსი

თეა მარნეული

საქართველოსთან ურთიერთობის აღდგენა მინდა

ქართველმა არასამთავრობებმა კოკოითთან შეხვედრა გამართეს

ორი დღის წინ თემურ შაშიაშვილმა საკმაოდ საინტერესო განცხადება გააკეთა. მან თბილისი და ცხინვალი ბინძური პოლიტიკის გატარებაში დაადანაშაულა. ყოფილი გუბერნატორი მხარეებს ტყვეებით ვაჭრობაში ადანაშაულებს.

არავისთვის უცხო არ არის, რომ ტყვეები ქართულ მხარესაც ჰყავს და ოსურსაც. ამ შემთხვევაში საუბარი მარტო სამხედრო ტყვეებზე არ არის. როგორც ირკვევა, თბილისსა და ცხინვალსაც სამოქალაქო პირებიც ჰყავს დაკავებული. ამ საკითხზე განცხადებები ადრეც ხშირად კეთდებოდა. ტირძნისელი მოზარდების გაგაცების ამბავმა კი ეს თემა კიდევ უფრო აქტუალური გახადა.

ქართულმა მხარემ მოზარდების გათავისუფლების მოთხოვნით სეპარატისტებს არაერთხელ მიმართა. ამ საქმეში დახმარება თბილისმა საერთაშორისო ორგანიზაციებსაც სთხოვა.

თავდაპირველად ცხინვალის ხელისუფლება არანაირ კონტაქტზე არ მოდიოდა. მათ არც გია თორთლაძის თხოვნა შეასრულეს, რომელიც ერგნეთში რამდენჯერმე ჩავიდა. იქიდან დეპუტატმა ოსებს და რუსებს შეუთვალა, ეგ ბავშვები გაუშვით და მათ ნაცვლად მე დამაპატიმრეთო.

კარგა ხნის დუმილის შემდეგ ოსები, როგორც იქნა, კონტაქტზე გამოვიდნენ და ქართველებს ტყვეთა გაცვლაში თანამშრომლობა შესთავაზეს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ცხინვალმა ამ ინიციატივით საქართველოს ომის დასრულებიდან ორი კვირის შემდეგაც მიმართა, თუმცა, მაშინ საქართველოს ხელისუფლებას არანაირი რეაქცია არ ჰქონია. არადა, ოსური მხარე ჯიუტად ამტკიცებდა, ქართველებს ტყვეები ჰყავსო.

ამ საკითხთან დაკავშირებით საუბარი ტირძნისელი მოზარდების გატაცების შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურდა. კოკოითის უსუფაშო წარმომადგენელმა, ბორის ჩოჩიევმა საინტერესო განცხადება გააკეთა.

გაზეთ „იუფნაია ოსეტიასთან" საუბარში მან განაცხადა, რომ ოსები თანახმა არიან, გაათავისუფლონ ტირძნისელი მოზარდები. გათავისუფლებას კი ისინი ერთი პრინციპით დათანხმდებოდნენ.

— ჩვენ მზადა ვართ, გავათავისუფლოთ დაკავებულები. ეს ერთი პრინციპით უნდა მოხდეს. ამ პრინციპს „ყველა ყველაზე" ჰქვია, — განაცხადა მაშინ ბორის ჩოჩიევმა.

ეს შეთავაზება ქართულმა მხარემ შეურაცხყოფად მიიღო. ჩვენებურების საპასუხოდ ოფიციალური განცხადება გააკეთეს, სადაც ნათქვამი იყო, რომ ქართულ მხარეს ტყვეები არ ჰყავს.

როცა საქმეში ევროსტრუქტურები წარმომადგენელი ჩაერივნენ, ქართულმა მხარემ ხუთი ტყვე აღმოაჩინა. ეს ტყვეები ტომას ჰამერბერგმა ჩაიყვანა ცხინვალში. ოსებმა იმ დღესვე გაათავისუფლეს ორი ქართველი მოზარდი.

დანარჩენი ორი მოზარდის გათავისუფლებას ოსები ათ დღეში დაგვპირდნენ. ეს დანაპირები ოსებმა არ შეასრულეს. შედეგი ვერც თემურ შაშიაშვილის და ზურა ნოღაიდელის აქტიურობამ გამოიღო. არადა, ისინი, როგორც თავად ამბობდნენ, მოსკოვში და ვლადიკავკაზში ამ საკითხებთან დაკავშირებით მართავდნენ მოლაპარაკებებს.

ტყვეების გათავისუფლების საკითხი სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმაც დასვა. კოკოითი ტყვეების გაცვლის პრინციპით — ყველა ყველაზე ითხოვს.

ეს განცხადება მან ქართველ არასამთავრობებთან შეხვედრისას განაცხადა. გუშინ პაატა ზაქარეიშვილი, მანანა მებუკე და ვახტანგ კომახიძე ცხინვალში იმყოფებოდნენ.

ცხინვალში მყოფმა ქართველებმა ციხეში მყოფი ქართველი მოზარდები მოინახულეს. შეხვდნენ იქაური მედიცინის წარმომადგენლებს. ზაქარეიშვილს, მებუკეს და კომახიძეს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მშობლებთანაც მოუწიათ შეხვედრა, ეს ადამიანები ამტკიცებენ, რომ მათი ოჯახის წევრები ქართველთა ტყვეობაში იმყოფებიან.

ქართველი უფლებათადამცველები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ედუარდ კოკოითსაც შეხვდნენ. კოკოითმა ამ შეხვედრას მნიშვნელოვანი უწოდა და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოსთან კარგ ურთიერთობებს აღადგენს.

როგორც ოსური მედია იუწყება, კოკოითმა ქართველ სტუმრებს აუწყა, რომ ის მზადაა, თავისი კონსტიტუციური უფლება გამოიყენოს. ეს კონსტიტუციური უფლება პატიმრების შეწყალებაში გამოიხატება. ამის განხორციელებაში კოკოითს ხელს თურქე საქართველოს ხელისუფლება უშლის.

— მე შემიძლია გამოვიყენო კონსტიტუციით მინიჭებული უფლება და შევიწყალო ქართველი მსჯავრდებულები. საქართველოს ხელისუფლება უარს აცხადებს, თავადაც გადდგას ეს ნაბიჯი. ამის გამო მე ვერ ვიყენებ კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებას, — განაცხადა ქართველებთან შეხვედრაზე კოკოითმა.

როგორც ოსური მედია იუწყება, ეს პირველი შემთხვევაა, რაცა აგვისტოს ომის შემდეგ ქართველი არასამთავრობები ცხინვალში ჩავიდნენ. „ოსრადიოს" ცნობით, ამის გამო კოკოითმა ზაქარეიშვილს, მებუკეს და კომახიძეს მადლობაც კი გადაუხადა.

— აგვისტოს ომის შემდეგ პირველი შემთხვევაა, როცა ქართული ორგანიზაციების წარმომადგენლები ცხინვალში ჩამოვიდნენ. მე ამის გამო თქვენ მადლობას გიხდით. თქვენი გადაწყვეტილება თქვენს დიდ გამბედაობაზე მეტყველებს, — აღნიშნა კოკოითმა.

ამ ადამიანმა თავის კაბინეტში ქართულ არასამთავრობოებს მშობლიური ხელისუფლებაც გამოუცანძლა.

— საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას არ სურს, რომ კონფლიქტების მოგვარება ცივილიზებული, მოლაპარაკებების გზით აწარმოოს, — უთქვამს კოკოითს.

ისე, ჩვენს ხელისუფლებას ბევრი ნაკლი აქვს. ბევრი შეცდომა და დანაშაულიც ჩაუდენიათ, თუმცა, კოკოითის ლანძღვას მაინც არ იმსახურებენ. მით უმეტეს, ცოტა უხერხულია, როცა ეს პერსონა ვინმეს არაცივილიზებულობაზე საყვედურობს.

უთხრეს თუ არა ამის გამო კოკოითს საყვედური ქართულმა არასამთავრობოებმა, ამაზე ვერაფერს მოგახსენებთ. ამ თემაზე ისინი დაწვრილებით თავად მოჰყვებიან. ოსური მედია კი კოკოითის ბაგეთაგან წარმოთქმულ მარგალიტებს ავრცელებს.

აი, ცივილიზებულ კაცს, თურმე ნუ იტყვით და, საქართველოსთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენა უნდა. არადა, ეგ იყო, შარშან აგვისტოს მერე რომ განაცხადა, ქართველები ცხინვალის რეგიონში ვერასდროს დაბრუნდებიანო. ახლა „პლასტინკა" ცოტათი შებრუნებული აქვს.

— საქართველოს ხელისუფლებას არ სურს პრობლემის მოგვარება მშვიდობიანი მეთდებით. სამხრეთ ოსეთი კი მზადაა, კონსტრუქციულ ქართულ ძალებთან ითანამშრომლოს, — უთქვამს კოკოითს.

ვინ იგულისხმება ქართულ კონსტრუქციულ ძალებში, ვერაფერს გეტყვით. ამის თაობაზე ოსური მედია არაფერს იტყობინება. სამაგიეროდ გვაუწყებს, რომ კოკოითს ქართველებთან ნდობის აღდგენა სურს.

— ჩვენ უნდა აღვადგინოთ ერთმანეთის მიმართ ნდობა. ნდობის ხიდებს თავიდან სჭირდება აშენება. ეს ხიდები ყოველთვის არსებობდა ჩვენ შორის. ეს ხიდები სააკაშვილმა დაანგრია. დღეს ამ ხიდების ქვეშ სისხლის მდინარეები მიედინება, — აღნიშნა კოკოითმა.

მას მიაჩნია, რომ ნდობის აღდგენა ძალიან ძნელი იქნება, თუმცა, თავის მხრივ, ამის მისაღწევად ყველაფრის გაკეთებას აპირებს.

— ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ნდობა აღდგეს. ჩვენ კეთილმეზობლური ურთიერთობები უნდა დავამყაროთ, — ამბობს დე ფაქტო პრეზიდენტი.

ამ შეხვედრაზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საუბარი ტყვეებსაც შეეხო. კოკოითმა ქართველ უფლებადამცველებს სთხოვა, ქართულ ციხეებში მყოფი ოსი პატიმრებიც მოინახულონ.

— იმ ადამიანთა შორის, რომლებიც უგზოუკვლოდ დაკარგულებად ითვლებიან, ოსი არასრულწლოვანებიც არიან. ქართველმა სამართალდამცავებმა გადაიღეს ფირი, სადაც ჩანს, როგორ სცემენ ამ ბავშვებს, — ამბობს კოკოითი.

ქართული მხარე კოკოითის ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს. საქართველოს ხელისუფლება ისევ ამტკიცებს, რომ მას ოსი ტყვეები არ ჰყავს.

მატარებლის გამტაცებელი ლტოლვილები მხოლოდ კადიროვმა დაიცვა

ჩეჩნეთის პრეზიდენტი პოლონეთის ხელისუფლებას ადანაშაულებს

ჰუსეთის და საქართველოს მოქალაქე ლტოვიანების მიერ პოლონეთში მატარებლის „გატაცებამ" მედიაში დიდი გამოხმაურება გამოიწვია. საქართველომ და ჩეჩნეთმა მატარებლის გატაცების ფაქტი უარყვეს და საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ ლტოვიანებმა ბილეთების შეძენის გარეშე მოინდომეს სტარასბურგში გადასვლა. იქ, როგორც იტყვევა, ევროპაში ჯავასიიდან ნამოსული ლტოვიანებს მძიმე ყოფა უნდა გაუპროტესტებინათ.

გერა მამულაშვილი

მატარებლის გატაცების ფაქტი კატეგორიულად უარყო საქართველოს ელჩმა პოლონეთში კონსტანტინე ქავთარაძემ. მისივე თქმით, პრობლემა მხოლოდ იმან შექმნა, რომ ლტოლვილებმა ბილეთების შეძენაზე უარი თქვეს და მოქალაქეებს პირადობის დოკუმენტებიც არ აღმოაჩნდათ. პოლონური მედია კი ყურადღებას იმაზე ამახვილებს, რომ ლტოლვილები უჩივიან არა ადგილობრივ პირობებს, არამედ იმას, რომ ქვეყანა მათ ლტოლვილის ოფიციალურ სტატუსს არ ანიჭებს. ყველა მხარე ხაზს უსვამს, რომ ინციდენტის ამოწურვისას პოლონელ სამართალდამცველებს ფიზიკური ძალა ან იძულების სხვა საშუალებები არ გამოუყენებიათ.

როგორც ყოველთვის, მომხდართან დაკავშირებით ორიგინალური შეფასებებით გამოირჩევა ჩეჩნეთის მარიონეტული ხელისუფლების მეთაური რამზან კადიროვი. ის მომხდარში პოლონეთის ხელისუფლებას ადანაშაულებს და მათთვის „ჭკუის სწავლებასაც" არ იშურებს.

რამზან კადიროვი პოლონეთს იქით ადანაშაულებს, რომ ჩეჩნმა ლტოლვილებმა მატარებელი ხელში ჩაიგდეს. კადიროვი „შეშფოთებულია" იმ ლტოლვილების გარშემო არსებული სიტუაციის გამო, რომლებიც სტრასბურგამდე მიღწევას შეეცადნენ. ლტოლვილების მოქმედებას კადიროვმა „განწირული ნაბიჯი" უწოდა და მომხდარზე პასუხისმგებლობა ოფიციალურ ვარშავას დააკისრა.

ჩრდილო კავკასიელები და საქართველოს მოქალაქეები პოლონეთიდან დასავლეთ ევროპაში გაღწევას გუშინ შეეცადნენ. მათ მცდელობას „მატარებლის ხელში ჩაგდების" კვალიფიკაცია მიეცა. ინტენსიური მოლაპარაკებების შემდეგ ლტოლვილებმა თავდაპირველ ჩანაფიქრზე ხელი აიღეს და მოლაპარაკებები პოლონეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან „კონსტრუქციულ კალაპოტში" გადაიყვანეს.

ჩეჩნეთში ეს ინციდენტი შეშფოთებით მიიღეს. ამის შესახებ „ბი-ბი-სი" ადგილობრივ წყაროებზე დაყრდნობით იუწყება. გროზნოში ამ ნაბიჯს „პოლონეთიდან სტრასბურგში გაღწევის და საკუთარ გაუბედურებულ მდგომარეობაზე მსოფლიო თანამეგობრობის ინფორმირების მცდელობად" აფასებენ.

ამის შესახებ ჟურნალისტებს რამზან კადიროვმა გუშინ განუცხადა. — ჩვენ ადრეც სისტემატურად შემოგვდიოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პოლონეთში ჩეჩნეთიდან დევნილები გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ეს ჩვენში სერიოზულ შეშფოთებას და წუხილს იწვევს. რა თქმა უნდა, პოლონეთში მომხდარი ფაქტი განწირულობის ნაბიჯად უნდა შეფასდეს, — აცხადებს კადიროვი.

— თუკი ეს ადამიანები, რომლებიც თავის დროზე სამხედრო მოქმედებებს გაექცნენ, პოლონეთში მიიღეს, რომელიც ევროკავშირის წევრია, მაშინ ამ ქვეყანას აკისრია სრული პასუხისმგებლობა იმაზე, რომ მათთვის ცხოვრების ნორმალური ადამიანური პირობები უზრუნველყოფილი იყოს, — ამბობს კადიროვი.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციებით, ლტოლვილები აღაშფოთა იმან, რომ მათ სტატუსის მინიჭებაზე უარი უთხრეს. ასევე რუსი დიპლომატები აცხადებენ, რომ მზად არიან ლტოლვილებს დაეხმრონ, თუმცა მათ ამის შესახებ არავინ სთხოვს. ხოლო საქართველოს ელჩი პოლონეთში კოტე ქავთარაძე მატარებლის გატაცების მცდელობაში ქართველების მონაწილეობას უარყოფს.

ჩეჩნეთის მეთაურის თქმით კი, „ან ქვეყნის ხელმძღვანელობამ ხმამაღლა უნდა განაცხადოს, რომ არ შეუძლია ამ პირების მინიმალური უფლებების უზრუნველყოფა, ანდა მათ მიმართ მზრუნველობა და ყურადღება უნდა გამოიჩინოს".

— ჩვენ მათი ნების გარეშე არასოდეს არავინ დაგვიძალებია რუსეთში და ჩეჩნეთში დაბრუნებისთვის, თუმცა თუკი იც ადამიანები დაბრუნდებიან, მაშინ მათი უფლებები გაცილებით უკეთესად იქნება დაცული და უზრუნველყოფილი, — პირობას დებს კადიროვი, რომლის ხელმძღვანელობის ქვეშ ჩეჩნეთში ლამის დღე არ გავა, რომ იქ ვინმე არ მოკლან, ან არ გაიტაცონ.

კადიროვი ასევე ხაზს უსვამს, რომ „პოლონეთში დევნილების ბანაკებთან დაკავშირებული გარემოებანი ისე ყალიბდება, რომ ამ ადამიანებისთვის არანაირი ადამიანური პირობები შექმნილი არ არის და ეს ამ ქვეყანას და მის ხელმძღვანელობას ნამდვილად არ ამშვენებს".

— მე რესპუბლიკაში ადამიანების უფლებებში რწმუნებულს დავავალე და სხვა უფლებადამცველ ორგანიზაციებს მივმართე თხოვნით, რომ ყურადღებით გაეჩვენენ პოლონეთში ჩეჩენი დევნილების მდგომრეობაში და ამის შესახებ დაწერილებითი ინფორმაცია მომაწოდონ, — აცხადებს კადიროვი.

შეგახსენებთ, რომ დაახლოებით 200-მა დევნილმა რუსეთის ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკებიდან (ჩეჩნეთიდან და ინგუშეთიდან) და საქართველოდან სამშობლოს პოლონეთის ქალაქ ლეგნიცას სადგურზე მატარებელი „ხელში ჩაიგდეს". მათ სტრასბურგამდე ჩაღწევა სურდათ, სადაც გავრცელებული ცნობებით, კავკასიიდან წამოსული ლტოლვილების დემონსტრაცია იგეგმებოდა.

საუბარი შეეხება იმ კავკასიელ ლტოლვილებს, რომლებიც დღეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გვხვდებიან. ისინი გადასახლებულთა განლაგების ცენტრებში „შენახვის ცუდ პირობებს" უჩივიან. ამასთანავე ლტოლვილებმა მგზავრობის საფასურის გადახდაზეც უარი განაცხადეს. მათ ამ სახით სასაზღვრო სადგურ ზგოჟელეცამდე მგზავრობა მოახერხეს.

პოლონეთის საზღვარზე ეს მატარებელი საბოლოოდ გაჩერებული იქნა. რკინიგზის ადმინისტრაციამ პოლიცია გამოიძახა. მიგრანტები დაკავებული იქნენ. გავრცელებული ინფორმაციით, მათ წინააღმდეგ ფიზიკური ძალა ან სხვა საშუალებები არ გამოუყენებიათ იმის გათვალისწინებით, რომ დაკავებულებს შორის ბავშვებიც მრავლად იყვნენ.

ამასთან დაკავშირებით ერთერთი პოლონელი ჟურნალისტი აცხადებს, რომ დევნილები აღშფოთდნენ არა შენახვის ცუდი პირობების გამო, არამედ იმის გამო, რომ მათ სტატუსის მინიჭებაზე უარი უთხრეს.

— კავკასიელმა დევნილებმა პოლონეთის ხელისუფლების წინააღმდეგ ბუნტი მოაწყეს არა სპეციცენტრებში შენახვის პირობების გამი, არამედ იმის გამო, რომ მათ დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარი უთხრეს, — ამის შესახებ რადიო „თავისუფლების" პოლონელი ჟურნალისტი კრისტინა კურჩაბ-რედლისი აცხადებს.

— ქართველების დიდმა ჯგუფმა და რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიიდან გამოსულებმა, რომლებმაც პოლონეთში პოლიტიკური თავშესაფრის წარმოდგენის თხოვნაზე უარი მიიღეს, შეეცადნენ, რომ ჩვენი დასავლეთი საზღვრის გავლით სტრასბურგში გადასულიყვნენ. ისინი უკვე იქ აპირებდნენ, რომ პოლონური ხელისუფლების წინააღმდეგ დაეჩივლათ, — აცხადებს პოლონელი ჟურნალისტი.

ამავე ჟურნალისტის თქმით, პოლონეთში რეალურად ლტოლვილების ძალიან მცირე რაოდენობა ღებულობს ლტოლვილის სტატუსს.

— საქმე ისაა, რომ ევროკავშირის ფარგლებში ფუნქციონირებს დუბლინის შეთანხმება, რომლის შესაბამისადაც ლტოლვილი, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყნის საზღვარს გადაკვეთავს, ამ ქვეყანაში უნდა დარჩეს კიდეკაც. ეს შეთანხმება შენგენის სისტემასთან არის დაკავშირებული. და რადგანაც პოლონეთი ევროკავშირის პირველი ქვეყანა აღმოჩნდება ხოლმე მათთვის, ვინც აქეთკენ აღმოსავლეთიდან ისწრაფვის, ლტოლვილები იძულებულნი არიან, რომ აქვე დარჩნენ. ამ შეთანხმების ძალაში შესვლამდე დევნილები პოლონეთში გარკვეული დროის გატარების შემდეგ უფრო შორს, დასავლეთისკენ მიემართებოდნენ — იქ, სადაც მათ ხშირად აქვთ საცხოვრებელი და არსებობისთვის საშუალებები და სადაც ცხოვრება საერთოდ უფრო მდიდრული, ვიდრე პოლონეთში. ხოლო ამჟამად ისინიც და პოლონეთიც ერთგვარ ხაფანგში აღმოჩნდნენ: არც პოლონელები, არც ლტოლვილები აღფრთოვანებულნი არ არიან იმით, რომ მათ აქ საკმარისად დიდი დროით დარჩენა უწევთ, — აცხადებს კურჩაბ-რედლისი.

ამასობაში პოლონელი უფლებადამცველები მოვლენის შეფასებაში საკმაოდ თავშეკავებას იჩენენ და მოვლენების ცხელ კვალზე კომენტარებისგან თავს იკავებენ. ისინი ეყრდნობიან იმას, რომ ამ აქციის ორგანიზატორი ადამიანები მათთვის ჯერჯერობით ცნობილნი არ არიან, იუწყებიან პოლონური წყაროები.

სამაგიეროდ რუსმა დიპლომატებმა განაცხადეს მზადყოფნის შესახებ, რომ დევნილებს დაეხმარონ, მაგრამ მათ ამას არავინ სთხოვს.

— პოლონელი სამართალდამცველების მიერ დაკავებული რუსეთის მოქალაქე დევნილების ინტერესების დასაცავად მზად არის რუსეთის გენერალური საკონსულო პოზნანში, თუკი შესაბამისი თხოვნა შემოვა. თუმცა დაკავებულებიდან დახმარების თხოვნით ჩვენთვის არავის მოუმართავს, — აცხადებენ რუსულ საკონსულოში.

— დაკავებული დევნილების ძირითადი მასა ჩეჩნეთის მცხოვრებლები არიან, რომლებიც აქ თავშესაფრის მიღების მიზნით იმყოფებიან, — აცხადებს პოზნანში რუსეთის გენერალური კონსული ვლადიმირ ტკაჩევი.

მან დაამატა, რომ ნებისმიერი მიმართვის შემთხვევაში გენერალური საკონსულო სიტუაციის გამორკვევას დაიწყებს, „თუკი საქმე უშუალოდ რუსეთის მოქალაქეებს შეეხება". „მაგრამ მათი მხრიდან ჩვენთან არანაირი მომართვა არ შემოსულა", — აცხადებს რუსი დიპლომატი.

ვლადიმირ ტკაჩევი ასევე აღნიშნავს, რომ პოზნანში რუსული დიპლომატიური მისიის მონაცემებით, დაკავებისას პოლონელ სამართალდამცველებს ძალა არ გამოუყენებიათ. ტკაჩევის ინფორმაციით, ამჟამად დევნილები პოლონურ ქალაქ ზგოჟელეცში იმყოფებიან, „სადაც პოლონური პროკურატურა მათი პიროვნებების გამორკვევით არის დაკავებული".

თავის მხრივ ვარშავაში რუსეთის საელჩოს მრჩეველმა ანატოლი ივანოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „საუბარი შეეხება 150-ზე ცოტათი მეტ დევნილს, რომელთა შორის 18 საქართველოს მოქალაქეა".

ამ ფონზე საქართველოს ელჩი პოლონეთში მატარებლის გატაცებაში ქართველების მონაწილეობას კიდევ ერთხელ უარყოფს. — მოქალაქეებს, მათ შორის საქართველოდან, პოლონეთში მატარებელი არ გუტბაცათ, — აცხადებს კოტე ქავთარაძე.

— დაახლოებით ორას მოქალაქეს, მათ შორის დაახლოებიც ოცდაათ საქართველოს მოქალაქეს, ბილეთები არ აღმოაჩნდათ. მათ ბილეთების შეძენაზე უარი და მოთხოვნის შედეგად მატარებლის დატოვებაზე უარი განაცხადეს. ამასთან ერთად, ამ მოქალაქეებს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები არ ჰქონდათ, — აცხადებს კოტე ქავთარაძე.

ამასთან საქართველოს ელჩმა აღნიშნა, რომ „თუკი პოლონეთის კანონმდებლობა დარღვეულია, პოლონეთის ხელისუფლებას მათ განაცხადის (ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე) საბოლოო განხილვამდე უფლება აქვს, რომ საქართველოს მოქალაქეების საქართველოში დეპორტირება მოახდინოს".

ელჩის განცხადებით, შესაბამისი პროცედურები უკვე დწყებულია და ყველა პირის, მათ შორის საქართველოს მოქალაქეების საქმეს სასამართლო ცალ-ცალკე განიხილავს. საგარაუდოდ, მათ საემიგრაციო ბანაკებში განათავსებენ. ელჩის ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქეებს შორის 11 არასრულწლოვანია.

რაც შეეხება დაკავებულების შესაძლო დეპორტაციას, ელჩის ვარაუდით, საბოლოოდ ეს პირები სამშობლოში დეპორტირებულნი იქნებიან, რადგან პოლონეთი დევნილის სტატუსს თათქმის არავის ანიჭებს.

ჯონ ბასი აჭარაში ჩავიდა

აჭარაში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში ჯონ ბასი ჩავიდა. ამერიკელი დიპლომატის ვიზიტი ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკაში ამერიკის სახელმწიფო გრანტის ფარგლებში გახსნილი „ამერიკული კუთხის" პრეზენტაცია იყო.

მართალია, ბიბლიოთეკაში „ამერიკული კუთხე" 2006 წლიდან მოქმედებს, მაგრამ წელს დამატებით გამოყოფილი 10 ათას 320 დოლარის ფარგლებში კუთხე 67 კვადრატული მეტრით გაიზარდა. ამასთან, დაემატა ახალი სახელმძღვანელოები და კომპიუტერული ტექნიკაც. ბიბლიოთეკაში ამჟამად 2 500-ზე მეტი წიგნია.

პრეზენტაციას ამერიკის საელჩოს წარმომადგენელთან ერთად, აჭარის მთავრობისა და ბათუმის მერის ხპირველი პირებიც დაესწრო.

მედიანიუსი

აჭარის კლინიკებში მაკურნალობის კურსს 92 პაციენტი გადის

აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 15 დეკემბრის მონაცემებით, რეგიონის სამედიცინო დაწესებულებებში, ე.წ. „ღორის გრიფის" სიტყმით, ამჟამად მკურნალობის კურსს 92 პაციენტი გადის და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. სამინისტროს ინფორმაციით, გრიპის სიმპტომით პაციენტთა სამედიცინო დაწესებულებებისთვის მიმართვამ, გასულ კვირეებთან შედარებით, იკლო.

აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებითვე, რეგიონში ვირუსული ინფექციის შემთხვევების მატებასთან დაკავშირებით, პოლიკლინიკებში პაციენტთა სამედიცინო შემოწმება და ბინაზე ოჯახის ექიმის გამოძახება უფასო გახდა. ამასთან, სამედიცინო დაწესებულებები მუშაობას დასვენების დღეებშიც გააგრძელებენ.

აჭარაში, ოფიციალური სტატისტიკით, ე.წ „ღორის გრიპი" ლაბორატორიულად უკვე 111 ადამიანს დუდგინდა. აქედან ორი შემთხვევა ლეტალურად დასრულდა.

მედიანიუსი

ხუთტომეულის პრეზენტაცია გაიმართება

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკაში 24 დეკემბერს საგამომცემლო ჯგუფი-"ჯეო ექს ფაბლიშინგი" და „სეზანი" ხუთტომეულის პრეზენტაციას გამართავს.

პროექტი- „ჩვენ და „ვეფხისტყაოსანი" პრეზენტაციის ფარგლებში საზოგადოებას წარუდგენს ხუთტომეულს კერძოდ: 1. შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი"- საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის ბოლო რედაქციით. 2 „მოგითხრობთ „ვეფხისტყაოსნის შესახებ"-ენციკლოპედიური კრებული პოემისა და მისი ავტორის შესახებ. 3. „ვეფხისტყაოსანს" მოგითხრობენ ავთანდილ არაბული და მამია მალაზონია. 4. ვეფხისტყაოსანს წარმოგიდგენთ ქეთი მატაბელი. 5. ვეფხისტყაოსნის გამოცემათა ბიბლიოგრაფია 1712-2008 წ.წ

აღნიშნული წიგნების შეძენა შესაძლებელია ლიბერატყრულ არტ კაფე "ქარავანში".

მედიანიუსი

მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი ხალვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607

ახალი ქსელები 700 608

გაერთიანებული ტელეკომი 608 608

ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ

სწრაფი გადახდის აპარატები

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.

ბათუ კრავეიშვილის იუბილეს გამოფენა მიეძღვნება

ეკა ირემაშვილი

ცნობილი საოპერო მომღერალის (ბარიტონის), ბათუ კრავეიშვილის 95 წლის იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში საგანგებო გამოფენა გაიხსნება.

ქართული საოპერო სცენის წარმომადგენელი ბათუ კრავეიშვილი 13 წლის ასაკში ბიძასთან გადმოვიდა, თბილისში. მისი ბიძა, ნიკოლოზი რუსთაველის თეატრის მხატვარი იყო. მშობლებს ბათუს ექიმობა უნდოდათ, ამიტომ მომავალმა ხელოვანმა მოსკოვში სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე ჩააბარა. ბათუ კრავეიშვილის სასიმღერო კარიერა 19 წლის ასაკში დაიწყო. მან მოსკოვის დიდ თეატრში გამართულ კონკურსში მიიღო მონაწილეობა, სადაც გაიმარჯვა და დიდი თეატრის სოლისტიც გახდა. ომის წინა წლებში ბათუ კრავეიშვილი თბილისში დაბრუნდა და ოპერისა და ბალეტის თეატრში დაიწყო მუშაობა. იგი ქართული სასენაფრადო სიმღერების პირველი შემსრულებელი იყო. ბათუ კრავეიშვილმა 30-წლიანი სასცენო მოღვაწეობის პერიოდში მუსიკის მოყვარული საზოგადოება თავისი უნიკალური სიმღერით დაატყვევა. იგი კონსერვატორიაში პედაგოგადაც მუშაობდა. მან მხოლოდ რამდენიმე ქართულ ფილმში „გიორგი სააკაძე“, „დაკარგული სამოთხე“ და „ქეთო და კოტე“ მიიღო მონაწილეობა, თუმცა, ეს ორი სურათი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ქართველ საზოგადოებას მისი ხმა არასოდეს დავიწყებოდა.

55 წლის ასაკში ბათუ კრავეიშვილი ავად გახდა. შეცდომით ჩატარებული ოპერაციის შედეგად დადგინდა, რომ ხელოვანს თირკმლის კიბო ჰქონდა. ბათუ კრავეიშვილი 1969 წელს გარდაიცვალა. მომღერლის ოჯახმა მისი პირადი კოლექციის დიდი ნაწილი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცა.

გამოფენაზე ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ კოლექციასთან ერთად წარმოდგენილი იქნება საოჯახო არქივში დაცული მასალა. მომღერლის მიერ შესრულებული როლების ამსახველ ფოტოებთან ერთად ექსპოზიციაზე მისული დამთვალიერებელი იმ პერიოდში საბჭოთა კავშირში მოღვაწე ცნობილი მომღერლების სურათებს, სპექტაკლების პროგრამებსა და აფიშებსაც იხილავს.

ბათუ კრავეიშვილის საიუბილეო გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ასევე ხელოვანის ლექსების ხელნაწერები, იგი არის ავტორი მემუარული ხასიათის წიგნისა „დაუვიწყარი“. ექსპოზიციაზე ასევე გამოიფინება გამოჩენილი ფერმწერების მიერ შესრულებული მომღერლის პორტრეტები, ასევე ლადო გუდიაშვილის მიერ გრაფიკაში შესრულებული სამი პორტრეტი.

„ქალაქურში“ საქველმოქმედო ღონისძიება გაიმართება

ეკა ირემაშვილი

ბარბარობის დღესასწაულზე სკოლა-სტუდია „შშობელთა ხიდის“ აღსაზრდელებისთვის ბარ-რესტორან „ქალაქურში“ საქველმოქმედო ღონისძიება გაიმართება, რომელსაც ორგანიზატორებმა „ჩავკიდოთ ერთმანეთს ხელები“ უწოდეს. სალამოს ორგანიზატორი ბიზნესტრენინგების ასოციაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფია.

ღონისძიების ფარგლებში „შშობელთა ხიდის“ 37 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის კონცერტს გასულ წელს საბავშვო ევროვიზიაზე გამარჯვებული ჯგუფი „ბზიკები“ და „ბასტი-ბუტუ“ გამართავენ. სალამოზე „ბზიკების“ ახალი სიმღერის პრემიერაც გაიმართება.

ღონისძიების ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, „შშობელთა ხიდის“ ყველა აღსაზრდელი საქველმოქმედო სალამოს სპონსორი კომპანიების მიერ სხვადასხვა პრიზით დაჯილდოვდება. მათ კომპიუტერი, ჰიგიენური საშალებები, წიგნები, ჩანთები, მთაწმინდის პარკის ბილეთები და სხვა სამახსოვრო ნივთები გადაეცემათ. ბავშვებისთვის საჩუქრები წიგნების მაღაზიათა ქსელებმაც დააწესეს.

საქველმოქმედო ღონისძიების დასასრულს „შშობელთა ხიდის“ აღსაზრდელებისთვის გრანდიოზული ტორტიც გაიჭრება.

სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა იტალიაში გაიმარჯვეს

ეკა ირემაშვილი

სამხატვრო აკადემიის სამმა სტუდენტმა ფლორენციაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე გამარჯვება მოიპოვა.

სამხატვრო აკადემიაში დაინტერესებული საზოგადოებისთვის ფლორენციის საერთაშორისო ფესტივალზე გამარჯვებულ სტუდენტთა ნამუშევრების ჩვენება გაიმართა. სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა იტალიაში გრანპრი და იტალიის პრეზიდენტის მედალი საუკეთესო მულტიმედიური ნამუშევრებისთვის დაიმსახურეს. ფესტივალის გრანპრი, რომელიც 4000 ევროს შეადგენდა, სამხატვრო აკადემიის მედიის ხელოვნების ფაკულტეტის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულმა, სოფიო გოგოლაძემ მოიპოვა, ხოლო იტალიის პრეზიდენტის მედალი დიზაინის დარგში ამავე ფაკულტეტის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს, სოფიო ანთაძეს მიენიჭა.

გია ბუღაძე, სამხატვრო აკადემიის რექტორი:

— მთლიანობაში ფლორენციის ფესტივალზე ხუთი ნომინაცია იყო დაწესებული. აქედან სამი ჩვენი აკადემიის წარმომადგენლებმა მოიპოვეს, რაც იმისი მანიშნებელია, რომ სტუდენტები მაქსიმალურად მონდომებული არიან და საკუთარი ორიგინალურობით არა მარტო საქართველოს, არამედ ევროპის საერთაშორისო ფესტივალებსაც აკვირვებენ.

ოთარ კობერიძე 85 წლისაა

ეკა ირემაშვილი

ქართული კინოს ცოცხალ ლეგენდას ოთარ კობერიძეს ბარბარობის ბრნყინვალე დღესასწაულზე 85 წელი უსრულდება.

ქართულ კინოში დაუვიწყარი როლების განსახიერებისთვის იუბილარ მსახიობს კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ ქართველმა საზოგადოებამ ოთარ კობერიძეს მისივე სახელობის ვარსკვლავი გაუხსნა.

იუბილარმა ხელოვანმა თვეატრალური უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტი დაამთავრა. კინოს პარალელურად, იგი სოხუმის თეატრში, მოგვიანებით კი მარჯანიშვილის თეატრში მუშაობდა. 1956 წლიდან მსახიობი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობი გახდა, 1963 წლიდან კი ამავე კინოსტუდიის რეჟისორია. ხელოვანმა ბათუმში „ხელოვანთა ლიგა“ დააარსა, რომელსაც თავადვე ხელმძღვანელობს. წლების განმავლობაში ქართულ კინოსა და თეატრში განეული განსაკუთრებული ღვაწლისთვის ოთარ კობერიძეს საქართველოს სახალხო და დამსახურებული არტისტის, ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო და დამსახურებული არტისტის წოდებები აქვს მინიჭებული.



როგორც მსახიობის ოჯახში გვითხრეს, უბილარი ხელოვანი დიდი წვეულების მოწყობას არ აპირებს, იგი 85 წლის იუბილეს უახლოესი მეგობრების ვიწრო წრეში აღნიშნავს. თავად მსახიობს კი იუბილეზე განსაკუთრებული ოცნება არ აქვს, იგი გამთლიანებულ საქართველოსა და მშვიდობიან ქვეყანაში ცხოვრებაზე ოცნებობს.

„ახალი თაობა“ ულოცავს ბატონ ოთარს 85 წლის იუბილეს და ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს.

მუხრან მაჭავარიანის იუბილეს თბილისიც აღნიშნავს

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ქართველი პოეტის, მუხრან მაჭავარიანის 80 წლის იუბილეს საქართველოს დედაქალაქიც აღნიშნავს. საქართველოს პრეზიდენტმა გადაწყვეტილებით 2009 წელი მუხრან მაჭავარიანის წლად გამოცხადდა.

პოეტის საიუბილეო წელთან დაკავშირებით კულტურული ღონისძიებები უკვე გაიმართა ბატონი მუხრანის მშობლიურ საჩხერეში. ღონისძიება მოეწყო ქუთაისშიც, ამჯერად კი პოეტის იუბილეს საქართველოს დედაქალაქი აღნიშნავს.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო ბარბარობის დღესასწაულზე შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ქართველი პოეტის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საღამოს მართავს.

როგორც კულტურის სამინისტროში აცხადებენ, მუხრან მაჭავარიანის საიუბილეო საღამოზე წარმოდგენილი იქნება ლიტერატურული სპექტაკლი და მუსიკალური ნომრები, რომელშიც მონაწილეობას ქართველი მუსიკოსები მიიღებენ. რუსთაველის თეატრში გამართულ ღონისძიებაში თემურ წიკლაური, „ქართული ხმები“, დავით არჩვაძის ტრიო და ქართული ესტრადის სხვა ცნობილი მომღერლები მიიღებენ მონაწილეობას.

„ვეფხისტყაოსანი“ ხუთტომეულში გაერთიანდა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში საგამომცემლო ჯგუფი „ჯეო ექს ფაბლიშინგი“ და „სეზანი“ ხუთტომეულის პრეზენტაციას გამართავს.

ხუთტომეულის პრეზენტაცია პროექტის „ჩვენ და ვეფხისტყაოსანი“ ფარგლებში გაიმართება. ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეკრებილ საზოგადოებას პროექტის ავტორები წარუდგენენ ხუთტომეულს, რომელიც მოიცავს შემდეგ ტომებს: შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის ბოლო რედაქციით; მოგითხრობთ ვეფხისტყაოსნის შესახებ — ენციკლოპედიური კრებული პოემისა და მისი ავტორის შესახებ; „ვეფხისტყაოსანს“ მოგითხრობენ ავთანდილ არაბული და მამია მალაზონია, პოემის პროზაული ვერსია, რომლის ავტორია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ავთანდილ არაბული. ტექსტს ერთვის მხატვარ მამია მალაზონიას ილუსტრაციები; „ვეფხისტყაოსანს“ წარმოგიდგენთ ქეთი მატაბელი, პოემის უძველესი ხელნაწერებისა და მხატვარ მამუკა თავაქარაშვილის ილუსტრაციების მიხედვით შექმნილ 52 ფოლიანტს, რომელსაც ახლავს ფილოლოგ ლევან გიგინეიშვილის ესსე ქართულ და ინგლისურ ენებზე; „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემათა ბიბლიოგრაფია 1712-2008 წწ, რომელიც მოიცავს ქართულ და უცხოურ ენებზე დაბეჭდილი პოემის 300-ზე მეტი გამოცემის ჩამონათვალს.

ხუთტომეულის პრეზენტაცია ეროვნულ ბიბლიოთეკაში 24 დეკემბერს გაიმართება. პროექტის წარდგენის შემდეგ აღნიშნული წიგნების შეძენა ლიტერატურულ არტ კაფე „ქარავანში“ შეგეძლებათ.

ლიანა ისაკაძე საშობაო კონცერტს გამართავს

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ქართველი მევიოლინე ლიანა ისაკაძე უკვე თბილისშია და საშობაო კონცერტისთვის ემზადება.

ხელოვანი თბილისში პარიზიდან ჩამოფრინდა და რამდენიმე დღეში უკვე აქტიურ რეპეტიციებს დაიწყებს. საშობაო კონცერტს ქართველი მევიოლინე საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში გამართავს, სადაც მასთან ერთად მსმენელისთვის ეროვნული სიმფონიური ორკესტრი დაუკრავს. საშობაო კონცერტს ნიკა მემანიშვილი უდირიჟორებს, საღამოზე კი ცნობილი ნაწარმოებები შესრულდება.

— თბილისში ჩემი ყოველი ჩამოსლვა ღელვას უკავშირდება. ძნიშვნელოვანია ჩემი ქართველი მსმენელის წინაშე დაკვრა. ამ კონცერტს ჩვენ სახელმწიფო კამერული ორკესტრის 45 წლის იუბილეს მივუძღვნით, — აცხადებს თბილისში ჩამოსული ქართველი მევიოლინე.

საშობაო კონცერტს ცნობილი მევიოლინე ლიანა ისაკაძე საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში 23 დეკემბერს გამართავს.

რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმი ინგრევა

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ქართველი პოეტის, დრამატურგის, ლექსიკოლოგის, პუბლიცისტის, ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის, რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმი, რომელიც ამჟამის რაინინის სოფელ ქისტაურში მდებარეობს, ინგრევა.

რაფიელ ერისთავმა ბავშვობა და ცხოვრების საუკეთესო წლები კახეთის სოფელ ქისტაურში გაატარა. ქართული წერა-კითხვა მას დედამ შეასწავლა, ხოლო რუსული ენა □ — საგანგებოდ მოწვეულმა მასწავლებელმა. 7 წლის რაფიელი თელავის სამაზრო სასწავლებელში შეუყვანიათ, მაგრამ რაფიელის მამას არ მოსწონებია იქაური სწავლების რეჟიმი და თავისი ვაჟი შუამთის მონასტრის ხელმძღვანელ ფილადელფოს კიკნაძისათვის მიუბარებია. ერთი წლის შემდეგ ფილადელფოსი 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დაიპატიმრეს. რაფიელი მშობლებმა გორში გადაიყვანეს სასწავლებლად. 1836 წლიდან იგი თბილისში ცხოვრობდა, სადაც წარმატებით დაამთავრა გიმნაზია. მან სწავლის გაგრძელება უსახსრობის გამო ვერ მოახერხა და თარჯიმნად დაიწყო მუშაობა თუშ-ფშავ-ხევსურეთში. იგი მალევე ჩაება საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. მისი ლიტერატურული ურთიერთობა ქართველოლოგ აკადემიკოს მარი ბროსესთან, ჯერ კიდევ მწერლის სიჭაბუკის წლებში, ქართული კულტურის სიყვარულით იყო შთაგონებული. მათი მიმოწერა მეტად საინტერესოა.

პოეტის პირველი ლექსები 1852 წელს „ცისკარში“ დაიბეჭდა. გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებზე კი მისი მიმოხილვები და ეთნოგრაფიულ-ისტორიული წერილები იბეჭდებოდა. იგი სახელმწიფო სამსახურშიც მოღვაწეობდა, პარალელურად კი წერდა შრომას სვანეთის შესახებ. სამსახურისთვის თავის დანებების შემდეგ კი მან ცხოვრების უკანასკნელი წლები თავის მშობლიურ კუთხეში გაატარა. მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, რაფიელ ერისთავი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე განაგრძობდა შემოქმედებით მუშაობას. ბოლო ხანებში იგი მუშაობდა ოპერის „ნუგზარი“ ლიბრეტოზე, რომელიც დუმთავრებელი დარჩა. რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის 50 წლის იუბილე, დიდი ზეიმით აღინიშნა. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი ხშირად ავადმყოფობდა. იგი 77 წლის ასაკში გარდაიცვალა. თელავიდან პოეტის ნეშტი წაასვენეს სოფელ ქისტაურში. იქ პოეტი დაიტირა მისმა საყვარელმა მდაბიო ხალხმა და მოწიწებით მიაბარა მშობლიურ მიწას. 1911 წელს აკაკი წერეთელმა ინახულა რაფიელის საფლავი ქისტაურში და პანაშვიდი გადაუხადა. 1938 წელს კი რაფიელ ერისთავის ნეშტი თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ეზოში გადმოასვენა.

რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმში ნყალი ჩადის და კედლებიც უკვე დაბზარულია. რაფიელ ერისთავის სახლი 1857 წელს არის აშენებული და დაზიანებები შენობის სიძველითაა გამოწვეული. წლევანდელი ბიუჯეტი კი უკვე ამოწურულია და ამიტომ სახლ-მუზეუმის შესაკეთებლად საჭირო სახსრები მომავალი წლის ბიუჯეტში ჩაიდება.

SMS-განცხადებები - ჯიეი

● იყიდება ბათუმში ჭავჭავაძის ქუჩაზე, ახალაშენებულ სახლში მე-2 სართულზე 100 კვ.მ 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა, ევრორემონტით, ტელეფონით, ბუნებრივი აირით, კონდიციონერით, ავეჯით, 3 აივნით, ხედით ღვთისმშობლის ტაძარზე. 893673683.

● ქირავდება 1-ოთახიანი ბინა ვაჟა-ფშაველას მე-6 კვარტალში, სასწრაფოს პირდაპირ. საწყისი ფასი 400 ლარი. 692130

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გაგაზავნეთ sms ნომერზე 3090 მაგიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი

განცხადებები

● კომპიუტერებისა და ლეპტოპების პროგრამული და ტექნიკური მხარის უზრუნველყოფა (ვინდოუსის გადაყენება, ანტივირუსის დაყენება, ვირუსებისგან გაწმენდა და ა.შ.) ხელმისაწვდომ ფასად. ტელ: 895-236-444 გიორგი.

● სილამაზის სალონ „შარმში“ უკრაინიდან ჩამოსული გოგონა, მაღალი კლასის სტილისტი, შეგასწავლით სტილისტ-ვიზაჟისტის პროფესიას, გაიცემა სერთიფიკატი, სწავლა მაღალ დონეზე. მომსახურება: თმის შეჭრა, დავარცხნა, დახვევა, საბანკეტო, საქორწილო ვარცხნილობები. მის: მ.მარჯანიშვილი, აღმაშენებლის 93. ტელ: 96-38-27; 893-39-04-87.

● შევიძენ ყველა სახის წიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

ალექს ფერგიუსონი: „შეგიძლიათ, ჩვენი კონკურენტები „დაამშვიდოთ“

ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ განაცხადა, რომ 2919 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის 39 ფეხბურთელი ჰყავს შეგულებული, რომელთაგან შემდეგ იმ 22-ს აარჩევს, რომელიც ინგლისის ნაკრების ღირსებას დაიცავს სამხრეთ აფრიკაში.

ინგლისელ ჟურნალისტებს თავიანთი წამყვანი კლუბების გამოცდილი სპეციალისტების აზრიც აინტერესებთ და საამისოდ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი შეარჩიეს, რომელსაც სამუნდიალო თემების გარდა საკლუბობზეც ესაუბრნენ.

— სერ ალექს, „მანჩესტერში“ სხვადასხვა ქვეყნების ნაკრებები მოთამაშე რამდენიმე ფეხბურთელი თამაშობს. გუნდში მრავლად არიან ისეთებიც, რომლებიც ინგლისის ნაკრების კანდიდატებად მოიაზრებიან. თქვენი აზრით, რომელი ფეხბურთელის აყვანას ურჩევდით ფაბიო კაპელოს, რომელიც ძალიან გამოადგებოდა ნაკრებს საბრძოლ აფრიკაში?

— ფაბიო კაპელოს ერთს დრწმუნებით ვურჩევდი — ნუ წავა მსოფლიოს ჩემპიონატზე რიო ფერდინანდის გარეშე. რიო შესანიშნავი მცველია და ნებისმიერი გუნდის სასარგებლო ფეხბურთელი. მას უდიდესი სარგებლობის მოტანა შეუძლია გუნდისთვის. ერთია, ფერდინანდი ძალიან გაანგალეს ტრავმებმა. ამჟამადაც, რიოს დასვენების საშუალება მივეცი და იმედი მაქვს, ტრავმის დროულად მორჩენას მოახერხებს.

— სადღეისოდ რა აწუხებს ფერდინანდს?

— ზურგი. სავარაუდოდ, ფერდინანდი მოედანს მომავალი წლის დასაწყისისთვის დაუბრუნდება. თუ რიოს ტრავმამ რეციდივის კვალი არ დატოვა, ზაფხულისთვის ოპტიმალურ ფორმაში იქნება. ასეთ შემთხვევაში კი კაპელომ მის სამსახურზე უარი არ უნდა თქვას. დარწმუნებული ვარ, ფერდინანდი მწვრთნელის ნდობას მუნდიალზე შესანიშნავი თამაშით გაამართლებს.

— კიდევ ვის აყვანას ურჩევდით კაპელოს?

— კაპელო მაღალი დონის სპეციალისტია და ჩემი რჩევის მიცემა არ სჭირდება, თუმცა, მაინც ვთხოვდი, რომ ყურადღება მიაქციოს უესლი ბრაუნს. ჩემი აზრით, რიო ფერდინანდთან ერთად დაცვის ცენტრში ბრაუნს ინგლისის ნაკრებისთვის დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია. რასაკვირველია, მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის კარგი შანსი აქვს უეინ რუნისაც. გეტვით იმასაც, რომ ჯერ ნაადრევი მგონია მაიკლ ოუენის ჩამოწერაც. ყველაფერს თავი გავანებოთ და მისი ბოლო მატჩი გავიხსენოთ ჩემპიონთა ლიგაზე, სადაც „ვოლფსბურგის“ კარში 3 გოლი გაიტანა.

— ინგლისის ნაკრები მაღალკვალიფიციური თავდამსხმელების ნაკლებობას არ უჩივის. ამის გამო ოუენის ნაკრებში მოხვედრის შესაძლებლობა ცოტა ბუნდოვნადაც გვეჩვენება.

— მართალია, მაგრამ ოუენს თავის გამოჩენის შანსი უნდა მიეცეს. ყველაფერს თავი დავანებოთ, მას ნაკრებში თამაშის დიდი გამოცდილება აქვს და თუ ოპტიმალური ფორმა სეზონის ბოლომდე შეინარჩუნა, ვფიქრობ, სამუნდიალო განაცხადში შეყვანის ღირსი იქნება. თუ მის მიერ ჩატარებული მატჩების სტატისტიკას გადახედავთ, დარწმუნდებით, როგორი პროდუქტიული და შედეგიანი ოუენი ნაკრებში. ვფიქრობ, ამ მომენტს უყურადღებოდ არც კაპელო დატოვებს.

— სკეპტიკოსები პირიქით ამტკიცებენ — თქვენ თვითონ ოუენს ძალიან მცირე სათამაშო დროს აძლევთ, რაც ფეხბურთელს თავის კონკურენტებთან შედარებით ცუდ პოზიციაში ამყოფებს.

— ვერანაირად ვერ დავეთანხმები. პირიქით, ხანგრძლივი და დამღლელი სეზონის ბოლოს ოუენი სხვებთან შედარებით უფრო ენერგია შემონახული იქნება. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია. ოუენს სეზონის ბოლომდე სასტარტო შემადგენლობაში არ დავაყენებ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მაიკლი „მანჩესტერის“ ძირითადი მოთამაშე არ არის. კიდევ გავიმეორებ — ტუ კაპელო ოუენს თავის გამოჩენის შანსს მისცემს, მაიკლი დაამტკიცებს, რომ სხვაზე ნაკლებ სასარგებლო ფორვარდი არ არის.

— 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვების უპირველეს კანდიდატად რომელ ნაკრებს მიიჩნევთ?

— ამ კითხვით რამდენჯერმე მომმართეს და პასუხი ყოველთვის ერთი მაქვს — მუნდიალის მოგების ყველაზე დიდი შანსი ბრაზილიის ნაკრებს აქვს. ამ აზრს მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე არ შევიცვლი, ხოლო შემდეგ იმედი მაქვს, ბრაზილიელები ჩემს პროგნოზს გაამართლებენ.

— ბოლო დროს ინგლისურ პრესაში ხშირად ჩნდება სტატიები, სადაც თქვენი „ოლ ტრაფორდიდან“ შესაძლო წასვლაზე საუბრობენ. თქვენ რას იტყოდით ამის შესახებ?

— „მანჩესტერის“ დატოვება ჩემს უახლოეს გეგმებში არ შედის. გუნდს მხოლოდ იმ შემთხვევაში დავტოვებ, თუ მწვრთნელად მუშაობისას ჯანმრთელობა არ შემიწყობს ხელს. სწორედ ჯანმრთელობის ხარჯზე გავარკვევ, კიდევ რამდენი ხანი ვიქნები „მანჩესტერის“ მწვრთნელი, ხოლო თუ ჯანმრთელობამ ხელი არ შემიწყო და დავდაბუნდი, მაშინ მხოლოდ ოჯახის წევრებს ვემახსოვრები, ხოლო გულშემატკივრები დამივიწყებენ.

— გასული ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე „მანჩესტერმა“ კრიშტიანუ რონალდუ საკმაოდ სარფიან ფასში გაყიდა, სამაგიეროდ კი გუნდში არ გამოჩენილა რომელიმე საქვეყნოდ აღიარებული ვარსკვლავი. მომავალ სატრანსფერო ბაზარზე ხომ არ უნდა ველოდოთ „მანჩესტერის“ გააქტიურებას?

— შეგიძლიათ ჩვენი კონკურენტი გუნდები „დაამშვიდოთ“. ახალი მოთამაშეების შესაძენად 60 მილიონი გირვანქა სტერლინგი გვაქვს გამოყოფილი და მის ათვისებას ვაპირებთ.

ბოიკოტი მოურინიოს

იტალიურ პრესაში ყველაზე აქტიურ თემად რჩება მილანის „ინტერის“ მწვრთნელის ჟოზე მოურინიოს მიერ „კორიერო დელო სპორტის“ ჟურნალისტის ანდრეა რამაზოტისთვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება. პორტუგალიელმა სპეციალისტმა შეწყვიტა სიწუმე და ჟურნალისტების წინაშე პრესკონფერენციით წარდგა, სადაც მომხდარ ეპიზოდთან დაკავშირებით გრძელი მონოლოგიც წარმოთქვა.

— ვალდებული ვარ, სიმართლე ვთქვა და გამოვტყდე, რომ თქვენს კოლეგას შეურაცხყოფა ნამდვილად მივაყენე. მას ისეთი სიტყვა ვუწოდე, რომელსაც ახლა თქვენი თანდასწრებით ვეღარ გავიმეორებ, რადგან ძალიან შეურაცხმყოფელია. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ ფიზიკური კონტაქტის არანაირი სურვილი არ მქონია და მხოლოდ სიტყვიერი შეურაცხყოფით შემოვიფარგლე. უნდა აღვნიშნო, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ კვირას არ დაწყებულა, არამედ საკმაოდ გრძელი პროცესი ჰქონდა, რომელიც თვეების მანძილზე გრძელდებოდა. ჩემი დანაშაულია, რომ ჟურნალისტს სიტყვიერი შეურაცხყოფა მივაყენე, მაგრამ მომხდარში მისი დანაშაულიც არის, რადგან არ გაითვალისწინა სიტუაციის ყველა სირთულე და აგრეთვე „ინტერის“ თანამშრომლების შეცდომაც, რომლებიც დროულად არ ჩაერივნენ სიტუაციის განსამუხტად. არსებობს საპრესკონფერენციო დარბაზები და არანაირი სურვილი არ მაქვს, ჟურნალისტები ჩემი გუნდის ავტობუსის კართან ვიხილო. მას რამდენჯერმე შევიხვდი ჩვენი ავტობუსის კარებთან და რამდენჯერმე ვუთხარი კიდეც, რომ მას არ აქვს უფლება, იქ დახვდეს გუნდის მწვრთნელს თუ ფეხბურთელებს. კვირას კი ისევ დამხვდა და თავი ვერ შევიკავე. ყოველთვის მიჩვეულ ფრაზას — აქ რას აკეტებთ, რამდენიმე შეურაცხმყოფელი სიტყვაც მივაყოლე. სახალხოდ ბოდიშის მოხდას არ ვაპირებ, რადგან მისთვის სახალხოდ შეურაცხყოფა არ მიმიყენებია. რაც შეეხება ჩემს დასჯას კლუბის მხრიდან, მას ნამდვილად მივიღებ, მაგრამ საუბრები იმის შესახებ, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაცია ჩემს დიკვალიფიკაციას აპირებს, უბრალოდ, სასაცილოა, — განუცხადა ჟურნალისტებს მოურინიომ.

იტალიელ ჟურნალისტებსაც მხოლოდ მისი „აღიარებთი“ ჩვენება აინტერესებდათ და მიიღეს კიდეც, მაგრამ პორტუგალიელი მწვრთნელის აღსარებით კმაყოფილი არ დარჩენილან და ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ამიერიდან არც ერთ პრესკონფერენციას, რომელსაც მოურინიო გამართავს, არ დაესწრებიან და ბოიკოტს უცაბედებენ პორტუგალიელ სპეციალისტს.

ლივერპულის ფანები მფლობელების წინააღმდეგ

ინგლისური მედიის ცნობით, „ლივერპულის“ მფლობელების წინააღმდეგ ჩატარებული საპროტესტო აქციის მსვლელობისას 3 მონაწილე დაჭერილია და ციხეში იქნა გადაყვანილი. ინციდენტი კვირას „ლივერპულის“ შმობლიერ სტადიონ „ენფილდის“ სიახლოვეს მოხდა, როდესაც 200-მა დემონსტრანტმა „არსენალთან“ მატჩის წინ ალაყა შემოარტყა სტადიონს.

დემონსტრანტების გააქტიურება მას შემდეგ დაიწყო, როდესაც ცნობილი გახდა, რომ ლონდონელებთან მატჩს დაესწრებოდნენ მერსისაიდული კლუბის ამერიკელი მფლობელები — ჰიკსი და ჯილეტი. აგრესიულად განწყობილი ფანატები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა დაედგინათ, რა სატრანსპორტო საშუალებით მოადგებოდნენ სტადიონს მფლობელები, რათა ღიად გამოეხატათ თავიანთი გულისწყრომა მფლობელების მიერ არასწორად გატარებული პოლიტიკის გამო.

ორაგანიზატორებმაც და პოლიციამაც საპროტესტო აქციას მშვიდობიანის სტატუსი მიანიჭეს. თუმცა, 3 დემონსტრანტი მაინც იქნა დაპატიმრებული საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ბრალდებით. ორ მათგანს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება, ხოლო ერთი პროტესტანტი მხოლოდ საჯარიმო სანქციებით დაკმაყოფილდება.

აღსანიშნავია, რომ მფლობელებიდან არც ერთი მათგანი სტადიონთან არ გამოჩენილა, მაგრამ ფოსტერ ჯილეტი ტრიბუნებზე მიანც იმყოფებოდა და გაურკვეველი დარჩა, თუ რა გზით მოახერხა „ლივერპულის“ მმართველობის წევრმა სტადიონზე შელწევა.

დემონსტრანტების ჯგუფის წარმომადგენლები კი თავიანთი აქციას ერთჯერადს არ უწოდებენ და მზად არიან, მშვიდობიანი გზით მოიშორონ თავიდან კლუბის ხელმძღვანელობა.

— ჩვენ კიდევ ერთხელ გვინდოდა მიგვენიშნებინა მათთვის, რომ არ შეუძლიათ კლუბის საქმიანობებში გაძღოლა. აგრეთვე გვინდოდა შეგვეხსენებინა, რომ მათ ლივერპულში ჩამოსვლას არავინ მიესალმება, — აცხადებენ დემონსტრანტები.

საქართველო უთამაშებლად დაწინაურდა

გასულ თვეში საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს ოფიციალური მატჩი არ ჩაუტარებია, მაგრამ ფიფა-კოკა-კოლას რეიტინგში ერთი საფეხურით დაწინაურდა და ახლა 124-ე ადგილზე იმყოფება.

ქართველთა დაწინაურება უფრო სხვა გუნდების დამსახურებაა — შედეგები გაიუარესეს ყაზახეთის, ბურუნდისა და გუნასს საფეხბურთო ნაკრებებმა, მაგრამ 3 საფეხურით დაწინაურება მაინც ვერ მოხერხდა, რადგან უკეთესი შედეგები აჩვენეს ვიეტნამისა და ეთიოპიის ნაკრებებმა. ასე რომ, თემურ ქეცბაიას ახალი წლიდან გუნდის აღზევების გზაზე დაყენება 124-ე ადგილიდან მოუწევს.

არანაირი ცვლილება არ მომხდარა პირველ ათეულში. საუკეთესო გუნდების ამქარს ისევ ესპანეთის ნაკრები თამადობს, რომელიც ალაჯერდს ბრაზილიის ნაკრებთან გადადის. მესამე ადგილზე ჰოლანდიის ნაკრებია, ხოლო პირველ ხუთეულს იტალიელები და პორტუგალიელები ავსებენ.

მეორე ხუთეულში კი გერმანიის, საფრანგეთის, არგენტინის, ინგლისისა და ხორვატიის გუნდები ასეთივე თანმიმდევრობით განლაგდნენ.

ფიფა-კოკა-კოლას რეიტინგში უახლოეს მომავალში არანაირი ცვლილება არ არის მოსალოდნელი, რადგან მარტის თვემდე ნაკრებები ოფიციალურ მატჩებს არ გამართავენ. 3 მარტს ითამაშებს საქართველოს ნაკრებიც, რომელიც თბილისში ესტონეთის ნაკრებს დაუხვდება და ეს იქნება ქეცბაიას პირველი გამოცდა და ბალტიისპირელებთან მატჩიდან დაინყებს ქულების დაგროვებას რეიტინგში მოსამატებლად.

ლემანი სამი მატჩით დაასვენეს

გერმანიის ბუნდესლიგის ბოლო ტურში ჩადენილი ცუდი საქციელის გამო „შტუტგარტის“ მეკარე იენს ლემანი 3 მატჩით აგებს პასუხს. გერმანიის ფეხბურთის ფედერაციამ სწორედ ასე დასაჯა 40 წლის მეკარე თავისი ბინძური საქციელის გამო, რომელიც „მაინცთან“ მატჩისას ჩაიდინა. მატჩის 88-ე წუთზე ლემანმა შეგნებულად დაარტყა ფეხი მასპინძელთა თავდამსხმელ ბანსეს თავისივე საჯარიმო მოედანზე.

საბოლოოდ, გაძევება, შენალტი, დაკარგული 2 ქულა და დისკვალიფიკაცია — არც თუ პატარა სასჯელია, როგორც ლემანისთვის, ასევე თავად „შტუტგარტისთვის“.

როზეტმა სამხრეთ კორეა გააწითლა

აბუ დაბიში მიმდინარე მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე პირველი ფინალისტი უკვე გაირკვა — არგენტინული „ესტუდიანტესი“. სამხრეთამერიკულმა გუნდმა 2:1 დაამარცხა სამხრეთკორეული „პოჰანგ სტილერსი“ და 19 დეკემბერს ესპანურ „ბარსელონასა“ და მექსიკურ „ატლანტეს“ შორის გუშინ გვიან დასრულებული მატჩის გამარჯვებულს ელოდება.

უნდა ითქვას, რომ სამხრეთამერიკელებმა გამარჯვებას იოლად მიაღწიეს და ამაში მათ მეტოქეც წაეხმარა და იტალიელი მსაჯი რობერტო როზეტიც, თუმცა, მსაჯის დახმარებას აქტიურად შეუწყვეს ხელი სამხრეთკორეელმა ფეხბურთელებმაც, რომლებმაც როსეტის 8 ყვითელ ბარათთან ერთად 3 წიტელი ბარათიც დასტყუეს და თამაში 8 ფეხბურთელით ჩაამთავრეს.

„ესტუდიანტესის“ ფეხბურთელებმა ანგარიში პირველი ტაიმის ბოლო წუთზე გახსნეს, როდესაც ლეანდრო ბენიტესმა საჯარიმო გაიტანა. ბენიტესმა არც მეორე ტაიმში მოისვენა და 53-ე წუთზე დუბლი შეასრულა. მეორე გოლიდან ერთ წუთში „პოჰანგის“ ფეხბურთელი ვონ ჯაე მოედნიდან იქნა გაძევებული, მაგრამ სამხრეთკორეელები არ გატყდნენ და მათმა ბრაზილიელმა ლეგიონერმა დენილსონმა სხვათა მინიშუმამდე დაიყვანა. თუმცა, დენილსონის გოლი და დასუნგი ჯაეს მოედნიდან გაგდება ერთი იყო, ხოლო კიდევ 5 წუთში ბოლო იმედის ჯარიმის გამო მოედნიდან უკვე მეკარე იონგ ჰვა მიაბრძანეს.

რა თქმა უნდა, 8 ფეხბურთელით დარჩენილ მეტოქეს „ესტუდიანტესი“ უფრო მეტს უტევდა, მაგრამ გოლის გატანა და ანგარიშის შეცვლა ვეღარ მოახერხეს.

„პოჰანგი“ — „ესტუდიანტესი“ 1:2

0:1, 0:2 ბენიტესი (45, 53), 1:2 დენილსონი (72)

„პოჰანგი“: ჰვა, ჰიო, ტაე (კაზუნარი 58), ს.ჯაე, დენილსონი, ვ.ჯაე, ჟუნგი, ი.ჰიუნგი, დო (უნგი 46), მ.ჰიუნგი, ბიუნგი (ჰიი 54)

„ესტუდიანტესი“: ალბილი, სბბატო (სელა 68), პერესი, ვერონი, დიასი, რე, ბოსელი, ნუნიესი, ბრანა, ბენიტესი (სალგურო 83), როდრიგესი

შედეგები

ფეხბურთი

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი

ნახევარფინალი

ინდეპენდიენტე-პოჰანი 2:1

ინგლისი. ჩემპიონიგა

სანდერლენდი-ასტონ ვილა 0:2

ბირმინგემი-ბლეკბერნი 2:1

ბოლტონი-ვესტ ჰემი 3:1

მნჩესტერი-ვოლვზი 3:0

საფრანგეთი. I ლიგა

ვალანსიენნი-ოსერი 0:0

მოტლნნია. ჩემპიონიგა

დანდი იუნ.-რეინჯერსი 0:3

კალათბურთი

ნბა. ჩეგულარული ჩემპიონატი

კლივლენდი-ნიუ ჯერსი 99:89

შარლოტი-ნიუ იორკი 94:87

მაიამი-ტორონტო 115:95

ჩიკაგო-ლეიკერსი 87:96

ჰიუსტონი-დეტროიტი 107:96

ფინიქსი-სან ანტონიო 116:104

პორტლენდი-საკრამენტო 95:88

ევროთასი

აზოვმაში-ტერამო 90:82

ჰემოფარმი-ლე მანი 88:76

ვენტსპილსი-ბიელა 63:77

ტროვივი-პანილინიოსი 81:76

გალათასარაი-ალბა 93:79

ზადარი-ჰაპოელი 86:69

ვლადიმერ ბოისა (ზადარი): 21 ქულა, 14 მოხსნა

არისი-შიაულაი 85:67

ბილბაო-ტელეკომი 81:75

ბონი-უნიქსი 62:66

ბროზე-ნიმბურკი 85:73

ნანსი-გრან კანარია 67:55

შარლეროა-სპარტაკი(ს-პ) 50:68

შოლე-ცრვენა ზვეზდა 79:70

ბენეტონი-დინამო(მ) 102:69

ვალენსია-ტრიუმფი 85:60

ხუვენტუდი-ბეშიქთაში 108:92

ხელბურთი

მსოფლიოს ჩემპიონატი

ჯგუფები

შვედეთი-ტუნისი ..... 26:26(7:5დდ)

ნორვეგია-ესპანეთი 27:24

რუსეთი-დანია 30:25

რუმინეთი-ს.კორეა 34:34

ჰოკეი

ნჰლ. ჩეგულარული ჩემპიონატი

პიტსბურგი-ფილადელფია 6:1

მინესოტა-კოლამბუსი 2:1

ნეშვილი-ტამპა ბეი 7:4

სენტ ლუისი-კალგარი 4:3

კოლორადო-ვაშინგტონი 1:6

ედმონტონი-ლოს ანჯელესი 2:3

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

დღის კალენდარი

17 დეკემბრისთვის

წლის 351-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 14 დღე.

საეკლესიო კალენდარი

28-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. ხუთშაბათი.

ხსენება დიდმოწამე ბარბარესი და მოწამე იულიანესი (დაახლ. 306); ღირსი იოანე დამასკელისა (დაახლ.760); ღირსი იოანე პოლივოტელ ეპისკოპოსისა (VIII).

წმიდა დიდმოწამე ბარბარე იმპერატორ მაქსიმიანეს დროს ევნო ქრისტეს სახელისათვის. მისი მამა, წარმართი დიოსკორე ადრე დაქვრივდა და გადაწყვიტა ბარბარე უცხო თვალთაგან ფარულად აღეზარდა. ამისათვის მან თავის მამულთან ახლოს კოშკი ააშენა, რომელშიც ბარბარეს გარდა მისი წარმართი აღმზრდელი მასწავლებლები ცხოვრობდნენ. ყრმა ბარბარე თანდათანობით სულ უფრო ღრმად უფიქრდებოდა სამყაროს არსებობის მიზეზსა და მის შემოქმედს და სურვილმა ჭეშმარიტი ღმერთის შეცნობისა ისე შეიპყრო სული ბარბარე ქალწულისა, რომ გადაწყვიტა მხოლოდ ამ მიზნისათვის მიეძღვნა თავისი ცხოვრება და უმანკოებით გაეტარებინა იგი. ქალაქში ბარბარემ მალე გაიცნო ქრისტეს სარწმუნოების აღმსარებელი ქალიშვილები. რამდენიმე ხნის შემდეგ, ღვთის განგებით, ილიოპოლში ვაჭრად გადაცმული მღვდელმთავარი ჩავიდა ალექსანდრიიდან, რომელმაც წმიდა ნათლობის საიდუმლო აღასრულა ბარბარე ქალწულზე.წმიდა ბარბარემ მოუთხრო დიოსკორეს თავის მიერ სამპიროვანი ღმერთის, ღვთის ძის მაცხოვნებელი ძალისა და კერპთაყვანისმცემლობის ამაოების შეცნობის შესახებ. დიოსკორე სასტიკად განცვიფრდა, გონდაკარგულმა მახვილიც კი იძრო, მაგრამ ქალწული გაეცქა მამას. ისინი მალე მთას მიადგნენ, რომელიც შუაზე გაიპო და დიდ ნაპრალში შეიფარა წმიდა ბარბარე. ასე დაუსხლტა, ღვთის შეწევნით, ქალწული მამას და მთის ერთ მღვიმეში დაიწყო ცხოვრება. მამამ მაინც მიაგნო წმიდა ბარბარეს, შეუბრალებლად სცემა, დიდხანს აშიშვლებდა და ქალაქის განმგებელს მარტიანეს გადასცა იგი. მისი ბრძანებით წმიდა ბარბარე სასტიკ სატანჯველთ სწიეს. იმ ხალხთა შორის, რომელნიც წმიდანის ტანჯვა-წამებას ესწრებოდნენ, წმიდა იულიანეც იყო. მანაც საჯაროდ აღიარა რწმენა ქრისტესი. ბოლოს ქრისტეს რწმენის ამ მტკიცე აღმსარებელთ — წმიდა დიდმოწამე ბარბარესა და მოწამე იულიანეს თავები მოჰკვეთეს. წმიდა ბარბარეს საკუთარმა მამამ, დიოსკორემ მოჰკვეთა თავი. ორივე მტარვალი — დისკორეც და განმგებელი მარტიანეც ცათაგან მოვლენილმა ცეცხლმა მოაშთო.

VI საუკუნეში დიდმოწამე ბარბარეს წმიდა ნაწილები ილიოპოლიდან კონსტანტინოპოლში გადაასვენეს, ხოლო XII საუკუნეში, ბიზანტიის იმპერატორ ალექსი კომნენის დროს, ღვთის განგებით იგი რუსეთში მოხვდა: ხელმწიფის ასული ბარბარე რუს მთავარ მიხეილ იზიასლავის ძეზე დაქორწინდა და დიდმოწამის წმიდა ნაწილებიც თან წაიღო კიევში, სადაც ისინი დღემდე განისვენებენ კიევის ვლადიმირის საკათედრო ტაძარში.

დაბადნენ:

1525 — ჯოვანი პერლუიჯი დე პალესტრინა, დიდი იტალიელი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1594 წელს.

1833 — ჰენრიხ ვილდი, შვეიცარიელი ფიზიკოსი და გეოფიზიკოსი. გარდაიცვალა 1902 წელს.

1842 — ერნსტ ლავისი, ფრანგი ისტორიკოსი. გარდაიცვალა 1922 წელს.

1867 — ადოლფ დირი, გერმანელი ეთნოგრაფი და ენათმეცნიერი, კავკასიოლოგი, პროფესორი. პირველი საენათმეცნიერო-კავკასიისმცოდნეობითი ჟურნალის („ჩაუცასიცა“) დამაარსებელი. გარდაიცვალა 1930 წელს.

1867 — შიო არაგვისპირელი, მწერალი, გარდაიცვალა 1926 წელს.

1918 — ირაკლი ციციშვილი, არქიტექტორი, აკადემიკოსი, გარდაიცვალა 2001 წელს.

1925 — ოთარ კობერიძე, თეატრისა და კინოს მსახიობი.

გახდაცვალნენ:

1976 — არჩილ ხარაძე, გამოჩენილი მათემატიკოსი, საქართველოში მათემატიკური განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი.

1830 — სიმონ ბოლივარი, სამხრეთ ამერიკის ესპანური კოლონიების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მეთაური.

1881 — ლუის ჰენრი მორგანი, ამერიკელი ეთნოგრაფი და არქეოლოგი.

1907 — უილიამ ტომსონი, ინგლისელი ფიზიკოსი, თერმოდინამიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

მოვლენები:

1777 — საფრანგეთმა აღიარა აშშ-ს დამოუკიდებლობა.

1790 — მეხიკოში აღმოაჩინეს აცტეკების ქვის კალენდარი.

1929 — ბოლშევიკების ბრძანებით მოსკოვში ააფეთქეს ჩუდოვის ტაძარი.

1957 — აშშ-მ გამოსცადა პირველი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა „ატლასი“.

1962 — „ბითლზების“ პირველი გამოსვლა ტელევიზიით.

1971 — ინდოეთ-პაკისტანის ომის დასასრული. აღმოსავლეთ პაკისტანი გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო ბანგლადეშის სახელწოდებით.

1992 — ისრაელმა თავისი ტერიტორიიდან 400-ზე მეტი პალესტინელი გაასახლა.

ღიხსხახხოვარი დღეები:

ბუთანი - ეროვნული დღე.
ყაზახეთი - ხსოვნის დღე.

მედიანიუსი

ბრიპის ვირუსით ფეხმძიმე ქალი გარდაიცვალა

ეიჩ1ენ1 ბრიპის ვირუსით საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე დაიღუპა. 24 წლის ფეხმძიმე ციალი ესაკია ქუთაისის საავადმყოფოში გარდაიცვალა. ესაკია ქუთაისის საავადმყოფოში 12 დეკემბერს მიიყვანეს. შესაბამისი მკურნალობის შემდეგ მას საკეისრო კვეთა გაუკეთდა, რის შედეგადაც ბავშვის გადარჩენა მოხერხდა, ხოლო დედა გუშინ საღამოს გარდაიცვალა.

ექიმები აღნიშნავენ, რომ ციალა ესაკია ხობის რაიონის მაცხოვრებელი იყო, რომელმაც სამედიცინო დაწესებულებას დაგვიანებით, მეექვსე დღეს, მიმართა.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე შოთა ცანავამ განცხადებით, აშკამად შემთხვევათა მკვეთრი მატებაა. დღეისათვის 600-ზე მეტი ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევაა. გაცილებით მეტია რეალურად დაავადებულთა რიცხვი. შემთხვევათა გართულებები ახლა გახდა აქტუალური. დღეს უკვე სახეზეა 5 ფატალური შემთხვევა.

როგორც ცანავამ აღნიშნა, ბოლო შემთხვევა, როგორც სხვა დანარჩენი, დაგვიანებული ჰოსპიტალიზაციის ბრალია. მალალი რისკის ჯგუფები: ორსულები, ჩვილები, ქრონიკული ინფექციებით დაავადებულები, სასუნთქი სისტემები და გულ-სისხლძარღვთა დაავადებულები. ეს ის კონტინგენტია, რომლებიც განსაკუთრებით უნდა გაუფრთხილდნენ თავს და ვირუსის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა მიმართონ სამედიცინო დაწესებულებებს მძიმე შედეგების თავიდან ასაცილებლად.

მედიანიუსი

ინფექციური საავადმყოფო შესაძლოა, ორ წელიწადში გაუქმდეს

ინფექციური საავადმყოფო შესაძლოა, ორ წელიწადში გაუქმდეს.

როგორც „პირველს“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განუცხადეს, სამინისტრო ინფექციურ საავადმყოფოს და სეფსისის ცენტრს 25 დეკემბერს აუქციონზე გიატანს.

ამასთან, პრივატიზების შემდეგ სამედიცინო დაწესებულებას პროფილი მხოლოდ ორი წელი შეუნარჩუნდება.

ობიექტის საწყისი ფასი 12 000 000 აშშ დოლარია. აუქციონის პირობების თანახმად, მყიდველმა საპრივატიზებო თანხის 50% აუქციონის ჩატარებიდან 1 თვის ვადაში უნდა დაფაროს.

როგორც ეკონომიკის სამინისტროში აცხადებენ, ინფექციური საავადმყოფოს მოხერხებული ცენტრალური მდებარეობის და დიდი ფართობის გათვალისწინებით, იგი იდეალურია მრავალგვარი ბიზნესსაქმიანობის დასაწყებად, როგორიცაა სასტუმრო, მაღალი კლასის საოფისე თუ სავაჭრო ცენტრები და სხვა.

ცნობისთვის, აუქციონზე აღ. ყაზბეგის 16-ში მდებარე 18 ერთეული შენობა-ნაგებობა და მათზე დამაგრებული 58 175 კვ.მ. მიწის ნაკვეთი გაიყიდება, რომელზეც აშკამად სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი“ და შპს „ქალაქ თბილისის სეფსისის სანინააღმდეგო ცენტრი“ ფუნქციონირებენ.

პირველი

ლეიბორისტები ნამლებზე დაბალი ზღვრული ფასების დაწესებას მოითხოვენ

ლეიბორისტული პარტია ფართო მოხმარების წამლებზე დაბალი, ზღვრული ფასების დაწესებას მოითხოვს. ამის შესახებ გუშინ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ განაცხადა. ის მოუწოდებს პრესიდენტ სააკაშვილს, პარლამენტს მიაღებინოს სპეციალური კანონი წამლების შესახებ, რომელიც მოქალაქეებს შესაძლებლობას მისცემს წამლები ხელმისაწვდომ ფასად შეიძინონ, შედეგად კი, ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე დაცული იქნება.

გუგავას თქმით, სწორედ ხალხის ხარჯზე დაგროვილი ფულების გამო, შეიყვანეს „პე-ეს-პეს“ დირექტორი კახა ოქრიაშვილი პარლამენტში.

— სააკაშვილის საარჩევნო ყუთებაში და მის პირად ანგარიშზე დაილექა ის თანხები, რომლებიც ხალხის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ვაჭრობით დააგროვეს ფარმაცევტულმა კომპანიებმა, — განაცხადა გიორგი გუგავამ.

მისივე ინფორმაციით, „პე-ეს-პე“-ში და „ავერსში“ ოქრიაშვილი და პაატა კურტანიძე ფორმალურად არიან ხელმძღვანელები და ეს ფარმაცევტული კომპანიები რეალურად ვანმერაბიშვილის საკუთრებაა.

მედიანიუსი

ზურაბ ნოღაიდელს ევგენი პრიმაკოვი საქართველოში არ მოუწვევია

„მოძრაობის სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერს ზურაბ ნოღაიდელს რუსეთის სამრეწველო-სავაჭრო პალატის პრეზიდენტი ევგენი პრიმაკოვი საქართველოში არ მოუწვევია.

როგორც თავად მოსკოვში მყოფი ნოღაიდელი აცხადებს, პრიმაკოვთან მას ძალიან საინტერესო შეხვედრა ჰქონდა, რომელზეც რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი იქნა განხილული.

მისივე თქმით, მოლაპარაკების დროს რუსეთ-საქართველოს შორის პირდაპირი საჰაერო მიმოსვლისა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენის საკითხებიც იქნა განხილული.

ყოფილი პრემიერის განცხადებით, მას პრიმაკოვი საქართველოში არ დაუპატიჟებია და არც თავად გეგმავს თბილისში ჩამოსვლას.

ნოღაიდელის პრეს-სამსახურში კი აზუსტებენ, რომ საქართველოში ჩამოსვლას არა პრიმაკოვი, არამედ მისი ოჯახი აპირებს.

რაც შეეხება ნოღაიდელის მოსკოვში ვიზიტს, იგი რუსეთის დუმის წევრებს ხვდება, საქართველოში კი დღეს დაბრუნდება.

ვიზიტისა და შეხვედრის დეტალებზე ოპოზიციონერი ლიდერი სწორედ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ისაუბრებს.

პირველი

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების აუქციონი გაიმართა

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების 26 აუქციონზე გაიყიდა 10 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 175-დღიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო 6 კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ 28 000 000 ლარი შეადგინა. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 4.330%-ით, მაქსიმალური 4.450%-ით, ხოლო საშუალო შეწონილი - 4.430 %-ით განისაზღვრა.

მედიანიუსი

რუსეთმა ნაურუ საახალწლო სეილზე იაფად იყიდა

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის თემურ იაკობაშვილის განცხადებით, „რუსეთმა ნაურუ საახალწლო სეილზე იაფად იყიდა“.

ასე აფასებს სახელმწიფო მინისტრი ჯუჯა სახელმწიფოს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების ფაქტს.

— ალბათ, ეს იყო საახალწლო სეილი და რუსეთმა ნაურუ იაფად იყიდა. რაც შეეხება ფაქტის სერიოზულ შეფასებას, ეს არის რუსული დიპლომატიის აბსოლუტური კრახი. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რამდენად ანომალიური დამოკიდებულება აქვს კრემლს კონფლიქტური რეგიონების მიმართ, — განაცხადა იაობაშვილმა და დასძინა, რომ ნაურუს მიერ კონფლიქტური რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების ფაქტს „ღიმილის გარეშე ვერავინ აღიქვამს“.

პირველი

რუსეთისთვის „მისტრალის“ მიყიდვა ჯერ გადაწყვეტილი არ არის

საქართველოში საფრანგეთის ელჩის ერიკ ფურნიეს განცხადებით, პარიზსა და მოსკოვს შორის ჯერ არ გაფორმებულა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, რუსეთის ფრანგულ „მისტრალის“ კლასის ვერტმფრენმზიდს შეიძენს.

ეს განცხადება ფურნიემ გუშინ რეიტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან თემურ იაკობაშვილთან გამართული შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

— მომმართებელი, როგორც წესი, საქონელითი ინტერესდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეთანხმება უკვე შედგა. ამ დროისთვის არც საფრანგეთს და არც რუსეთს გადაწყვეტილება არ მიუღიათ, — აცხადებს ფურნიე.

ელჩის თქმით, ოფიციალური პარიზი ადასტურებს თავის პატივისცემას საქართველოს სუვერენიტეტისადმი და ტერიტორიული მთლიანობისადმი.

მედიანიუსი

ჯოსვოხდი



ხელოვნების ფუძემდებელი საქართველოში; 13. მსოფლიოში ყველაზე დიდი ბრილიანტი; 16. პატარა, ერთბინიანი, მანსარდიანი სახლი; 19. მოხეტიალე მუსიკოსი ძველად გერმანიაში; 20. ბუნებრივი წყალვარდნილი.

შეადგინა თგოგინაშვილმა

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. სიცილის ადმინისტრაციული ცენტრი; 2. თავის ქალას ზედა ნაწილი; 3. ზედამხედველობა, მეთვალყურეობა, შემოწმება; 4. ინკუბატორში გამოჩეკილი წიწილების გასაზრდელი მოწყობილობა; 5. შუშხუნა ღვინო; 9. უზენაესი სასამართლო თურქეთში; 12. ლეო ფელიბის მუსიკაზე შექმნილი ბალეტი; 14. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 15. ერთი ქვეყნის მთავრობის წერილობითი, დიპლომატიური მიმართვა მეორე ქვეყნის მთავრობისადმი; 17. მდინარე დელაში; 18. ათი მილიონის ძველი ქართული სახელწოდება.

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 6. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 7. ფასიანი ქაღალდების, უცხოური ვალუტის კურსის დადგენა ბირჟაზე; 8. მაღალმთიანი კურორტი აჭარაში; 10. გერმანიის ფეიბურთელთა გუნდი; 11. ფოტოერთბინიანი, მანსარდიანი სახლი; 16. ბალეტმეისტერ ალბერტ ალონსოს ბალეტი; 17. ბალეტმეისტერ ალბერტ ალონსოს ბალეტი; 18. ბალეტმეისტერ ალბერტ ალონსოს ბალეტი; 19. ბალეტმეისტერ ალბერტ ალონსოს ბალეტი; 20. ბალეტმეისტერ ალბერტ ალონსოს ბალეტი.

ნინა ნომეხში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ჯოკერი; 2. წერო; 3. ანესთეზია; 4. გოგუა; 5. პეიზაჟი; 8. შოპენი; 9. კალანდაძე; 12. ბანერი; 14. ნამაზი; 16. ამადუ.

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. ჯვრისწერა; 6. ანტიგონე; 7. კლოშარი; 9. კრისტი; 10. ბანა; 11. ვექსილი; 13. ყანნი; 15. პანიკა; 17. ხაშლამა; 18. ბერეტა; 19. გრიზლი; 20. ლუტეცია.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ლებარდე; 2. ფრეზა; 3. გროტესკი; 4. სპაგეტი; 5. ვირსალაძე; 9. კრეოლი; 12. პაროდია; 14. ვალიზა; 15. ეტნა; 17. ვალიო; 18. აეიო.

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 6. თექურა; 7. არეოპაგი; 8. ბაზაზი; 10. ბედია; 11. ფეიერვერკი; 13. შვიდეული; 16. მართვე; 19. ჟორდანა; 20. ბარიკელო.

ნატო და რუსეთი დაპირისპირების დრამატიზირებას ერიდებიან

ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევთან შეხვედრის დროს რუსეთის ლიდერს ავღანეთის ოპერაციაში მონაწილე ვერტმფრენების რაოდენობის გაზრდა, გარდა ამისა, ნატო საერთაშორისო საზოგადოებრობის მიერ მიღებულ ღონისძიებებში რუსეთის მონაწილეობის გაფართოებას ისურვებდა. ნატოს მიაჩნია, რომ ამ მიმართულებით რუსეთი ასარაკამრისად აქტიურია.

მოსკოვი აცხადებს, რომ თალიბების მოქმედებას საფრთხის წყაროდ მიიჩნევს და მზად არის, დახმარება აღმოუჩინოს ნატოს ხელმძღვანელობით ავღანეთში მოქმედ საერთაშორისო ძალებს, საკუთარი ჯარების ავღანეთში გაგზავნის გამოკლებით.

ავღანეთის ომში ჩართვის სურვილის უქონლობა ნაწილობრივ 1979-89 წლების საბჭოთა ინტერვენციის მარცხით არის გამონეული.

ნატოს ამჟამინდელ ოპერაციასა და იმ ოპერაციას შორის რუსეთი გარკვეულ პარალელებს ავლებს, ამიტომაც ამ ღონისძიებაში მონაწილეობის სურვილს არ ამჟღავნებს.

რუსეთი თავის ტერიტორიაზე ავღანეთისაკენ ნატოს ტვირთების ტრანზიტს დათანხმდა, გარდა ამისა, ავღანელ პოლიციელებს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლისათვის ამზადებს, მაგრამ ნატოს მიაჩნია, რომ ეს საკმარისი არ არის.

ნატოს სურს, რომ მოსკოვმა ავღანეთის არმიას მეტი დახმარება გაუწიოს, თანაც უსასყიდლოდ.

ნატოს წარმომადგენლების აზრით, ავღანეთის არმიას რუსული ვერტმფრენები, საარტილერიო საჭურვილი და სანვავი, აგრეთვე ავტომატები ეს აჭიროებათ, თანაც უფასოდ.

ესოშეიტედ პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში ნატოს წარმომადგენელმა დიპლომატმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, განაცხადა, რომ ნატოსათვის ეს პრიორიტეტს წარმოადგენს, ნატოს რუსეთთან კარგი ურთიერთობა სურს, მაგრამ განყენებულ საკითხებზე ფილოსოფიურ მსჯელობას პრაქტიკული, რეალური თანამშრომლობა სჯობს.

ნატოს მიმართ პრეტენზიები რუსეთსაც გააჩნია. აღმოსავლეთის მიმართულებით ალიანსის გაფართოებისადმი რუსეთი თავის უარყოფით დამოკიდებულებას არასდროს მალავდა. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები და ბალტიისპირეთის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები უკვე ნატოს წევრები არიან.

რუსეთს განსაკუთრებით ნატოში უკრაინისა და საქართველოს წევრობის პერსპექტივა ანაღვლებს. რუსეთისა და ნატოს დაახლოებას ხელი ამ ორი ქვეყნის ნატოსთან დაახლოების შეფერხებამ შეუწყო.

რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა ევროპის უსაფრთხოების ახალი შეთანხმების დადების წინადადება წამოაყენა, მაგრამ ნატო ამ იდეას ეჭვის თვალით უყურებს და მას ალიანსის შესუსტების მცდელობად მიიჩნევს.

ირანმა მორიგი რაკეტა გამოსცადა

ირანის სახელმწიფო ტელევიზიამ გაავრცელა ინფორმაცია საშუალო რადიუსის სიშორის რაკეტის წარმატებული გამოცდის შესახებ.

რაკეტა „საჯილ 2“-ს, რომელიც სპარსულად „გამომწვარ თიხას“ ნიშნავს, 2 ათასი კილომეტრით დაშორებული სამიზნეების დაზიანება შეუძლია. მისი მოქმედების ზონაში ხვდებიან ისრაელი და სპარსეთის ყურეში მდებარე აშშ-ის ბაზები.

მიმმხილველების თქმით, ამ რაკეტას ირანში პირველად არ სცდიან, თუმცა, სავარაუდოდ, ბოლო სტარტს დასავლეთი პროვოკაციულ ქმედებად მიიჩნევს და შესაბამის რეაგირებას მოახდენს.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა გორდონ ბრაუნმა უკვე გამოაცხადა, რომ რაკეტის სტარტს ირანის მიმართ შემდგომი სანქციების მიღება შეიძლება მოჰყვეს.

მისი თქმით, საერთაშორისო საზოგადოებრიობა რაკეტის სტარტის ფაქტით შეშფოთებულია, რაც ახალი სანქციების მიღების საბაბს იძლევა.

რაკეტის გამოცდა ირანის სასამართლოს განცხადებას დაემთხვა. ამ განცხადებაში ნათქვამია, რომ ივნისში სადავო შედეგით დასრულებული პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ ოპოზიციის ლიდერები ქუჩებში ანტისამთავრობო მღელვარების ინიცირებას ცდილობდნენ.

სახელმწიფო პროკურორს, სადეკ ლარიჯანის გამოსვლა შესაძლოა იმას მიანიშნებდეს, რომ ირანში ოპოზიციის წარმომადგენლების დაპატიმრება მზადდება.

სადეკ ლარიჯანის თქმით, პროკურატურას ოპოზიციის ლიდერების წინააღმდეგ, რომლებიც არსებული სისტემის წინააღმდეგ შეთქმულებას ამზადებდნენ, საკმარისი სამხილი გააჩნიათ.

პრეზიდენტის პოსტზე მოქმედი პრეზიდენტის მაჰმუდ აჰმადინეჟადის მეორე ვადით არჩევას სხვა კანდიდატები, მირ ჰოსეინ მუსავისა და მეჰდი ქარუბის მომხრეების მასობრივი საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია.

დემონსტრაციის ასობით მონაწილე დააპატიმრეს, ხუთ მათგანს სიკვდილი მიუსაჯეს. მიუხედავად ამისა, გამოსვლები გრძელდებოდა და ირანელი რეფორმატორები დასავლეთის მხარდაჭერაში დაადანაშაულეს.

მიმმხილველების ვარაუდით, რაკეტის გამოცდის საშუალებით ირანის ხელისუფლები ოპოზიციის ლიდერების დაპატიმრებისაგან ყურადღების გადატანას შეიძლება ცდილობდნენ.

იმავდროულად, სექტემბერში, რაკეტა „საჯილისა“ და „შაჰაბის“ გამოსვლის შემდეგ ირანი საერთაშორისო საზოგადოებრიობის ასევე მკვეთრი კრიტიკის ობიექტი გახდა.

ამ რაკეტების გამოცდამდე ცოტა ხნით ადრე ოფიცალურმა თეირანმა ქალაქ ყუმის მასხლობლად, მოუბნი საიდუმლო ბირთვული ობიექტის არსებობა აღიარა.

რუსეთის პრეზიდენტს სამხედრო ძალის საზღვარგარეთ გამოყენების უფლება მისცეს

რუსეთის ფედერაციის საბჭომ მიიღო დადგენილება, რომელიც ფაქტობრივად რუსეთის პრეზიდენტს ქვეყნის ფარგლებს გარეთ ჯარების საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით გაგზავნის შესაძლებლობას აძლევს.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ სახელმწიფოს მეთაურს უფლება აქვს, რუსეთის ინტერესებისა და მისი მოქალაქეების დაცვის, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებს დაცვის მიზნით ჯარები ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაგზავნოს.

რუსეთის კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის ფარგლებს გარეთ ჯარების გამოყენებისათვის რუსეთის პრეზიდენტმა ფედერაციის საბჭოს ნებართვა უნდა მიიღოს.

მაგრამ ამჟამად პრეზიდენტს საზღვარგარეთ ჯარების გაგზავნის გადაწყვეტილების მიღება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფედერაციის საბჭოსაგან ნებართვის მიღება აღარ დასჭირდება.

პრეზიდენტისათვის ამ უფლებამოსილების მინიჭების წინადადებით სენატორები დმიტრი მედვედევთან მიმდინარე წლის თებერვალში გამართული შეხვედრის დროს გამოვიდნენ.

სექტემბერში კი მიღებულია ფედერალური კანონის „თავდაცვის შესახებ“ ახალი რედაქცია, რომელიც სახელმწიფოს მეთაურს ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ჯარების გამოყენების უფლებას აძლევს, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებზე შეიარაღებული თავდასხმის მოგერიების მიზნით.

გარდა ამისა, რუს სამხედროებს პრეზიდენტის ბრძანებით უფლება ეძლევათ, იარაღი გამოიყენონ იმ შემთხვევაშიც, თუკი სხვა სახელმწიფო შეიარაღებული თავდასხმის თავიდან აცილების მიზნით რუსეთს დახმარებისათვის დენტს მსგავს შემთხვევებში სამხედრო ძალის გამოყენების უფლება სპეციალური დადგენილებისათვის ფედერალურ საბჭოში მიმართვის გარეშე მისცა.

რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავდაცვის კომიტეტის ხელმძღვანელის თქმით, ეს ინიციატივა უშუალოდ არის დაკავშირებული 2008 წლის რუსეთ-საქართველოს შეიარაღებულ კონფლიქტთან.

იმავდროულად, კომიტეტის სხდომის დროს ერთ-ერთმა სენატორმა, ვლადიმირ მალენკოვმა პრეზიდენტისათვის მსგავს შემთხვევებში ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღების მუდმივი უფლების მიცემის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით დაეჭვება გამოხატა.

სენატორმა თქმით, ასეთ შემთხვევაში იკარგება ფედერაციის საბჭოს კონსტიტუციური როლი.

ბერლუსკონის პალატაში შეღწევა სსცადეს

იტალიის პოლიციამ დაპატიმრა 26 წლის მამაკაცი, რომელმაც ღამით მილანის საავადმყოფოში, პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონის პალატაში შეღწევა სცადა.

პოლიციელების თქმით, ახალგაზრდამ განაცხადა, რომ ბერლუსკონისთან საუბარი სურდა.

იგი სან რაფაელეს საავადმყოფოს დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს.

როგორც მიმმხილველები აღნიშნავენ, ცნობილი არ არის, თუ რამდენად ახლოს შეძლო დაკავებულმა ბერლუსკონის პალატასთან მისვლა.

იტალიის პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონის მილანში, მოქალაქეებთან შეხვედრის დროს ავტოგრაფების დარიგებისას სახეში მძიმე სუვენირული მედალი უთავაზეს. იტალიის პრემიერ-მინისტრს ორი კბილი ჩაემტვრა და ცხვირი დაუზიანდა.

ოთხშაბათისათვის დაგეგმილი იყო სამედიცინო კონსილიუმი, რომელზეც ბერლუსკონის კლინიკიდან გაწერის საკითხი უნდა გადაეწყვიტათ.

ბერლუსკონის მკურნალმა ექიმმა საპრესაბათის განაცხადა, რომ იტალიის პრემიერ-მინისტრი მუშაობის განახლებას მხოლოდ ორი კვირის შემდეგ შეძლებს.

როგორც იტალიის შს მინისტრმა რობერტო მარონიმ განაცხადა, პრემიერ-მინისტრზე თავდასხმა წინასწარ იყო დაგეგმილი.

მინისტრმა მარონიმ განაცხადა, რომ ტარტალია მილანში ბერლუსკონამდე რამდენიმე საათით ადრე ჩავიდა. თან მას წიწაკის ნარევიანი ბალონი და ჯვარცმა ჰქონდა.

მოამზადა გვანდი თვაურმა

TV პროგრამა

ხუთშაბათი 17 დეკემბერი

07.00 ჩვენი დილა **10.00**, **12.00**, **16.00**, **20.00** მოამბე **11.00** სამოთხის ვაშლები **12.30** სერ. **"ანელიას სახე" 13.30 ფუსტერმონ.** საქართველოს სუპერთასის გათამაშება **15.30** დოკ. ფილმი "რიდიმი" **17.00** პლანეტა ბასტიბუბუ **18.00** დოკ. ფილმი "მე-2 მსოფლიო ომი, დახურულ კარს მიღმა" **19.05** მეხსიერება – ფილმი "თუში მეცხვარე" **20.45** "ნანინა" **21.00** სერ. **"ანელიას სახე" 22.00** დიალოგი **23.00** სერ. **"სულეგთან მოგზარეული"** (**12**) **00.00** ღამის ჩვენება მაყურებელთა შერჩევით:

ა) მხ. ფილმი **"ბინის სხეულის რომანული გაზაფხული"** (**18**) (ვ. მირონი)

ბ) მხ. ფილმი **"გოგონების ნახვა"** (**15**)

19.00 ან. ფილმი "პიტი და კენტერიფუგი" **19.25** ნანინა **19.40** პლანეტა ბასტიბ-ბუბუ **20.10** მეხსიერება **21.05** სერ. **"ბინრისპირი" 22.00** სერ. **"ანელიას სახე" 23.00** სერ. **"ხუთეულთან მოგზარეული" 23.50** მხ. ფილმი **"გოგრა"** (15)

07.30 დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ბუნრისმივების ხეხლული" 11.00** ვის უნდა **20** ათასი **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **02.40** კურიერი **12.20** სერ. **"გზა დიდებისაკენ" 13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერ. **"უფრისხილდი ანგელოზს" 15.25** სერ. **"ჩვენი ოფისი" 15.50** სერ. **"ბელის ძალილი" 16.50** სერ. **"დერნ ბუანი და ლაბორატორი" 18.30** სერ. **"ჩვენი ოფისი" 19.00** სერ. **"ეკაი ყველიერგიანა" 19.50** სერ. **"ანგელის სასიდუელი" 22.00** პროფილი **23.40** სერ. **"ემილი ეაუსი" 00.40** პატრული **01.00** მხ. ფილმი **"სადილი ერთისათვის"** (**18**) (რ. დე მორნეი)

08.00 მოულტფილმი "კონანი" **09.00** სერ. **"ბარია ეფილია" 09.50** სერ. **"ჩემი ეეყვარეული" 10.50** სერ. **"ბეჟუაები" 12.00** სერ. **"სი-ეს-აი" 12.40** მხ. ფილმი **15.00** სერ. **"ენი მოგანი სახელოვანის მამულიდან" 16.20** მხ. ფილმი **17.30** გადაცემა "ხმა საქართველოდან" **18.00** სერ. **"ბეჟუაები" 19.00** სერ. **"ნანინო ვეტერინე" 20.00** ზღაპარიყო **20.15** ეტალონი **21.25** ვიქტორინა "ქეშ შოუ" **22.30** სერ. **"ჩემი ეეყვარეული" 23.30** სერ. **"სი-ეს-აი" 00.30** მ-კოდი **01.00** მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა **09.00**, **11.00**, **14.00**, **17.00**, **19.00**, **20.00** ქრონიკა **10.00** სერ. **"ოოგეანი თავმეში" 11.25**, **14.35** ტკ-მარკეტი **11.40** დოკ. ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **12.00** სერ. **"კლინიკა" 13.00** სერ. **"ბარაფიული გრანიტა" 15.00** ნანუკას შოუ (გან.) **16.00** სერ. **"ბანლისხვეული ანგელოზი" 17.30** დოკ. ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **18.00** სერ. **"ლაბირინთი" 19.05** სერ. **"ბარაფიული გრანიტა" 21.00** სერ. **"ბანლისხვეული ანგელოზი" 22.00** მხ. ფ. **"ანდა გაუძლო"** (U) (მ. მორი) **00.00** სერ. **"24-5" 01.00** მხ. ფილმი **"25-ე საათი"** (**15**) (ე. ნორტონი) **03.15** ქრონიკა **03.30** სერ. **"კლინი"**

08.00, **11.30**, **14.30**, **17.30**, **20.30**, **22.30** "დრო" **08.15** მულტფილმი **08.50** მხ. ფილმი **"ბზნეუბეული" 10.30**, **19.30** სერ. **"ლიბისეული სამეგ" 11.45**, **21.00** სერ. **"ხსოვრეული ქარცეცხლში" 12.45** მხ. ფილმი **"ჯენტლმენები ეეკრეს ამპრეზენეზენ" 14.50** "სვენა" **15.20** მხ. ფილმი **"ბაკელოგიოს ამოცა" 18.00** დოკ. ფილმი **19.00** ნოვოსტი **23.00** მხ. ფილმი **"ლეგენდა ამანისზე" 01.00** მხ. ფილმი **"ზეცაზე მიკაკუნება"**

ერთსულოვნება 09.10 დილის პროგრამა "განთიადი" **10.30** გადაცემა "პერსპექტივა" **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **00.05** საგალობელი **12.05**, **15.05** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი **"ლეპარსა თამთაარიძე" 13.30** კონცერტი – თბილისის სასულიერ მუსიკის ფესტივალი **15.10** დოკ. სერ. "გეპატიეუბთან ბარტ ვულფი" **15.35** მხ. ფ. **"ნუცას სამოლა" 17.00** დოკ. ფილმი "ვალერი ბუნეგი" **17.30** ტრანეზი **18.05** ჩვენ ვუყურავთ კლასიკას **18.30** სატ. არქივიდან **19.15** მხ. ფილმი **"ბიბინო" 20.35** ძილი ნებისა **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.25** მინათმოქმედი **22.00**, **00.00** სიახლენი **22.20** ბარბარობა **22.30** დამოკიდებულებიდან თავისუფლებამდე **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მართლმადიდებლური ფილმების ფესტივალი "წმინდა ანდრიას ჯვარი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფორზარის“ ნებართვით

სამგლოვიარო განცხადებები

შვილები ივერი, ნანა, გია, შვილიშვილები ნიკა, ნანა გოგოლაშვილები, ნიკოლა, ალექსანდრე კუპერები, შვილთაშვილი ანასტასია ჯანიაშვილი, რძლები რუსუდან ქავთარაძე, ნანა აფშილავა, სიძეები პიტერ კუპერი, გიორგი ჯანიაშვილი, მამიდაშვილები მერი, მაყვალა მინდიაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნიკოლოზ (ნიკო) გოგოლაშვილი

პანაშვიდი: 17, 18 დეკემბერს.
დაკრძალვა: 19 დეკემბერს, 14 საათზე.
მისამართი: ნუცუბიძის IV მიკრორაიონი, 19ა კორპუსი.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე. კვირის გარდა. 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

საქართველოს ეროვნული ბანკი
2009 წლის 11 დეკემბრის ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დაუფიქსირა:

აშშ დოლარი — 1,6825	ევრო — 2,4035
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536	რუსული რუბლი — 0,0533

ალმოსავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 5-8, ღამით — 1-3
დასავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 11-15, ღამით — 5-12
სამხრეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, თოვლი, წვიმა, ტემპერატურა დღისით — -5-5, ღამით — -7-2

ამინდის პროგნოზი 17 დეკემბრისთვის

ქართული ფლორის საოცრება
„სალხინო"
უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

"სალხინის" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

ყველამ გაითვალისწინეთ!
გაააკტრონლეთ საკუთარი თავი

ასტროპროგნოზი 17 დეკემბრისთვის

ვერძი — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **ჯერ** — პოზიტიური დღეა, ყველა საქმე გამოგივათ. **ფუფუები** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ციცრცლები** — პოზიტიური დღეა, ყველაფერი გამოგივათ. **ლომი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ. **ძაღლები** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **სასწორი** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ღრიანცელი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **მფრინველთასანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **მეარეული** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **თევზები** — ის საქმე აკეთეთ, რაც იცით, ზედმეტს ნუ შეეჭიდებით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი



***

ჩათში:
— ღამე მშვიდობისა, მზეთუნახავო.
— ჯერ ერთი, მზეთუნახავობამდე ბევრი მიკლია, მეორეც, რა დროს ძილია.
— მაშინ, ფხიზლად იყავი, ურჩხულო...

***

— სამოქალაქო ომის მონაწილეებისათვის რაიმე შეღავათები თუ არის გათვალისწინებული?
— ???
— სამოქალაქო ქორწინებაში ვიყავი...

***

კონფერანსიე ცირკში:
— ახლა კი მომთვინიერებელი სერგო ცალხელაშვილი მოთვინიერებული ნიანგებით...

***

დიეტაზე მყოფი ქალის დღიურიდან:
— ტორტი დამესიზმრა, დილით რომ გავიღვიძე, ბალიში დაღრღნილი დამხვდა.

***

ქმარი დილით ცოლს ეუბნება:
— ეჰ, რომ იცოდე, რა ცუდად მეძინა.
— კარგად რა შეგიძლია...

გო.

ჯოხსვოხდი 2

ზვეულად: 1. ელექტრონული ნათურის ნაწილი, რომელიც ვაზნაში იხრახნება; 2. აეროპორტი პარიზში; 3. რაიმე ამოცანის ამოსახსნელად საჭირო მათემატიკურ მოქმედებათა ერთობლიობა; 4. ბალახოვანი მცენარე, რომლის ფესვებისგანაც ღებულობენ წითელ საღებავს; 5. ცხელი ქარი; 8. უხარისხო მატყლისგან მოთელილი ნაბადი; 9. ფარისეველი, ქლესა, ცბიერი ადამიანი; 12. ლომების ჯოგი; 14. ოპერა „სევილიელი დალაქის" კომპოზიტორი; 16. ფუთის ერთეული ჩინეთში.

თარაზულად: 1. გარკვეული წესებით ჩატარებული ოფიციალური ხასიათის ზეიმი; 6. ტროპიკულ ზონაში გავრცელებული წყლის დიდი ფრინველი; 7. ოქროს ფერში ამოვლებული ძაფი; 9. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის laureატი; 10. კულინარიასა და მედიცინაში გამოყენებული ორნახშირმჟავა ნატრიუმის საყოფაცხოვრებო სახელწოდება; 11. სასუნთქი თამბაქო; 13. ძალიან შავი თმა; 15. სხივმოსილი წმინდა თასი; 17. საკუთარი საქციელის აკადემიანობის შინაგანი შეფასება; 18. შუადღის დასვენება ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში, როდესაც ძალიან ცხელა; 19. უცხოელთა მეტსახელი ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 20. ქალის თმის ერთგვარი ვარცხნილობა.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა

კახა კალაძე: „პრესასა და ინტერნეტში ბევრი რამ იწერება"

ბოლო ფიოს დიდი ავიოტავია ატეხილი ჯახა ჯალაძის ტრანსფერთან დაკავშირებით. თითქმის ყველა ევროპული საინფორმაციო საშუალება ჯალაძის „მილანიდან" გადასვლის შესაძლო ვარიანტებზე ავრცელებს ცნობებს.

ამის მიზეზი კვირას, „მილანი" — „პალერმოს" (0:2) მატჩისას ქართველი ფეხბურთელის სათადარიგოთა სკამზე დარჩენა იყო, იმის მიუხედავად, რომ კიდევ ერთი ცენტრალური მცველი ტიაგუ სილვა ტრავმირებული იყო. კალაძე უკმაყოფილო რჩება ლეონარდოს გადაწყვეტილებით, რის გამოც ტრანსფერზე დაყენება მოუთხოვია. ეს გასაკვირიც არ უნდა იყოს — კალაძემ 2009-10 წლის სეზონში „როსონერის" მაისურით მხოლოდ 7 მატჩში (6 სერია ა-ში, ერთიც ჩემპიონთა ლიგაზე) მიიღო მონაწილეობა.

პოპულარული პორტალის „ტრანსფერმაკეტის" ცნობით, კალაძის შეძენა სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის" ახალ თავკაცს ლუჩნაო სპალეტის სურს. მეორე ვერსიით, შესაძლოა, კალაძე ანდრე შევჩენკოს მსგავსად კიევის „დინამოში" დაბრუნდეს. არის საუბრები ქართველი ფეხბურთელის მუშნიენის „ბაიერსა" და „ლივერპულში" გადასვლის თაობაზე.

კიევის „დინამოში" გადასვლა თავად უკრაინული კლუბის პრეზიდენტმა იგორ სურკისმა უარყო, რაც შეეხება რუსულ „ზენიტს", ამ გუნდში გადასვლასთან დაკავშირებით ინფორმაციის მცდარობა თავად კალაძემ დაუდასტურა რუს ჟურნალისტებს.

— კახა, არ გიკვირთ ზარი რუსეთიდან, კერძოდ კი სანკტ-პეტერბურგიდან?

— გამოგიტყდებით, მართლაც გაკვირვებული ვარ. რაშია საქმე?

— თქვენ ბოლო დღეებში აქტიურად გაკავშირებენ „ზენიტთან". შეგიძლიათ დაგვიდასტუროთ ეს ინფორმაცია?

— „ზენიტი"? ამის შესახებ პირველად მესმის, მაგრამ გასაკვირიც არ არის — გაზეთებსა და ინტერნეტში ძალიან ბევრ რამეს წერენ.

— და მაინც, მილანურ კლუბში მინიმალური სათამაშო დრო ხომ არ გიბიძგებთ კლუბის გამოცვლისკენ? მაგალითად, საუბრობენ კიევის „დინამოშიც" თქვენს შესაძლო დაბრუნებაზე.

— გეცოდინებათ, უფეხბურთოდ 8 თვე ვიყავი და ოპერაციის შემდეგ აღდგენით პროცესებს გავდიოდი. ახლა მხოლოდ შევდივარ ფორმაში. მხოლოდ ამით შეიძლება იმის ახსნა, რომ გუნდის ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ვჩანავარ, მაგრამ ჩემი აზრით, ეს პრობლემა გადაუწყვეტელი არ ჩანს. სადღეისოდ „მილანში" ყველაფერი მაწყობს და კლუბის შეცვლაზე არ ვფიქრობ.

— გასულ კვირაში „ზენიტის" მთავარ მწვრთნელად ლუჩანო სპალეტი დაინიშნა, რომელიც წლების განმავლობაში იტალიურ გუნდებს წვრთნიდა. თქვენც 9 წელი იტალიაში თამაშობთ და თქვენი აზრით, სპალეტის დანიშვნით რამდენად მართებული ნაბიჯი გადადგა „ზენიტის" ხელმძღვანელობამ?

— სპალეტის „ზენიტში" მისვლა შემიძლია მხოლოდ დადებითად შევაფასო. ძალიან მომწონდა მისი გაწვრთნილი „რომას" თამაშები. ჩემი ხედვით, ბოლო წლებში იტალიურ ფეხბურთში ისეთ შემტევ ფეხბურთს ვერავინ აჩვენებდა, როგორსაც „რომა" და მათ წინააღმდეგ თამაში ძალიან რთული იყო. დარწმუნებული ვარ, თავისი იდეების განხორციელებას სპალეტი რუსეთშიც მოახერხებს.

ჩვენი მხრივ, დავამატებთ, რომ კალაძეს „მილანთან" კონტრაქტი 2011 წლის 30 ივნისამდე აკავშირებს. იმავე ტრანსფერმარკეტის ცნობით კი ქართველი ფეხბურთელის სადღეისო საბრანსფერო ფასი 5,5 მილიონი ევროა. შეგახსენებთ იმასაც, რომ 2001 წელს კალაძე კიევის „დინამოდან" 16 მილიონ ევროდ იყიდა „მილანმა", რომლის შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგისა და სკუდეტოს მოპოვება მოახერხა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

გაქვთ თუ არა ფიოის შეგიძნება

1. შინ მისულმა შეიტყვეთ, რომ თქვენი საყვარელი გადაცემა 5 წუთში იწყება, თქვენ კი საქმე გაქვთ დასამთავრებელი.

ა. საქმეს დაამთავრებთ და ტელევიზორს მიუჯდებით.(3) ბ. ყველაფერს მიატოვებთ და ტელევიზორს მიუჯდებით (0) გ. საქმეს დაიწყებთ და თან ტელევიზორს ჩართავთ (2). დ. ტელევიზორს გამორთავთ და არც საქმეს გააკეთებთ (1).

2. წარმოიდგინეთ, რომ მოხსენება გაქვთ მოსამზადებელი. მისთვის მზადების დროს შეეცდებით:

ა. მოხსენება საინტერესო იყოს აუდიტორიისათვის, დროს ყურადღებას არ მიაქცევთ (1). ბ. შეეცდებით მკაცრად განსაზღვრულ დროში ჩაეტიოთ (3). გ. ცოტა უმჯობესია (2). დ. ვითარების მიხედვით იმოქმედებთ. (0)

3. შინ დაბრუნდით და დაღლილობისგან ფეხზე ვერ დგებით, მაგრამ დაუმთავრებელი საქმე დგარჩათ.

ა. საქმეს დაამთავრებთ. (3). ბ. ხვალისთვის გადადებთ (1). გ. გააკეთებთ იმდენს, რამდენსაც შეძლებთ, დანარჩენს ხვალისთვის გადადებთ (2). დ. დასაძინებლად წახვალთ (0).

4. შრომისუნარიანი ხართ:

ა. დილით (1), ბ. საღამოს შემდეგ (2), გ. საღამოს (0), დ. თქვენი შრომისუნარიანობა დროზე არ არის დამოკიდებული (3).

5. დილით, როგორც წესი:

ა. მაღვიძარა გაღვიძებთ (2) ბ. თავად იღვიძებთ (3). გ. ახლობლების დახმარება გჭირდებათ (0). დ. თავად იღვიძებთ, მაგრამ ნებივრობა გიყვართ (1)

6. სტუმრად მისული, მაგალითად, დაბადების დღეზე:

ა. წინასწარ დათქვამთ, როდის აპირებთ წასვლას (3). ბ. ელოდებით, სანამ ვინმე გამოთქვამს დაშლის იდეას (1). გ. ცდილობთ, სიტუაციის მიხედვით იმოქმედოთ (2). დ. ამაზე არ ფიქრობთ (0).

7. კვების რაიმე რეჟიმს თუ იცავთ?

ა. აუცილებლად (3). ბ. გსურთ, მაგრამ ვერ ახერხებთ (2). გ. არ გინდათ, მაგრამ გიხდებათ (1). დ. ჭამთ, როდესაც გინდათ (0).

8. დანიშნულ შეხვედრაზე დაგაგვიანდათ და არ დაგელოდნენ.

ა. მოძებნით, თუნდაც ძალიან დაგაგვიანდეთ (3). ბ. საკუთარ თავს დაჰპირდებით, რომ მეორედ არ დაიგვიანებთ (2). გ. შეეცდებით, რაც შეიძლება დიდხანს არსად გადაეყაროთ იმ ადამიანს (1). დ. ყურადღებას არ მიაქცევთ. (0)

9. დაგვიანებას აუხსნით

ა. აბსოლუტურად გულახდილად, თუნდაც ეს არ მოგიწონონ. (3). ბ. მიგაჩნიათ, რომ ტყუილი თავის მართლების შესანიშნავი საშუალებაა (1). გ. ვითარების მიხედვით იმოქმედებთ (0). დ. თავის მართლებას არ დაიწყებთ (2).

10. როდესაც ვინმე თქვენთან შეხვედრაზე იგვიანებს:

ა. აღარ სცემთ მას პატივს (2). ბ. მეტს აღარ შეხვდებით (3). გ. გესმით მისი, რადგან თავადაც მოხვედრილხართ მსგავს სიტუაციაში. (1) დ. არ განაღვლებთ ეს (0).

11. თავისუფალ დროს, როგორც წესი:

ა. ისვენებთ (2). ბ. ჰობის უთმობთ (0). გ. ამჯობინებთ სამომავლოდ დაგეგმილი საქმეების კეთებას (1). დ. თავისუფალი დრო უბრალოდ არ გაქვთ (3).

12. გაქვთ თუ არა უბის წიგნაკი, სადაც სასწრაფო საქმეების შესახებ შენიშვნები შეგაქვთ?

ა. აუცილებლად (3). ბ. მაქვს, მაგრამ მავიწყდება შევსება (1). გ. არა, ისედაც კარგად მახსოვს ყველაფერი (2). არა, ყიდვა დამავიწყდა. (0)

პასუხები

0-9 ქულა: თქვენი მეგობრები და ახლობლები თქვენგან განამებული არიან, საახალწლო წვეულების ნაცვლად თავისუფლად შეგიძლიათ საშობაო წვეულებაზე აღმოჩნდეთ. დროულად პაემანზე ადამი მხოლოდ ერთი-ორჯერ თუ მისულხართ. გამორიცხული არ არის, რომ თქვენი სახელი მეგობრების წრეში დაგვიანების სიმბოლოდ იქცა.

10-18 ქულა: პუნქტულობა თქვენთვის დამახასიათებელი არ არის, მაგრამ არც მთლად წყალწაღებული ხართ ამ თვალსაზრისით. ყოველ შემთხვევაში, ცდილობთ, რომ არსად დაიგვიანოთ. თუ ასე მაინც ხდება, ახერხებთ მნიშვნელოვანი მიზეზის მოძებნას.

19-27 ქულა: თქვენ იმ მცირერიცხოვანი ადამიანების რიცხვს განეკუთვნებით, რომლებსაც თითქმის არაფერი აკვიწყდებათ, ამატომაც პრობლემებს არ უქმნიან არც საკუთარ თავს და არც სხვებს. დროს იდეალურად ვერ ანაწილებთ, მაგრამ არც სირცხვილით გასაწითლებლად გაქვთ საქმე.

28-36 ქულა: თუ სიზუსტე მეფეთა თავაზიანობად არის აღიარებული, თქვენ ნამდვილი იმპერატორი ხართ. ალბათ მხოლოდ ერთხელ დაიგვიანეთ — მესამე კლასში, ლატრატურის გაკვეთილზე, რადგან კინაღამ მანქანამ გაგიტანათ და მშრუნველმა დეიდებმა და ბიძიებმა საავადმყოფოში გაგაქანეს. ცოტა მოეშვით, მაინც ყველგან და ყველაფერს მოასწრებთ.

მოამზადა გვანდი თვაურმა